

მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი დასრულდა

A2



პლასტიკური ქირურგია - როგორც ხელოვნება

A5



ფრთები

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
ოთხშაბათი, 17 მაისი, 2006 წელი. №107 (1259)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

ჯორჯ ბუშის სატელევიზიო გამოსვლა - აქცენტები შიდა პოლიტიკაზე

A2

## პოლიტიკა

შეიცვლება თუ არა სამთავრობო გუნდი არჩევნების წინ

A3




ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 17/05 | 18/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | 25 |
| ტყიბული | 22 | 20 |
| სოხუმი | 23 | 18 |
| დმანისი | 22 | 19 |
| გორი | 22 | 21 |
| ონი | 17 | 13 |
| ზუგდიდი | 24 | 21 |
| ახმეტა | 24 | 25 |
| გაგრა | 25 | 17 |
| სამტრედია | 24 | 21 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8065 |
| ევრო | 2.3188 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.4036 |
| რუბლი | 0.0671 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |


# ევროპას ალტერნატივა სჭირდება

რუსულ შანტაჟზე პასუხი ტრანსკასპიური გაზსადენი გახდება

დიმიტრი ავალიანი

*ევროკავშირმა ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტი გაიხსენა. შუა აზიის ენერგორესურსებთან დამაკავშირებელი ახალი გზის ძიება მას რუსეთის მხრიდან შანტაჟმა აიძულა - ევროპელები რუსული გაზის ალტერნატივას ეძებენ. ალტერნატიული გზა კი საქართველოზე გადის.*

**„ჩვენ მხარს ვუჭერთ ახალი დერეფნის შექმნას ევროკავშირის ქვეყნებში გაზის ტრანსპორტირებისათვის, რადგან ეს ჩვენ გაზის დამატებით მოცულობას მოგვცემს, ყაზახეთისთვის კი საკუთარი ექსპორტის მარშრუტების დივერსიფიკაციის ერთ-ერთი გზა გახდება“**, - განაცხადა ასტანაში ევროკომისიის ენერგეტიკის საკითხთა კომისარმა ანდრის პიბალგსმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში ანდრის პიბალგსი.*

# პრეზიდენტი სააკაშვილი სიფრთხილით უყურებს რუსეთს

საქართველოს ურთიერთობა ძლიერ მეზობელთან გაუარესდა

ნეილ ბაკლი
*ფაინენშლ თაიმსი*

*დღეს გავლენიან ბრიტანულ გამოცემა „ფაინენშლ თაიმს“-ს სპეციალური დამატება ექნება - „საქართველო 2006“. იგი სპეციალური პროექტის - მსოფლიო მიმოხილვის - ფარგლებში მომზადდა და მასში შესულია დღევანდელი საქართველოს შესახებ სრული ინფორმაცია. გთავაზობთ საქართველოს პრეზიდენტის ინტერვიუს აღნიშნული დამატებიდან.*

გაგრძელება A3 გვერდზე



FT.com FINANCIAL TIMES

10:52 The deal hangs in the balance

Subscription page — Tuesday May 16 2006. All times are London time.

Log in to FT.com — Sign up now / Take a tour — Username — Password — Remember me — Log in

Home / World / Companies / Markets / Market data / Managed funds / Lex / Comment & analysis / Technology / Business life / Business education / Your money / Arts & Weekend / In depth / FT Reports / Nigeria / Georgia

World Reports / Georgia 2006

**Interview: Mikheil Saakashvili**

By Neil Buckley
Published: May 15 2006 18:28 | Last updated: May 15 2006 18:28

The streets around what was once the Communist Party central committee building in Tbilisi are dark and deserted except for a few stray dogs and police guards posted at intervals. On the 11th floor of the ugly concrete block, however, lights are burning. It is 11.30pm, but president Mikheil Saakashvili is still conducting meetings.

Inside his office, BBC World plays constantly on an oversized plasma-screen TV in the background. Mr Saakashvili looks and sounds tired. But, as ever, he speaks in rapid-fire, stream-of-consciousness style. He would like, he says, to be able to focus on how Georgia's taxation reform has helped increase its tax take so much that it has raised the state budget five-fold in two years, how basic services are working again, how the country is rebuilding its highways and attracting investment into the tourist sector.

# სახალხო ბანკი მომხმარებელს ახალ ბრენდს - „სახალხო კრედიტს“ სთავაზობს

სახალხო ბანკი მომხმარებელს სრულიად ახალ ბრენდს - „სახალხო კრედიტს“ სთავაზობს. დღეიდან „სახალხო კრედიტის“ მეშვეობით სახალხო ბანკის მომსახურებას სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიიღებს.

„სახალხო კრედიტის“ ფილიალები საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ფიზიკურ პირებს, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს საკრედიტო პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს და საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობს. განვადება, სამომხმარებლო და იპოთეკური სესხები, ავტო და ბიზნეს სესხები - ეს ის ხუთი პროდუქტია, რომლითაც სარგებლობის უფლება დღეიდან უკვე დაბალშემოსავლიან პირებსაც შეეძლებათ.

გაგრძელება A2 გვერდზე



# ოპოზიციამ უმრავლესობას თავი შეახსენა

*თვენახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ ბოიკოტი გამოაცხადა და პარლამენტის სხდომებს აღარ ესწრება. „დემოკრატიული ფრონტის“, „მემარჯვენეების“ და „მრეწველების“ პროტესტს დღემდე რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ, ოპოზიციამ გადაწყვიტა, უმრავლესობას თავი შეახსენოს. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერებმა მემორანდუმში ჩამოყალიბებული ულტიმატუმის მოდიფიცირებული ვარიანტი წარმოადგინეს.*

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიციური ფრაქცია საპარლამენტო უმრავლესობას რამდენიმე კანონპროექტის მიღებას სთავაზობს და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბოიკოტის შეწყვეტის პირობას იძლევა. ზვიად ძიძიგური, კახა კუკავა და მათი სხვა თანაფრაქციელები, პირველ რიგში, საარჩევნო ადმინისტრაციების პარიტეტულ საფუძველზე დაკომპლექტებას ითხოვენ.

**„საარჩევნო კომისიებში უნდა შევიდეს იმ პოლიტიკური პარტიების ორ-ორი წარმომადგენელი, რომელთა წინასაარჩევნო კამპანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება“,** - აცხადებს კახა კუკავა და იქვე განმარტავს, რომ ასეთი სუბიექტი შვიდია: „ნაციონალური მოძრაობა“, „მემარჯვენე ოპოზიცია“, „მრეწველები“, რესპუბლიკელური პარტია, კონსერვატორული პარტია, კონსტანტინე ზ. გამსახურდიას „თავისუფლება“ და ლეიბორისტული პარტია.

ოპოზიციის მიერ მომზადებული მეორე კანონპროექტი მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევას ითვალისწინებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მდიდრები და ღარიბები

სოფიო თოდუა

არ მკითხოთ, ვის გადახდა ეს ამბავი თავს. იმდენად ცნობილი კომპოზიტორი იყო, ალბათ ამიტომაც არ დამამახსოვრდა. მოკლედ, ეს განთქმული მუსიკოსი მეგობრებთან ერთად (სავარაუდოდ ისინიც გამორჩენილი ადამიანები იქნებოდნენ) რესტორანში სადილობდა (ან, სულაც, ვახშმობდა). იქვე, შემაღლებულზე, ორკესტრი სწორედ ამ სახელოვანი კომპოზიტორის ოპუსებს ასრულებდა და დამსწრე საზოგადოებას სადილი (თუ ვახშამი) უფრო გემრიელი ეჩვენებოდა. მოპირდაპირე მხარეს კი, არანაკლებ კარგ რესტორანში, სადაც კლიენტებს იგივე მენიუს სთავაზობდნენ, ოფიციანტები ხალხის ნაკლებობას უჩიოდნენ. ისევ ნაცნობ გარემოში გადმოვინაცვლოთ. როცა ეს ჩვენი კომპოზიტორი წასასვლელად გაემზადა და საქმე ფულის გადახდაზე მიდგა, კელნერს მდაბლად დაუკრა თავი და კარებისკენ გაეშურა. აბა, იქ ატყდა თუ ატყდა ერთი ამბავი. არადა, ეს მუსიკოსი არც ინტრიგანი ყოფილა და არც აფერისტი, უბრალოდ მომსახურე პერსონალს შეახსენა, რომ ხალხი იქაურობას სწორედ მისი მუსიკის მოსასმენად ეტანებოდა და წესით აქეთ უნდა გადაეხადათ მისთვის ფული.

■ ■ ■

ჩვენ, ვინც საბჭოთა კავშირიდან მოვდივართ, დარწმუნებული ვიყავით და, მგონი, დღემდე გვჯერა: დასავლელი ვარსკვლავები, მაგალითად - მომღერლები, იმიტომ არიან მდიდრები, რომ კონცერტებში დიდ ფულს უხდიან. გასათვალისწინებელი არგუმენტია, მაგრამ მათი (და არა მარტო მათი) სიმდიდრე მხოლოდ გადაჭედილი დარბაზებით არ განისაზღვრება. საკმარისია, რომელიმე მათგანის კომპოზიცია მათ დაუკითხავად სადმე საჯაროდ შესრულდეს, ეს მუსიკოსი სასამართლოში გაიქცევა და პროცესს აუცილებლად მოიგებს. ამიტომაც, ვისაც სხვისი სიმღერის შესრულება უნდა, მან ეს უფლება ავტორისაგან უნდა მოიპოვოს, ავტორმა კი, თავის მხრივ, საავტორო უფლება დაიკანონოს. ასე ხდება ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების შემთხვევაში. სხვათა შორის, საავტორო უფლებების დაცვა საბჭოთა კავშირშიც იცოდნენ - იმ მასშტაბით, რასაკვირველია, არა, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომელთა ჰონორარები ექვსნიშნა რიცხვებით გამოიხატებოდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# გაუხსნელი მკვლელობა

*მკვლელობამ, რომელიც 1998 წელს სოფელ ჭართალაში მოხდა, მთელი კახეთი შეძრა. დები - ნინო და ეთერ კაცელაშვილები ჯერ მოკლეს და შემდეგ მათი ცხედრების დაწვა სცადეს. მომხდართან დაკავშირებით მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანება გასცა, რომ საქმე გამოძიებულიყო და დამნაშავე დასჯილიყო, მაგრამ ფაქტი დღემდე გაუხსნელია, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველებისთვის სავარაუდო მკვლელის ვინაობა იმთავითვე ცნობილი იყო.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

**„მკვლელობის დღეს ახმეტის ბაგა-ბაღის გამგეს ნათელა გოდერძიშვილს ინკოგნიტო პიროვნება დაუკავშირდა და უთხრა, რომ ბაღის ყარაულისთვის ანუ ბიძაჩემისთვის გადაეცა, ჭართალაში თავის ნათესავებს მიხედოსო. მეორე დღეს კი მკვლელობის ამბავი მთელმა ახმეტამ შეიტყო,“** - იხსენებს მოკლული ნინო კაცელაშვილის ვაჟი ხვიჩა კაცელაშვილი.

გამოძიებაში, რაიონის სამართალდამცველ უწყებებთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურიც ჩაერთო. მოკვლეული მასალებიდან და ექსპერტის დასკვნიდან ირკვევა, რომ კაცელაშვილებს ჯერ კისრის მალები გადაუმტვრიეს, შემდეგ კი მკვლელებმა მათ სხეულის ის ნაწილები ამოუწვეს, სადაც, სავარაუდოდ, ანაბეჭდები უნდა დარჩენილიყო. დასკვნიდან ისიც ირკვევა, რომ შემთხვევის ადგილზე, სულ მცირე, სამი-ოთხი ადამიანი მაინც იმყოფებოდა. გამოძიების ვერსიით, მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა.

**„მიცვალებულთაგან ერთ-ერთი - სახლში, მეორე კი ეზოში მოკლეს, რომელიც შემდეგ სახლში შეათრიეს და ყელის და კისრის არეში ცეცხლი მოუკიდეს. თუმცა, ვერ დგინდება, რა ნივთიერებით ჰქონდათ დებს ცეცხლი მოკიდებული,“** - აღნიშნულია ექსპერტიზის დასკვნაში.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობდა; კერძოდ - ჰყავდათ თუ არა დებს განაწყენებული ადამიანები, ან ხომ არ მოხდა ამ ოჯახიდან საქონლის ქურდობის მცდელობა, რომლის მოწმეებიც თავად გარდაცვლილი დები აღმოჩნდნენ. მოგვიანებით დასახელებული ვერსიები გამოირიცხა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ოპოზიციამ უმრავლესობას თავი შეახსენა

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, „დემოკრატიული ფრონტი" ითხოვს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელიც გახმაურებულ საქმეებს შეისწავლის (ყოფილი დეპუტატის ვალერი გელაშვილის ცემა, სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, გასული წლის 2 დეკემბერს თბილისის საკრებულოში მომხდარი ინციდენტი).

**„დროებითმა საპარლამენტო კომისიამ ამ საქმეების შესწავლასთან ერთად, ისიც უნდა დაადგინოს, თუ რატომ აყოვნებს პროკურატურა მათ გამოძიებას",** - აღნიშნავს კახა კუკავა. როგორც ხედავთ, ოპოზიციის ახალ ულტიმატუმში აღარ ფიგურირებს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენების მოთხოვნა. ამ გარემოებას „დემფრონტელები" იმით ხსნიან, რომ ვანო მერაბიშვილის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი საგამოძიებო კომისიამ უნდა გადაწყვიტოს.

მართალია, ოპოზიციამ კარგად იცის, რომ უმრავლესობა არც ამ მოთხოვნების შესრულებას დათანხმდება, მაგრამ თავს მაინც ვალდებულად თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივებით გამოვიდეს.

**„ეს არის მემორანდუმის შემდგომი ნაბიჯი. ამჯერად ხელისუფლებას მემორანდუმში დაყენებული საკითხების შესაბამის კანონპროექტებს ვთავაზობთ. პარლამენტის თავმჯდომარესთან ან უმრავლესობის ლიდერთან რაიმე მოლაპარაკებებს და კონსულტაციებს აზრი არა აქვს. ამ კანონპროექტებმა საკომიტეტო მოსმენები უნდა გაიაროს, შემდეგ პლენარულ სხდომაზე გავიდეს და პარლამენტმა გადაწყვიტოს, რამდენად მისაღებია ისინი",** - მიიჩნევს ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური, რომელმაც ამ თანამდებობაზე სულ ახლახანს შეცვალა დავით ზურაბიშვილი.

„დემოკრატიული ფრონტის" ლიდერები ირწმუნებიან, რომ მათი ახალი ინიციატივის შესახებ დანარჩენი ოპოზიციური ფრაქციებიც საქმის კურსში არიან, თუმცა გუშინდელ პრესკონფერენციას „მემარჯვენეებიდან" და „მრეწველებიდან" არავინ დასწრებია.

უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე კომენტარს არ აკეთებს ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ წინადადებებზე. როგორც ნადირაძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, მისი მოვალეობა არ არის საპარლამენტო ოპოზიციის განცხადებებზე კომენტარების გაკეთება. **„კომენტარს ვერ გავაკეთებ იმ მოსაზრებებზე, რაც ოპოზიციას თავში გაღვიძების შემდეგ მოსდის,"** - აღნიშნა მან.

# თავისუფალი სიტყვა

ახალი მედიაპროექტი რადიო „უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას, სტუმარია სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში გია ბარამიძე.

**ინგა გრიგოლია:** გადაწყვეტილება საქართველოს დსთ-დან გასვლის შესახებ, თითქოს მიღებულია, მაგრამ ჯერ კიდევ გუშინ მოვისმინეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არ არის. ვტოვებთ, თუ არა დსთ-ს?

**გია ბარამიძე:** ბუნებრივია, ჩვენ ვართ ხელისუფლება და არა უპასუხისმგებლო ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელიც დაუფიქრებლად, ან გაუაზრებლად გადადგამს ნაბიჯს, ან, მითუმეტეს ამ ნაბიჯის გადადგმამდე დაიწყებს მასზე საუბარს.

**ი.გ.** თუმცა, თქვენ უკვე საუბრობთ.

**გ.ბ.** ჩვენ ამავდროულად დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და არც ვაპირებდით, რომ საზოგადოებისთვის ეს ინფორმაცია გაგვესაიდუმლოებინა. ჩვენ განვაცხადეთ, რომ საქართველოს ხელისუფლება პრეზიდენტის დავალების შესაბამისად, სწავლობს საკითხს, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება საქართველოს დსთ-ში დარჩენა, ან იქიდან გამოსვლა. დსთ-ში ყოფნა არის ისეთი ტიპის ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია ვიზებთან, ჩვენი პროდუქციის დსთ-ს სხვა ქვეყნებში გატანასთან, ინტელექტუალური საკუთრების, დიპლომების აღიარებასთან და უამრავ სხვა თემასთან.

ამდენად ჩვენ გვინდა, რომ როდესაც ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ იქნება მიღებული, ამ ცვლილებამ ჩვენი საზოგადოების წევრებს პრობლემა არ შეუქმნას. ამავდროულად, ამ გადაწყვეტილებას ვერ გამოვაცხადებთ, სანამ არ გვექნება ჩატარებული შესაბამისი კონსულტაციები ჩვენს პარტნიორებთან, რომლებიც ამჟამად დსთ-ს წევრები არიან. ასევე, ჩვენი მთავარი ორიენტირი არის ნატოში გაწევრიანება, შესაბამისად ნატოს წევრ ქვეყნებთანაც მიმდინარეობს კონსულტაციები.

**ი.გ.** საქართველოსა და რუსეთს შორის, როდესაც ბოლოს დაიძაბა ურთიერთობა, ოპოზიცია ამბობდა, რომ არ მოუსმენიათ საერთაშორისო დონეზე გაკეთებული არც ერთი განცხადება, სადაც იყო რუსეთის ეკონომიკური სანქციების წინააღმდეგ ხაზგასმული მხარდაჭერა. რატომ არ გაკეთდა არც ერთი განცხადება?

**გ.ბ.** ბოლო სკანდალს გეტყვით, დიკ ჩეინის მიერ ვილნიუსში გაკეთებული განცხადებას [illegible] ცივი ომის გამოცხადებად აღიქვეს ეს. რუსეთში უბრალოდ ისტერიკა იყო. ჩეინმა პირდაპირ დაადანაშაულა რუსეთი აგრესიული ქმედებების გამო მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში. პირდაპირ ილაპარაკა რუსეთის იმ აგრესიულ პოლიტიკაზე, რომელიც ხორციელდება ენერგეტიკული ინსტრუმენტების გამოყენებით, ეკონომიკური ბლოკადებით. პირდაპირ ისაუბრა საქართველოზე, უკრაინაზე, მოლდოვაზე. მან პირდაპირ დაუჭირა მხარი სამივე სახელმწიფოს. ლაპარაკიც არ უნდა, თუ რამდენად დიდია ჩვენი დასავლელი პარტნიორის ამ პროცესებით დაინტერესება და შესაბამისად მხარდაჭერა. თუნდაც ის რად ღირს, ჩვენი „აიპაპის" შესრულების შეფასება. მოგეხსენებათ, ნატოში, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ჩარჩოებში საქართველოსა და ნატოს სახელმწიფოების შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველომ წარმატებით შეასრულა „აიპაპით" დასახული ღონისძიებები.

**ი.გ.** დღევანდელი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი, რომელიც ხაზგასმით აცხადებს, რომ საქართველომ უნდა დატოვოს დსთ, თავის დროზე აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის დსთ-ში გაერთიანებაში. მათ შორის იყო გიორგი ბარამიძეც. რას იტყვით დღეს?

**გ.ბ.** არაფერია მუდმივი ამ ქვეყანაზე. არსებობს მხოლოდ საქართველოს მუდმივი ინტერესები. 10 წლის წინ შეიძლება ყოფილიყო მიზანშეწონილი, რომ ჩვენ დსთ-ში შევსულიყავით და 10 წლის მერე დადგა საკითხი, რომ ჩვენ იქიდან უნდა გამოვიდეთ. დსთ-ში შესვლით საქართველოს მისი სუვერენიტეტის მისხალიც კი არ დაუთმია. ამდენად, ჩემთვის გაუგებარია ის ისტერიკა, რომ თავის დროზე ვინც იყო მომხრე, ახლა ჯვარს უნდა ვაცვათ. რეალურად დსთ-ში შესვლამ მოგვცა ის, რომ მეტ-ნაკლებად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ბაზრები გაგვეხსნა და ფუნქციონირებდა, სანამ რუსეთმა ეს ყველაფერი არ ჩაკეტა. ასევე მოხდა სავიზო რეჟიმიც. დსთ-ს ფარგლებში ჩვენს ხალხს შედარებით შეუმსუბუქა ვითარება. შეიძლება დიდი პლუსი არ ყოფილა, მაგრამ დსთ-ს ჩვენთვის ზიანი არ მოუყენებია. დსთ-ს ვიყენებდით, როგორც ტრიბუნას. დღეს სულ სხვა დონეზე ვართ. ამის შესახებ ლაპარაკიც კი ეშინოდა საქართველოს ხელისუფლებას [illegible] ნატოს კარზე დავაკაკუნებთ.

# მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი დასრულდა

გუშინ თბილისში გაიმართა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების მესამე რაუნდი. მოლაპარაკებების მიზანს საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შეთანხმება წარმოადგენს.

საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი. ევროკავშირის მხრიდან მოლაპარაკებებს უძღვებოდა ევროკომისიის საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატის, აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიისა და აზიის დირექტორატის ხელმძღვანელი ჰუგ მინგარელი.

„სამოქმედო გეგმით" დაიწყება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების ახალი ეტაპი. ბუნებრივია, ეს იქნება იმ თანამშრომლობისა დ პარტნიორობის გაგრძელება, რომელიც აქამდე არსებობდა. სამოქმედო გეგმები სამხრეთ კავკასიის თითოეული ქვეყნისთვის სხვადასხვა იქნება და მხოლოდ თითოეული ქვეყნისთვის საინტერესო თემები იქნება მასში წარმოდგენილი.



*მოლაპარაკებების მიზანს საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შეთანხმება წარმოადგენს.*

პირველი ეტაპი კონსულტაციები იყო. რომელიც წარმატებით დასრულდა.

ამჟამად მიმდინარეობს მეორე ეტაპი - სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება ევროკომისიისა და საქართველოს მხრიდან. ამის შემდეგი ეტაპი იქნება ევროკავშირის საბჭოსთვის ამ სამოქმედო გეგმის წარდგენა. რასაც უნდა მოჰყვეს დამოწმება მინისტრების მიერ. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი რეალური სამუშაოების განხორციელება.

*24 საათი*

# ჯორჯ ბუშის სატელევიზიო გამოსვლა - აქცენტები შიდა პოლიტიკაზე

აშშ-ს ხელისუფლება საიმიგრაციო კანონპროექტში ცვლილებებზე ფიქრობს

აშშ-ში არალეგალურად მყოფი იმიგრანტების შესახებ კანონპროექტის განხილვა ერთი დღით გადაიდო. წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცებულმა კანონპროექტმა, რომელსაც ამერიკელებმა უკვე სახელიც შეურჩიეს - „ურჩხული", დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქმე 12 მილიონ არალეგალს ეხება (მათი უმრავლესობა ლათინოამერიკელია), რომლებიც შტატების ძირითად სამუშაო ძალას წარმოადგენს.

კანონპროექტში ცვლილებების შეტანამდე და მის საბოლოოდ ძალაში შესვლამდე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. ტელემიმართვით პრეზიდენტი ორშაბათს საღამოს 9 საათზე გამოვიდა და დაწვრილებით ისაუბრა შიდა პოლიტიკაზე. პრეზიდენტი მოქალაქეებს სამხრეთ საზღვრის გაძლიერებას დაჰპირდა, რათა კიდევ უფრო მეტი არალეგალი აღარ შემოვიდეს ქვეყანაში, ამ მიზნით მან ეროვნული გვარდიის 6 000 ჯარისკაცი გაგზავნა აშშ-მექსიკის საზღვრის დასაცავად. ამ ნაბიჯით ჯორჯ ბუშმა რესპუბლიკური პარტიის რადიკალურ ნაწილს მტკიცე გადაწყვეტილების აღსრულების უნარი აჩვენა. თუმცა, არალეგალი იმიგრანტების სასარგებლოდ მან არც იმის აღნიშვნა დაივიწყა, რომ კანონპროექტში აუცილებლად შევა ცვლილებები. ჯორჯ ბუშის წინადადებით, ახალი კანონი აუცილებლად გაითვალისწინებს არალეგალი იმიგრანტებისთვის დროებითი სამუშაო უფლების მიცემას.

თავისთავად 6 000 გვარდიელის გადასროლა საზღვარზე არაეფექტურად მიაჩნიათ სამხედრო წრეებში. 3.500 კმ-იან საზღვარს 6 000 ჯარისკაცი მაინც ვერ ეყოფა, რადგან ერთი კილომეტრის გაკონტროლება მხოლოდ 2 კაცს მოუწევს, მართალია, დამატებითი ძალების გადასროლა სასაზღვრო დაცვას ამოცანას გაუადვილებს, მაგრამ არალეგალური ნაკადის საწინააღმდეგოდ ეფექტურ ბრძოლას ვერ უზრუნველყოფს.

ჯორჯ ბუშის გამოსვლამ დიდი რეზონანსი გამოიწვია აშშ-ს პოლიტიკურ წრეებსა და ანალიტიკოსებში. იმიგრანტების შემოსვლის მოწინააღმდეგე რესპუბლიკელი ჯეი დი ჰეიუორთი აშკარად უკმაყოფილო დარჩა პრეზიდენტის გამოსვლით. მისი თქმით, ქვეყნის პირველმა პირმა არასწორად დასვა აქცენტები აღნიშნულ თემაზე.

**„ჩვენ ყველანაირად უნდა შევეცადოთ გავაძლიეროთ სასაზღვრო დაცვა და არ შემოვუშვათ ეს ხალხი ქვეყანაში, პრეზიდენტის ინიციატივა კი სახელმწიფოში გასტარბაიტერების სისტემის ამოქმედებას ნიშნავს. მექსიკა-არიზონის საზღვარს ყოველ ღამით დაახლოებით 6 000 ადამიანი კვეთს. ასე რომ საზღვრის დაცვა და ამ ხალხის უკანვე გაპანღურება ჩვენი პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა იყოს"**, - თქვა ჰეიუორტმა.

დემოკრატი სენატორი დიკ დურბინი კი პრეზიდენტის უფრო ლოიალურ დამოკიდებულებას ემხრობა.

**„ამ პრობლემას მხოლოდ საზღვრის გაძლიერებითა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით ვერ გადავჭრით. თვითონ განსაჯეთ, ბოლო 10 წლის მანძილზე ჩვენ გავაორმაგეთ სასაზღვრო დაცვა, რამაც არალეგალი იმიგრანტების ნაკადი კი არ შეამცირა, ასეთივე მაჩვენებლით გაზარდა. მე არ ვამტკიცებ, რომ საზღვრის დაცვა არ გვჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, უფრო გონივრული იქნება თუკი ამ საკითხს უფრო კომპლექსურად მივუდგებით და სამართლიანობის საფუძველზე ვეცდებით გადაჭრას"**, - აღნიშნა დურბინმა.

პრეზიდენტის სიტყვას მოუთმენლად ელოდა, როგორც ქვეყნის მოსახლეობა, ასევე პოლიტიკური წრეები. როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ, ბუში ამ შემთხვევას გამოიყენებდა, რათა მაქსიმალურად გადაებირებინა განსაკუთრებით ხისტი პოზიციის მქონე რესპუბლიკელები. თუმცა, ანალიტიკოსთა ნაწილი უკვე დარწმუნდა, რომ ჯორჯ ბუშმა ამ შანსის გამოყენება ვერ შეძლო.

**„ჩვენ 12 მილიონი არალეგალი იმიგრანტი გვყავს, განა ეს უკვე თავისთავად არ ნიშნავს კრიზისს ქვეყანაში? ეს ხალხი ხომ ვერ გაქრება, შეიძლება მათი არსებობა რამდენიმე წლით დავივიწყოთ, მაგრამ ამით პრობლემა ვერ გადაწყდება, საამისოდ საჭიროა საიმიგრაციო სისტემის რეფორმირება საზღვის გაძლიერების პარალელურად"**, - წერს გაზეთი „Weekly News"-ი.

ამდენად, ჯორჯ ბუშს უფრო ქმედითი ზომების მიღება მოუწევს და როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, თუ მას ჯერ კიდევ სურს თანაპარტიელების დარწმუნება [illegible], მან კონკრეტული გეგმა უნდა შეიმუშაოს.

*ბი-ბი-სი*

# სახალხო ბანკი მომხმარებელს ახალ ბრენდს - „სახალხო კრედიტს" სთავაზობს

პირველი გვერდიდან

ამასთან ერთად, „სახალხო კრედიტის" სერვისი განვადებასა და სამომხმარებლო სესხებს სახელფასო პროგრამაში ჩართულ ყველა იმ ფიზიკურ პირს მისცემს, ვისი ხელფასიც 150 ლარიდან იწყება.

„სახალხო კრედიტს" სახალხო ბანკმა 5 მილიონი ლარი გამოუყო. ამ თანხას ბანკი წლის ბოლომდე აითვისებს. სახალხო ბანკის გენერალური დირექტორი, გიორგი გოგუაძე აცხადებს, რომ ახალი სერვისის წარმატებული მუშაობის შემთხვევაში, ეს კაპიტალიზაცია კიდევ გაიზრდება. „ჩვენი ბანკის საქმიანობა აქამდე მხოლოდ მომსახურებით პროგრამებს ახორციელებდა, დღეიდან კი ჩვენ სრულიად ახალ სეგმენტზე გავდივართ. სახალხო ბანკი საკრედიტო მომსახურებას ძირითადად დაბალშემოსავლიან ადამიანებს გაუწევს. მათი რიცხვი კი საქართველოს მასშტაბით 840 000 აღემატება. ეს ბანკისთვის დიდი წარმატებაა"- განაცხადა სახალხო ბანკის გენერალურმა დირექტორმა.

ბანკის წარმომადგენლების ინფორმაციით, ახალი ბრენდის უპირატესობა სწორედ რომ ამ სეგმენტის მომსახურებაში მდგომარეობს. „სახალხო კრედიტის" ძირითადი მიმართულება სწორედ რომ დაკრედიტირება და სესხების გაცემაა. ჩვენ კრედიტს ყველა



იმ პირს შევთავაზებთ, რომელთა სახელფასო მინიმუმიც 150 ლარიდან იწყება. ბანკი კრედიტებს ამ ეტაპზე მხოლოდ 200 ლარიდან გასცემს. ჩვენ ბანკი სულ უფრო მეტ ადამიანს გაუღებს კარს. ასე, რომ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სახალხო კრედიტს ამ მხრივ კონკურენტი არ ეყოლება." აცხადებს სახალხო ბანკის გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი [illegible]. „სახალხო კრედიტს" თბილისში ჯერ მხოლოდ ორი, ვაკის და საბურთალოს ფილიალი აქვს. წლის ბოლომდე კი სახალხო ბანკი დედაქალაქში კიდევ ხუთ ფილიალს გახსნის. უახლოეს მომავალში კი მომსახურების ეს ახალი ქსელი რეგიონებშიც გავრცელდება.

## მოკლედ

### „მემარჯვენე ოპოზიცია" ხელისუფლებას მოსახლეობის მოტყუებაში ადანაშაულებს

საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი დავით საგანელიძე ხელისუფლებას მოსახლეობის მოტყუებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის მიზეზი საქართველოში რუსეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის გაძვირება არ ყოფილა. აღნიშნული განცხადება დავით საგანელიძემ გუშინ, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. საგანელიძის თქმით, საქართველოს მთავრობამ საპრივატიზაციოდ გამოიტანა სამი სადისტრიბუციო ენერგოკომპანია და ექვსი ჰიდროელექტროსადგური. მისივე განცხადებით, ხელისუფლებას ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირება სწორედ იმისთვის სჭირდებოდა, რომ ინვესტორი მოეზიდა და აღნიშნული ენერგოობიექტები უფრო ძვირად გაეყიდა. „სწორედ ეს არის დენის ტარიფის გაძვირების მიზეზი. ხელისუფლებამ მოსახლეობის ჯიბიდან ამოიღო თანხა და ინვესტორს მისცა", - აღნიშნა საგანელიძემ. პარლამენტარის მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლებას ენერგოობიექტების გასხვისებიდან შემოსული თანხები არჩევნებზე საკუთარი პარტიის გამარჯვებისთვის სჭირდება.

საგანელიძე გუშინ ახალი ინიციატივით გამოვიდა და მთავრობას შესთავაზა, უცხოელ ინვესტორებს სტრატეგიული ობიექტების მთლიანი წილი არ მიჰყიდოს. როგორც „მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი აცხადებს, ინვესტორები მზად არიან, საქართველოში სტრატეგიული ობიექტების მხოლოდ საკონტროლო პაკეტები შეიძინონ და აღნიშნული კომპანიები მართონ, დანარჩენი აქციები კი ხელისუფლებამ, შესაძლოა, საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოიტანოს და სტრატეგიული ობიექტების აქციათა მფლობელების რიცხვში ქართული კომპანიებიც მოხვდნენ. დავით საგანელიძის განცხადებით, ამით, შესაძლოა, მეანაბრეების პრობლემაც გადაიჭრას. მისი თქმით, დარჩენილი აქციებით ხელისუფლებამ მეანაბრეები უნდა დააკმაყოფილოს. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთი: ხელშემწყობი ქვეყანა?

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების შესაბამისად, ქართულ-აფხაზურ საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში რუსეთი ხელშემწყობი ქვეყნის სტატუსით აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ამის შესახებ განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტმა გუშინ გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ რუსეთი საკოორდინაციო საბჭოს ფორმატის ამოქმედებას მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებს. „ჩვენ არსებულ მოლაპარაკებათა პროცესში ყველა მექანიზმის სრულად ამოქმედება ყოველთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა. ვიმედოვნებთ, რომ საკოორდინაციო საბჭოს აღდგენა მხარეებს შორის ნდობის აღდგენასა და სამშვიდობო პროცესის წინსვლას ხელს შეუწყობს. ამ გზაზე თბილისსა და სოხუმს მხარეებს შორის არსებული ყველა კონსტრუქციული, ურთიერთმისაღები ელემენტების შერწყმა მოუწევს", - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**

### ქართველი სამხედროები მრავალეროვნულ სწავლებაში მონაწილეობენ

საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების მრავალეროვნული სწავლება „Combined Endeavor 2006"-ში მონაწილებენ, რომელიც გერმანიასა და ბოსნია-ჰერცოგოვინაში მიმდინარეობს. სწავლებაში სულ 41 პარტნიორი ქვეყნის 1200-ზე მეტი სამხედრო და სამოქალაქო ექსპერტი მონაწილეობს. „Combined Endeavor 2006" ერთდროულად ბაუმჰოლდერში „აულენბახ"-ის სამხედრო ბაზაზე, ხოლო ტუზლაში „იგლ"-ის ამერიკულ სამხედრო ბაზაზე მიმდინარეობს. სწავლება „პარტნიორობა მშვიდობისთვის" (PFP) პროგრამის ფარგლებში ამერიკის ევროპული სარდლობის დაფინანსებით ხორციელდება. საქართველოს შეიარაღებული ძალების 17 წარმომადგენელი ორივე ქალაქში ორ ჯგუფადაა განაწილებული. ქართულ დელეგაციას გენერალური შტაბის ჟ-6 კავშირგაბმულობის დეპარტამენტის ახალი ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი, მაიორი მიხეილ ქავთარაძე ხელმძღვანელობს. მრავალეროვნული სწავლება მიზნად ისახავს მონაწილე ქვეყნებს შორის კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების ურთიერთთავსებადობის მიღწევას. ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები დაგეგმავენ და განახორციელებენ ურთიერთთავსებადობის ტესტებს მართვის, კონტროლის, კომუნიკაციებისა და კომპიუტერული სისტემების სფეროში. მიღებული გამოცდილება მომავალში ხელს შეუწყობს მშვიდობიანი, საომარი და სამაშველო ოპერაციების ერთობლივ განხორციელებას. **ინტერპრესნიუსი**

### სპეცოპერაცია დაღესტანში

დაღესტანის ქალაქ კიზილიურტში უკანონო ბანდფორმირებების განადგურების მიზნით სპეცოპერაცია ჩატარდა. რესპუბლიკის სამართალდამცავების ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, განადგურებულია ერთი ბოევიკი. დაჭრილები არიან მილიციელები. კიზილიურტის ცენტრალურ საავადმყოფოში მიღებული ინფორმაციით, სავადმყოფოში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილ 7 მილიციელსა და ერთ ადგილობრივ მცხოვრებს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება.

სპეცოპერაციის შესახებ სამართალდამცავები კომენტარს არ აკეთებენ. სპეცოპერაციის ჩატარებიდან 400 მეტრში მდებარე სკოლაში სწავლა შეწყვეტილია, ხოლო 150 მეტრში მდებარე [illegible]. **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (Weekend), ნია თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# ევროპას ალტერნატივა სჭირდება

პირველი გვერდიდან

შუააზიური გაზის კასპიის ზღვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ტრანზიტის მივიწყებულ თემას ევროკავშირი მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც რუსულ „გაზპრომთან“ მისი ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. რუსული სახელმწიფო მონოპოლიის ხელმძღვანელობა ევროპას საკუთარი ექსპორტის ჩინეთში გადამისამართებით დაემუქრა, თუ „გაზპრომის“ ამბიციები ევროპაში დაკმაყოფილებული არ იქნება. კერძოდ, თუ მას საშუალებას არ მისცემენ ევროპის ქვეყნების გაზგამანაწილებელი ინფრასტრუქტურის ობიექტები შეიძინოს.

ამ დაპირისპირებას კი წინ უძღოდა პუბლიკაციები დასავლურ პრესაში იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტი „დიდი რვიანის“ სამიტზე, რომელიც ივლისში სანკტ-პეტერბურგში გაიმართება, ევროპისათვის „ულტიმატუმის“ წაყენებას გეგმავს. კერძოდ, რუსეთი, როგორც „დიდი რვიანის“ ამჟამინდელი თავმჯდომარე, სამიტზე ენერგეტიკული უსაფრთხოების საკუთარ კონცეფციას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც რუსეთი ევროპას გაზს ახალი მარშრუტებით - ბალტიის ზღვის გავლით და სამხრეთიდან თურქეთის გავლით მიაწვდის. გაზის განაწილებას კი ევროპაში ახალი რუსულ-გერმანულ-იტალიური კონსორციუმი განახორციელებს.

პუტინის გეგმით, გაზის ტრანზიტი აღარ განხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გავლით. განსაკუთრებული ინტერესი ამ მხრივ რუსეთს უკრაინის მიმართ აქვს, რომელიც, ტრანზიტის შეწყვეტის შემთხვევაში, რუსეთის მხრიდან გაზის ფასებით მანიპულირებისაგან და შანტაჟისაგან დაუცველი დარჩება. თუმცა, რუსეთის მზარდი პოლიტიკური ამბიციები განზე არც მის სხვა მეზობლებს დატოვებს.



ენერგომომარაგების ალტერნატიული გზა საქართველოზე გადის.

გარდა ამისა, ეს გეგმა, თავისთავად, უკვე ევროპის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე რუსეთის გარკვეულ კონტროლს გულისხმობს. რუსეთის ინტერესი ამ შემთხვევაში, ფინანსური მოგების გარდა, ევროპაზე უპრეცედენტო პოლიტიკური გავლენის მოპოვებაში მდგომარეობს.

2007 წელს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გერმანია ხდება. დასავლური პრესის ინფორმაციით, ანგელა მერკელის მთავრობა ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად კავკასიასა და შუა აზიაში ევროკავშირის პოლიტიკის გააქტიურებას ითვალისწინებს. როგორც ჩანს, გერმანიის ეს გეგმები გარკვეულწილად ენერგეტიკულ პრობლემებსაც უკავშირდება.

დღეისათვის ყაზახეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის გაზი რუსეთს აქვს მონოპოლიზებული. „გაზპრომი“ ამ ქვეყნებისგან გაზს 60-65 დოლარად ყიდულობს და ევროპის ქვეყნებზე გაცილებით ძვირად ყიდის. ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს გაზის ტრანსპორტირების სხვა გზა, რუსეთის გარდა, არ გააჩნიათ და იძულებულნი არიან, „გაზპრომს“ ბუნებრივი აირი კაბალური პირობებით მიჰყიდონ.

ევროკავშირის ახალი ინიციატივა საშუალებას მისცემს თურქმენეთს, ყაზახეთსა და უზბეკეთს ევროპას ახალი სატრანზიტო მარშრუტით დაუკავშირდნენ და, შესაბამისად, საკუთარი რესურსები, როგორც ევროპას, ასევე რუსეთს, რეალურ ფასად მიჰყიდონ. ევროკავშირის ახალი ინიციატივა საშუალებას მისცემს ევროპელებს - შეიძინონ ენერგორესურსების ახალი წყარო, შეამცირონ დამოკიდებულება რუსეთზე, და, შესაბამისად, მოთოკონ კრემლის პოლიტიკური ამბიციები; საქართველოს - თავი დააღწიოს რუსეთის გაზზე დამოკიდებულებას და, შესაბამისად, განამტკიცოს საკუთარი პოზიციები რუსეთთან ურთიერთობაში და ისევე, როგორც აზერბაიჯანმა, მიიღოს დამატებითი შემოსავლები ტრანზიტისაგან. ერთადერთი მხარე, ვისაც ეს ყველაფერი არ აწყობს, რუსეთია.

ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტზე მუშაობა, აშშ-ს ინიციატივით, 1998 წელს დაიწყო. შეიქმნა კონსორციუმი, რომელშიც კომპანიები General Electric, Bechtel National და Shell შევიდნენ. თუმცა, 2000 წელს პროექტის განხორციელება შეჩერდა, ფორმალურად თურქმენეთისა და აზერბაიჯანის უთანხმოების, რეალურად კი რუსეთის ზეგავლენის შედეგად. სამაგიეროდ, აქტიურად ხორციელდება ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტი, რომლითაც აზერბაიჯანული გაზი თურქეთს უნდა მიეწოდოს. მილსადენის მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება.

ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობა და მისი მიერთება ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენთან, ექსპერტების შეფასებით, ხუთი მილიარდი დოლარი დაჯდება. დღემდე ამ ხარჯების გაღება, როგორც ჩანს, აშშ-სა და ევროპას არ ულირდათ, მაგრამ კრემლის პოლიტიკურ ამბიციებთან შეჯახების შემდეგ, მიდგომა შეიცვალა.

რუსი ექსპერტები ევროპელების გეგმებს აკრიტიკებენ და აღნიშნავენ, რომ თურქეთის ინფრასტრუქტურა ევროპაში გაზის დიდი რაოდენობით ტრანზიტისათვის ვერ გამოდგება და ამ ქვეყნის ევროპასთან დამაკავშირებელი დამატებითი გაზსადენის აშენება გახდება საჭირო, რაც ხარჯებს კიდევ უფრო გაზრდის. თუმცა, იგივე ნაკლი მიესადაგება პუტინის გეგმასაც, რომელიც შავი ზღვის ფსკერზე გამავალი გაზსადენის „ცისფერი ნაკადის“ მეშვეობით, თურქეთის გავლით, სამხრეთ ევროპისათვის გაზის მიწოდებაზე საუბრობს.

ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთი ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტს ყველა შესაძლო ხერხით შეეწინააღმდეგება, ვინაიდან მისი განხორციელება ევროპაში კრემლის პოლიტიკური გეგმების კრახს გამოიწვევს.

# შეიცვლება თუ არა სამთავრობო გუნდი არჩევნების წინ

ია ანთაძე

მიმდინარე წლის ნოემბერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარდეს. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი ამ არჩევნებს მთავრობის განახლებული შემადგენლობით შეხვდება. მართლაც, კარგა ხანია ვრცელდება ხმები ხან ერთი და ხან მეორე მინისტრის შეცვლასთან დაკავშირებით. თუმცა, ჯერჯერობით, სამთავრობო გუნდი უცვლელია, რასაც მიმდინარე პოლიტიკური მომენტი განაპირობებს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თუ მთავრობის შემადგენლობა ერთი მესამედით შეიცვლება, პრეზიდენტმა თავიდან უნდა ჩამოაყალიბოს ახალი კაბინეტი, პარლამენტმა კი თავიდან უნდა გამოუცხადოს ნდობა პრეზიდენტის მიერ წარდგენილ სამთავრობო გუნდს. პრაქტიკულად, ეს ხდება მაშინ, როდესაც 18-წევრიან კაბინეტში მეექვსე მინისტრი შეიცვლება. ახლა ხუთი მინისტრი უკვე შეცვლილია და სწორედ ის ზღვარია, რომლის მიღმა ზემოთ აღწერილი პროცედურა იწყება. ცხადია, დღევანდელი პარლამენტი მზად არის, მიხეილ სააკაშვილს ნებისმიერი მთავრობა დაუმტკიცოს, ყველაზე არაპოპულარულიც კი. მაგრამ იმისათვის, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნებში საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს, დღევანდელ კაბინეტში ორიოდე მინისტრის გადანაცვლება, ალბათ, საკმარისი არ აღმოჩნდება. ამიტომ, ბუნებრივია, პრეზიდენტი არ ჩქარობს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ რაგინდ დაბალი რეიტინგი ჰქონდეს სახელისუფლებო პარტიას, ცვლილებებზე საუბარი ყოველთვის უკავშირდება არა არჩევნების წინა, არამედ - არჩევნების შემდგომ პერიოდს. ქართული პოლიტიკური ცხოვრების უახლესი ისტორია ადასტურებს, რომ, როგორც წესი, სახელმწიფოს ხელმძღვანელი დებს პირობას, არჩევნების მოგებისთანავე არსებითად შეცვალოს საკუთარი გუნდიც და მართვის სტილიც. ამგვარი დაპირების შთამბეჭდავი ნიმუში იყო ედუარდ შევარდნაძის 2000 წლის საპრეზიდენტო კამპანიის ყველაზე ცნობილი ფრაზა: რომ მას, პრეზიდენტად მეორედ არჩევის შემთხვევაში, ხელი არ აუკანკალდება კორუმპირებული ჩინოვნიკების დასასჯელად. მაშინ ათასი მიზეზი დასახელდა, რატომ არ შეიძლებოდა კორუფციასთან ბრძოლა არჩევნების წინ და რატომ იყო აუცილებელი ამის გაკეთება მაინცდამაინც არჩევნების შემდეგ. ახლაც, თუ მიხეილ სააკაშვილი გადაწყვეტს, რომ თვითმმართველობის არჩევნებში მისი პარტია ძველი სამთავრობო გუნდით გამოვა, საზოგადოება უსათუოდ მოისმენს დაპირებებს არჩევნების შემდეგ დაგეგმილ განახლებაზე.

მაგრამ, არ არის გამორიცხული, ამჯერად მავნე ტრადიცია დაირღვეს და ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში უახლოეს თვეებშივე ბევრი რამ შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, უკრაინის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მეტისმეტად უხერხული და უადგილო იქნება საქართველოში არჩევნების იმგვარი გაყალბება, რაგვარსაც ამჟამინდელი საარჩევნო კოდექსისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემქმნელები გულისხმობდნენ.

მთავრობის როგორ განახლებაზე შეიძლება ფიქრობდეს მიხეილ სააკაშვილი, ძნელი სათქმელია, რადგან, ჯერჯერობით, საკვანძო თანამდებობებს იგი მხოლოდ რევოლუციისდროინდელ თანამებრძოლებს ანდობს. რეალური განახლებისთვის კი არარევოლუციური მთავრობის ჩამოყალიბებაა საჭირო.

საჯარო ინფორმაციის ანალიზით შესაძლებელია იმ ვერსიებზე საუბარი, თუ რას სთავაზობენ პრეზიდენტს წინასაარჩევნოდ სწორედ ამგვარი არარევოლუციური მთავრობის მომხრეები. ვერსია სულ ორია და ორივე მარტივი: ოპოზიცია მიხეილ სააკაშვილს სთავაზობს ამჟამინდელი გუნდის ჩამოცილებას და კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას. შიდა გარემოცვის ორი ბანაკი კი პრეზიდენტს სათითაოდ სთავაზობს ერთის გავლენის გაფართოებას, მეორის პოლიტიკური გაკოტრების ხარჯზე. მეორე ვერსიას არარევოლუციურობის იერს ანიჭებს პრეზიდენტის შიდა გარემოცვაში უცნაურად შეჭრილი ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც დღეს უფრო მეტ საერთოს პოულობს მიხეილ სააკაშვილის ახლობლებთან, ვიდრე ოპოზიციასთან. არც ის არის შემთხვევითი, რომ ტელეკომპანია „იმედი“ აგრძელებს კრიტიკული მასალების მოძიებას და გამოქვეყნებას შინაგან საქმეთა სამინისტროზე. იქნებ, კიდეც ახდეს გიგა ბოკერიას წინასწარმეტყველება და ხვალ ბადრი პატარკაციშვილი მართლაც აღმოჩნდეს რეალური ლიდერი, მაგრამ, საკითხავია, ვისი - ოპოზიციის თუ ერთ-ერთი სახელისუფლებო გუნდის?

საბოლოოდ, პრეზიდენტის წინაშე წინასაარჩევნოდ სულ ორი პერსპექტივაა: ყველაფრის უცვლელად დატოვება ან სამთავრობო გუნდის განახლება. ცვლილებების შემთხვევაშიც ორი გაგრძელებაა მოსალოდნელი: ოპოზიციასთან დათმობაზე წასვლა და კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება, ან შიდა სამთავრობო გუნდებიდან ერთ-ერთის გაწირვა, მეორის გაძლიერების ფონზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, პრეზიდენტის წინასაარჩევნო გადაწყვეტილებების მთელი სპექტრი ერთ ფრაზაში თავსდება: ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს იგი ან ძველი მთავრობით და ახალი დაპირებებით შეხვდება, ან პირიქით - ახალი მთავრობით და ძველი დაპირებებით.

*მასალა გამოქვეყნებულია რადიო „თავისუფლების“ ეთერით.*

# პრეზიდენტი სააკაშვილი სიფრთხილით უყურებს რუსეთს

პირველი გვერდიდან

თბილისში ქუჩები იმ შენობის გარშემო, სადაც ადრე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მდებარეობდა, ბნელი და თითქმის უკაცრიელია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მაწანწალა ძაღლსა და გარკვეული ინტერვალით განთავსებულ პოლიციის საგუშაგო პოსტებს. თუმცა, უსახური, რკინა-ბეტონის ბლოკებით აშენებული შენობის მე-12 სართულზე შუქი ანთია. დრო 23:30... მაგრამ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ თათბირებსა და შეხვედრებს მართავს. მის კაბინეტში უზარმაზარი პლაზმურეკრანიანი ტელევიზორი ყოველთვის „BBC World“-ზეა ჩართული. ბატონი სააკაშვილი დაღლილია, თუმცა, როგორც ყოველთვის, ძალიან სწრაფად და დამაჯერებლად საუბრობს. მისი თქმით, უნდა, რომ შესაძლებლობა მიეცეს ისაუბროს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ დაეხმარა საქართველოში ჩატარებული საგადასახადო რეფორმები ქვეყნის ბიუჯეტის ორ წელიწადში ხუთჯერ გაზრდაში; თუ როგორ ამუშავდა ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტები; თუ როგორ აღადგენს ქვეყანა ავტომაგისტრალებს და იზიდავს ინვესტიციებს საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიაში.

თუმცა, საუბარი ისევ და ისევ გადადის სხვა თემაზე. **„არ მინდა, რომ მათ წყობილებიდან გამომიყვანონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია** - ამბობს იგი, - **და ისინი ვერც დამაკარგვინებენ წონასწორობას**“. „ისინი“- რუსები არიან. მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ რუსეთის ქცევა სამხრეთ მეზობელთან მიმართებაში, რომელსაც იგი ორი საუკუნის მანძილზე ფლობდა, ძლიერ აშფოთებს სააკაშვილს.

ურთიერთობები გაუარესდა უკანასკნელი თვეების მანძილზე მომხდარი მთელი რიგი ინციდენტების შედეგად. ჯერ იყო და, იანვარში მომხდარმა სამმა ბურუსით მოცულმა აფეთქებამ საქართველო რუსეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის გარეშე დატოვა - თანაც რეკორდული სიცივეების დროს. ბატონმა სააკაშვილმა რუსეთი ლამის გაზსადენებზე წინასწარგამიზნულ საბოტაჟში დაადანაშაულა; რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ამ აფეთქებებზე პასუხისმგებლობა ტერორისტებს დააკისრა, ხოლო სააკაშვილის განცხადებებს ისტერიული უწოდა.

საინტერესოა, დღესაც ფიქრობს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი, რომ აფეთქებებში რუსეთის ხელი ერია? **„მე ვსვამ კითხვებს, რომლებზეც არგუმენტირებულ პასუხებს ვერ ვიღებ. სულ ესაა, რისი თქმაც შემიძლია,** - ამბობს იგი, - **ხელთ გვაქვს ასევე დაზვერვის მონაცემები, რომელიც ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებსაც გავაცანით“.**

შემდეგ, სამხრეთ ოსეთის გამო ორ მხარეს შორის მზარდი დაძაბულობის პარალელურად, რუსეთის ოფიციალურმა პირებმა დაიწყეს ლაპარაკი საქართველოს ამ სეპარატისტული ანკლავის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე. ამ იდეის განხორციელება იქნებოდა გარდამტეხი მომენტი, რომელიც დაამსხვრევდა სააკაშვილის ოცნებებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით.

დაბოლოს, მარტში რუსეთმა ქართულ ღვინოზე ემბარგო დააწესა, იმ მიზეზით, რომ, თითქოსდა, მასში პესტიციდების მაღალი შემცველობა აღმოაჩინა. მიმდინარე თვეში აიკრძალა ცნობილი ქართული მინერალური წყლის - „ბორჯომის“ შეტანა. უფრო ადრე, დაიბლოკა რუსეთში ქართული ხილის შეტანა.

ბატონი სააკაშვილი ცდილობს, რომ ამ ყველაფერს ფილოსოფიურად შეხედოს. **„მათ დაბლოკეს ვაშლის იმპორტი, თუმცა, ჩვენ ვისწავლეთ მისგან კონცენტრატის დამზადება, ისევე, როგორც მალფუჭებადი ფორთოხლის შენახვა და სხვაგან გატანა,** - ამბობს ის, - **ეს ყველაფერი იმას ჰგავს, რომ ადამიანი ზღვაში ჩააგდო და აიძულო ცურვის სწავლა. ჩვენ უკვე გავცურეთ“.**

**„რას იტყვით ოპოზიციის მტკიცებაზე, რომ სააკაშვილი და მისი თანაგუნდელები თვითონვე ქმნიან დაძაბულ სიტუაციას რუსეთთან, განსაკუთრებით - სამხრეთ ოსეთის გამო, თითქოსდა იმისთვის, რომ ყურადღება გადაიტანონ ვარდების რევოლუციის დაპირებების შეუსრულებლობიდან?“** სააკაშვილი აცხადებს, რომ მისი ნდობის რეიტინგი 70 პროცენტის დონეზე რჩება. ამავდროულად, მოსახლეობის მოლოდინები „ნაკლებად ეიფორიული“, თუმცა გაცილებით რეალისტური გახდა, ვიდრე რევოლუცის მომდევნო პერიოდში იყო.

**„რევოლუციის შემდგომი გამოკითხვებისას მე საქართველოს ისტორიულ მოღვაწეთა პირველ ოთხეულში მასახელებდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ ყველა მთავარი პრობლემა გადაჭრილი იქნებოდა 3-6-თვიან პერიოდში,** - ამბობს იგი, - **დღეს ხალხი მიხვდა, რომ პრობლემების მოგვარებას 5-10 წელიწადი სჭირდება. 2009 წელს დაგეგმილ მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებამდე პრიორიტეტი იქნება ეკონომიკაში რაც შეიძლება დიდი პროგრესის მიღწევა“.**

რუსეთთან დაძაბული ურთიერთობები, დასძენს იგი, ყველაზე ნაკლებად თავად მას სჭირდება, რადგანაც მთავარ მიზანზე კონცენტრირებაში უშლის ხელს. როგორც სააკაშვილი ამბობს, უკვე შექმნილია სოლიდური საფუძველი: შევარდნაძის მმართველობის ბოლოს არსებული 500-მილიონდოლარიანი ბიუჯეტის გაზრდა დღევანდელ 3 მლრდ დოლარამდე, აქტიურ ანტიკორუფციულ კამპანიასთან ერთად, ადასტურებს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ამუშავდა; მშენებლობის პროგრამა მიზნად ისახავს 2008 წლისთვის ახალი საავადმყოფოების, სკოლებისა და ავტომაგისტრალების შექმნას ქვეყანაში; ინვესტირება მიმდინარეობს ტურისტულ ინდუსტრიაშიც - ძირითადად ყაზახი ინვესტორების ხარჯზე. თუ ზრდის ასეთი ტემპები შენარჩუნდება, ამბობს იგი, ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი 2400 დოლარს გაუტოლდება, ანუ, მსყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით, სამჯერ გაიზრდება. მაშინ კი, საქართველო აღარ იქნება ღარიბი ქვეყანა.

მაგრამ, სააკაშვილს ადანაშაულებენ იმაში, რომ მისმა რეფორმისტულმა ჟინმა მედიაზე ხელისუფლების ზეწოლა და პოლიტიკური კონტროლის მეტისმეტად ცენტრალიზაცია გამოიწვია. სააკაშვილი ირწმუნება, რომ ასეთი კრიტიკა უსამართლოა. **„ქვეყანა რამდენიმე საზომით ფასდება: პირველ რიგში, შეუძლია თუ არა იქ ოპოზიციას თავისუფლად აზრის გამოთქმა - ჩვენთან კი სწორედ ასეა. ჩართეთ ჩვენი ტელეარხები და იხილავთ, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ ლაპარაკი. ჩვენთან ტარდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და ჩვენთან არსებობს სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი და, ხანდახან, ჩემი აზრით, მთავრობის მიმართ მეტისმეტად მკაცრიცაა. საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი მიზანია მსოფლიო თანამეგობრობასთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება, რისთვისაც 2008 წელს ნატო-ში გაწევრიანებას ვგეგმავთ“.**

თუმცა, სააკაშვილმა იცის, რომ ქვეყანა მხოლოდ მაშინ იქნება სიცოცხლისუნარიანი და დამოუკიდებელი, თუ რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებს. იგი ამტკიცებს, რომ ეს ორი კურსი არამარტო არ უშლის ხელს ერთმანეთს, არამედ სრულიად მიღწევადიცაა. **„ჩვენ გვინდა ნატო-ში ყოფნა. მაგრამ, ამავდროულად, მთელი რიგი ბუნებრივი მიზეზების გამო, ჩვენს ყველაზე ახლო მეგობრად რუსეთი დარჩება,** - ამბობს საქართველოს პრეზიდენტი, - **თუ, ვთქვათ, თურქეთი და ფინეთი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას ახერხებენ, მაშინ ეს საქართველოსთვისაც შესაძლებელია. მე ამაში ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ“.**

# ლუკაშენკოსა და მის გარემოცვას აშშ-ს ტერიტორიაზე არ შეუშვებენ

ლუკაშენკოსა და მის გარემოცვას აშშ-ს ტერიტორიაზე არ შეუშვებენ. ამის შესახებ გადაწყვეტილება აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიიღო.

აკრძალვა ბელარუსის პრეზიდენტის გარდა ბელარუსის ჩინოვნიკებსა და მოქალაქეებზე გავრცელდება, ვინც ხელისუფლების ანტიდემოკრატიული საქმიანობისგან მოგებას იღებს.

„აკრძალვა ლუკაშენკოს გარდა მთავრობის წევრებზე გავრცელდება, ვინც არჩევნებს აყალბებს, არღვევს ადამიანის უფლებებს ან ბრალი კორუფციაში ედება, თავისი მოქმედებით ძირს უთხრის დემოკრატიულ ინსტიტუტების საქმიანობასა და ბელორუსიაში დემოკრატიის გამარჯვებას“, - აღნიშნა პრეზიდენტმა ბუშმა.

მისი თქმით, აკრძალვა ჩინოვნიკების გარდა, ასევე იმ მეწარმეებსა და მათ მეუღლეებს შეეხებათ, ვინც მოგებას ადამიანის უფლებათა დარღვევით შოულობს.

ბუშის აზრით, პრეზიდენტ ლუკაშენკოსა და მისი გარემოცვისთვის აშშ-ს ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა „ხელს შეუწყობს დემოკრატიაზე მეოცნებე ბელარუსი ხალხის რეალიზაციას“.

ლუკაშენკოს წინააღმდეგ, რომელსაც დასავლეთში „ევროპის უკანასკნელ დიქტატორს“ უწოდებენ, ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სანქციები მოქმედებს. დასავლეთმა ბელარუსში ჩატარებული არჩევნები დემოკრატიული სტანდარტების შეუსაბამოდ მიიჩნია. **ინტერპრესნიუსი**

# საკოორდინაციო შტაბი უშიშროების საბჭოსთან

პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით, აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად უშიშროების საბჭოსთან საკოორდინაციო შტაბი შეიქმნა, რომელსაც უშიშროების საბჭოს მდივანი კოტე კემულარია უხელმძღვანელებს.

აფხაზურ მხარესთან პირდაპირი დიალოგის პარალელურად, თბილისი მოსკოვთან დიალოგის აღდგენას გეგმავს. ამის შესახებ, გუშინ უშიშროების საბჭოს მდივანმა კოტე კემულარიამ უშიშროების საბჭოში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით გამართული სამუშაო თათბირის დასრულების შემდეგ განაცხადა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პრეზიდენტის მრჩეველმა აფხაზეთის საკითხებში, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გია ხევიაშვილმა და იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ.

კოტე კემულარიას განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულ -აფხაზური მოლაპარაკებები თვისობრივად ახალ ფაზაში გადადის. მისივე თქმით, ახლად შექმნილი საკოორდინაციო შტაბი კოორდინირებას გაუწევს ხელისუფლების ქმედებას აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, რათა ჩამოყალიბდეს ერთიანი აბსოლუტურად შეთანხმებული პოზიცია.

მისი თქმით, საკოორდინაციო შტაბი, უახლოეს დღეებში შეიმუშავებს ამგვარ სამოქმედო გეგმას და საქმის კურსში ჩააყენებს პრეზიდენტსა და მთავრობას. კემულარიას შეფასებით საკოორდინაციო საბჭოში შემავალმა პირებმა პირველივე სამუშაო სხდომაზე ნაყოფიერად იმუშავეს. **ინტერპრესნიუსი**



# მართლმსაჯულება საპროცესო დარღვევებით

*თბილისის საქალქო სასამართლოში დაიწყო განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულის ირაკლი მალანიას სასამართლო პროცესი. მართალია, ჯერ მხოლოდ განმწესრიგებელი სხდომა ჩატარდა და მოსამართლე საქმის არსებით განხილვაზე ჯერ არც გადასულა, მაგრამ განსასჯელის ინტერესების დამცველი უკვე უნდობლობას უცხადებს მოსამართლე ჯემალ კოპალიანს და მართლმსაჯულების არაობიექტურობასა და ტენდენციურობაზე ლაპარაკობს. საქმე ისაა, რომ სასამართლო პროცესის მოსამზადებელ ეტაპზევე მოსამართლემ მხოლოდ პროკურატურის პოზიცია გაითვალისწინა და დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ადვოკატი პროცესის მსვლელობისას იმ მოწმეების დაკითხვას მოითხოვდა, რომლებიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობას დაამტკიცებდნენ და ირაკლი მალიანას ალიბს დაადასტურებდნენ.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

საქმე ისაა, რომ 2005 წლის ივნისში იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავებულ ირაკლი მალანიას სხვა, განსაკუთრებით მძიმე მუხლებით - განზრახ მკვლელობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ასამართლებენ. საუბარია 2002 წლის 20 მარტს დიდუბეში მდებარე ერთ-ერთ ჯიხურზე მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმაზე, რომლის დროსაც ჯიხურის მეპატრონე მიხეილ სულავა თავდამსხმელებმა დაჭრეს, მისი მეუღლე კი მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. არადა, საქმეში დევს მასალები, რომელთა მიხედვითაც, ირაკლი მალანია 2002 წლის 20 მარტს მომხდარ დანაშაულში მონაწილეობას ვერანაირად ვერ მიიღებდა. იმ დროს, როდესაც ჯიხურზე თავდასხმა განხორციელდა, ირაკლი მალანია მძიმედ ავად იმყოფებოდა და მას, უბრალოდ, დახმარების გარეშე გადაადგილებაც არ შეეძლო.

როგორც ადვოკატი განმარტავს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ავტოავარიაში მოყვა და ორივე ფეხის ამპუტაციას სასწაულებრივად გადაურჩა. მან რამდენიმე მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ჯერ - სტაციონარულ, ხოლო შემდეგ ამბულატორიულ მკურნალობას გადიოდა; მკურნალობდა სხვადასხვა დაწესებულებაში და, იმის გამო, რომ ოჯახს საავადმყოფოსთვის საჭირო ხარჯების გაღების საშუალება არ ჰქონდა, მალანია მეგობრებს და ოჯახის წევრებს ექიმებთან ხელჯოხებით დაჰყავდათ. ერთი სიტყვით, იმ პერიოდში, როცა ყაჩაღებმა მიხეილ სულავა დაჭრეს, ხოლო მისი მეუღლე სიცოცხლეს გამოასალმეს, მალანიას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო.

ადვოკატმა ეკა ბესელიამ მოითხოვა სწორედ იმ მოწმეების დაკითხვა, რომელთა დახმარებითაც მალანია ხელჯოხებით გადაადგილდებოდა; ასევე, მოითხოვა იმ ექიმების სასამართლოში გამოძახება, რომლებიც მძიმედ ავადმყოფს მკურნალობდნენ. დაცვის მხარის მიერ შედგენილ დასაკითხთა სიაში იყვნენ ის ექსპერტებიც, რომელთა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმადაც, დანაშაულის ჩადენის პერიოდში - ანუ 2002 წლის 20 მარტს, კატეგორიულად გამოირიცხა ირაკლი მალანიას დამოუკიდებლად და თავისუფლად გადაადგილება.

სხვათა შორის, ეს მოწმეები, მიუხედავად დაცვის მხარის დიდი მონდომებისა, არც წინასწარი გამოძიების მსვლელობისას დაუკითხავს გამოძიებას.

**„სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე დადასტურდა ეჭვი, რომ ირაკლი მალანიას იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავების ამსახველი ვიდეომასალის საინფორმაციო საშუალებებით გამუდმებით „ტრიალს“ კონკრეტული მიზანი ჰქონდა. სამართლდამცველებს ჰქონდათ მძიმე ბრალდების გაუხსნელი საქმე, რომელიც გახსნილი საქმეების სტატისტიკას უნდა შემატებოდა და ამისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა იყო საჭირო. იმას, რაც გამოძიებამ კანონის იგნორირებით გააკეთა მალანიას საქმეში, როგორც ჩანს, სასამართლო დააკანონებს, რადგან, როდესაც მოსამართლე უარს ამბობს დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებების მოსმენაზე და განსასჯელის უტყუარი ალიბის გადამოწმებაც არ სურს, იქ ობიეტურობაზე და სამართლიანობაზე საუბარი უკვე ზედმეტია“,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ეკა ბესელიამ.

საქმის მასალების მიხედვით, მალანიას დაკავების შემდეგ სამართალდამცველებს მიმართა რამდენიმე წლის წინათ მასზე და მის მეუღლეზე განხორციელებული თავდასხმისას დაზარალებულმა მიხეილ სულავამ და განაცხადა, რომ ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში თავდამსხმელი, ყაჩაღი - მალანია ამოიცნო. რაც ყველაზე მთავარია, მიხეილ სულავას მიერ, დაახლოებით, ოთხი წლის წინ მიცემული ჩვენებები აბსოლუტურად განსხვავდება გამოძიებისთვის მოგვიანებით მიცემული ჩვენებებისგან. დაზარალებული თავდამსხმელს, რომელშიც მან, გამოძიების მტკიცებით, მალანია ამოიცნო, აბსოლუტურად განსხვავებული გარეგნობის მონაცემებით აღწერდა.

დაცვის მხარემ პირველივე სასამართლო პროცესზე მოსამართლის აცილების საკითხი დააყენა, თუმცა მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა ირაკლი მალანიას საქმე არ აიცილა და მომდევნო სასამართლო სხდომის თარიღიც ჩანიშნა. მოსამართლემ ადვოკატს არც სახელმწიფო ბრალმდებლის მიხეილ ჩხეიძის საქმიდან აცილების მოთხოვნა დაუკმაყოფილა.

**„უკვე ცხადია, როგორ ჩატარდება მალანიას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო გამოძიება. ჯერ კიდევ სასამართლო პროცესის მოსამზადებელ, უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, როცა მოსამართლემ საქმის არსებითი განხილვისთვის საჭირო ყველა დეტალი უნდა გადაამოწმოს, უკვე დარღვეულია კონსტიტუციური მოთხოვნები, ევროკონვენციის მეხუთე და მეექვსე მუხლები, დარღვეულია ევროსასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები და იგნორირებულია მართლმსაჯულების განხორციელებისას სავალდებულო შეჯიბრებითობის პრინციპი“,** - აცხადებს ეკა ბესელია.

*მოკლედ*

## ახმეტაში ეკლესია გაქურდეს

ახმეტაში ერთადერთი მოქმედი ეკლესია - ჯვარპატიოსნის ეკლესია გაქურდეს. ეკლესიის მოძღვრის მამა ისაკის განცხადებით, მძარცველებმა მრევლის მიერ შეწირული თანხა წაიღეს. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს ძიება, თუმცა დამნაშავის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. **24 საათი**

## პასუხი ტერი დევისს

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა განაცხადა, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ორ მესამედში ჯერ კიდევ მოქმედებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის. დევისმა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს მოუწოდა, მოეხდინათ ცილისწამების დეკრიმინალიზაცია.

საქართველოს მთავრობა სწორედ აღნიშნულ მოწოდებას გამოეხმაურა. იუსტიციის სამინისტროს მიერ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მომზადდა წერილი, რომელიც საქართველოში გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიების განმტკიცების მიზნით შემუშავებულ საკანონმდებლო ნოვაციებს ეხება. ტერი დევისს ქართულმა მხარემ აცნობა, რომ ცილისწამებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსში 2004 წელს შეტანილი ცვლილებებით გაუქმდა. **24 საათი**

## რეკომენდაცია ფინანსურ პოლიციას

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა - წამალაშვილმა, გიგაურმა, ნათობაიძემ, ჭრიკიშვილმა და ძიმიშვილმა. მათი განცხადებით, 2006 წლის 19 იანვარს შპს „გრილაინმა“ ისინი ზაჰესის საბაჟო ტერმინალის საწყობიდან ტვირთის გადასაზიდად დაიქირავა. ტვირთის მიღებიდან მეორე დღეს მათ საკუთრებაში არსებული სატვირთო ავტომანქანები ფინანსურმა პოლიციამ, სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, დალუქა და საბაჟო ტერმინალის ეზოში გააჩერა. მათი განცხადებით, ფინანსური პოლიციის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული ექსპერტიზა ჭიანურდება და მათი კუთვნილი ავტომანქანები დღემდე საბაჟო ტერმინალის ტერიტორიაზე იმყოფება. ავტომანქანების გაჩერების გამო, მათი ოჯახები საარსებო წყაროს გარეშე არიან დარჩენილები და უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებაში იმყოფებიან. ავტომანქანის მძღოლებმა სახალხო დამცველს კუთვნილი ავტომანქანების დაბრუნებაში დახმარება სთხოვეს.

სახალხო დამცველის განცხადებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლი ითვალისწინებს საქმის წარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანოს მიერ მესაკუთრის ან მფლობელისათვის მალფუჭებადი საგნების, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელი საგნების, შინაური პირუტყვის, ფრინველის, სხვა შინაური ცხოველების, სატრანსპორტო საშუალებების დაბრუნებას.

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველს დაუშვებლად მიაჩნია, რამდენიმე თვის განმავლობაში მოქალაქეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო ტერმინალის ეზოში გაჩერება, რითაც მათ საქმიანობას სერიოზული ზიანი მიადგა.

სახალხო დამცველმა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს ლევან მხეიძეს რეკომენდაციით მიმართა - განიხილოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთათვის დროულად დაბრუნების საკითხი.

*24 საათი*

# გაუხსნელი მკვლელობა

პირველი გვერდიდან

**„პირველი ვერსია ჩემი ჩვენების შემდეგ გამოირიცხა, რადგან ასეთი არავინ მეგულებოდა. რაც შეეხება საქონლის ქურდობას, ესეც აბსურდი იყო, რადგან საქონელი წაყვანილი არ იყო. მკვლელს ამის სურვილი თუ ჰქონდა, საქონელს ტყით დაფარული საძოვრებიდან წაიყვანდა, რადგან პირუტყვი, თითქმის, უპატრონოდ გვყავდა მიტოვებული,“** - ამბობს ხვიჩა კაცელაშვილი. მისივე თქმით, მისი დედა და დეიდა შეიძლება ისეთი ფაქტის თვითმხილველები გახდნენ, რასაც ტრაგედია მოჰყვა.

**„ამ სოფლებზე ხშირად გადადიოდა ნაქურდალი. ამიტომაც ამ ვერსიას არ გამოვრიცხავ“,** - ამბობს ხვიჩა კაცელაშვილი.

მკვლელობის ადგილიდან რამდენიმე მეტრში პოლიციამ ბლოკნოტი და დანა აღმოაჩინა. როგორც ხვიჩა ამბობს, ეს ნივთები, სავარაუდოდ, ფაქტის თვითმხილველს ეკუთვნის, რომელიც სიტუაციის უნებლიე მოწმე გახდა. ინკოგნიტო თვითმხილველის გარდა, არსებობენ სხვა მოწმეებიც - ის მეთევზეები, რომლებმაც მკვლელობის დღეს კაცელაშვილების სახლთან გაჩერებული მსუბუქი ავტომანქანა შეამჩნიეს, თუმცა საეჭვო არაფერი დაუნახავთ.

საგულისხმოა, რომ ამავე წელს საქართველოში რამდენიმე გახმაურებული მკვლელობა მოხდა. სწორედ ამის გამო, პრეზიდენტმა შევარდნაძემ განკარგულება გასცა, რომ ყველა მკვლელობა, მათ შორის, დები კაცელაშვილების საქმეც, დროულად გამოძიებულიყო. იმის გამო, რომ ახმეტის პოლიციის მაშინდელ უფროსს თემურ არაბულს და რაიონის პროკურორს იგორ ყურაშვილს თანამდებობები არ დაეკარგათ, მკვლელობაში ეჭვმიტანილის სტატუსით ნინო და ეთერ კაცელაშვილების ძმა - ოსიკო კაცელაშვილი ჯერ იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დააკავეს, შემდეგ კი დების მკვლელობაში დაადანაშაულეს. მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის გამო, იგი მალევე გაათავისუფლეს.

კაცელაშვილების ოჯახში ამის შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ სამართალდამცველებმა საქმე შეგნებულად მიჩქმალეს.

**„ბიძაჩემის დაკავება ახმეტის რაიონის პოლიციამ კარგად დაგეგმა. რადგან ბიძაჩემს იარაღი არ ჰქონდა, ის პოლიციამ თავად ჩაუდო და დაჭერის საბაბიც გაუჩნდა, შემდეგ კი ბრალი საკუთარი დების დახოცვაში წაუყენეს. მიზეზად კი ის ფაქტი დაასახელეს, რომ მკვლელმა სახლი არ გადაწვა და არც არაფერი მოიპარა. მაგრამ, მტკიცებულება რომ არ არსებობდა, იძულებულები გახდნენ, იგი გაეთავისუფლებინათ“,** - ამბობს ნინო კაცელაშვილის შვილი.

ხვიჩა კაცელაშვილი მკვლელობის მეორე დღეს იხსენებს: სამართალდამცველებმა იგი სახლში არ შეუშვეს და დედის ცხედრის ნახვის უფლება არ მისცეს. იგორ ყურაშვილი, რომელიც იმ დროს ახმეტის რაიონის პროკურორი იყო, აცხადებს, რომ გარდაცვლილ დებს შვილი არ ჰყავდათ.

**„მე ვიცოდი, რომ შვილი არც ერთ დას არ ჰყავდა. რაც შეეხება მკვლელობის მიზეზს, ვერ დადგინდა და გამოძიება ამიტომაც შეჩერდა“,** - ამბობს იგორ ყურაშვილი, რომელიც ამჯერად თელავის პროკურორის მოადგილეა.

საინტერესოა ერთი მომენტი: მკვლელობა იმ დროს მოხდა, როცა ილტოს ხეობაში ჩეჩნეთიდან ნარკოტიკების შემოდინება აქტიურად მიმდინარეობდა; ასევე, ამ ხეობიდან ინტენსიურად გადიოდა უნიკალური ჯიშის ხე-ტყე. სწორედ უკანონო ბიზნესის წარმოების უნებლიე მოწმეობა მიაჩნია მკვლელობის საბაბად მოკლული ნინო კაცელაშვილის შვილს. ამ ვერსიას პოლიციის ყოფილი უფროსი თემურ არაბული გამორიცხავს, თუმცა მკვლელობის შესახებ ბუნდოვან განმარტებას იძლევა.

**„დების მკვლელობა არ უკავშირდება იმ დროს აქტუალურ ისეთ ამბებს, როგორიცაა ნარკოტიკები. ეგ ყველაფერი შიგნით მოხდა, თუმცა კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით,“** - ამბობს თემურ არაბული, რომელიც ამ დროისთვის ახმეტის პოლიციის თანამშრომელია.

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის 15 მაისს სადისტურად მოკლული დების საქმე დღემდე გაუხსნელია, ხვიჩა კაცელაშვილი იმედს არ კარგავს და ამბობს: **„ასეთი სახის მკვლელობები გაუხსნელი არასოდეს რჩება. ეს შეიძლება დღეს არ მოხდეს, მაგრამ მომავალში ამის იმედი ნამდვილად მაქვს“.**

# ცნობილი სპორტსმენი მკვლელობაშია ეჭვმიტანილი

შსს-მ დააკავა ცნობილი ძიუდოისტი დავით მარგოშვილი, რომელიც 25 წლის მალხაზ ჯაფარიძის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. მკვლელობა გუშინწინ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, სტუდქალაქის ტერიტორიაზე მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლას წინ შელაპარაკება უძღოდა. შელაპარაკებისას დაჭრილი მალხაზ ჯაფარიძე თბილისის მე-9 საავადმყოფოში გადაიყვანეს. თუმცა, ექიმების თქმით, იგი უკვე გარდაცვლილი იყო. იგი მუხლში ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობის გამო, სისხლის დენისგან რამდენიმე წუთში დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, დავით მარგოშვილი სამართალდამცველებმა შემთხვევიდან რამდენიმე საათში პანკისის ხეობაში შესვლამდე დააკავეს, სადაც ის, სავარაუდოდ, მიმალვას აპირებდა. დავით მარგოშვილს ბრალს, სავარაუდოდ, განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენებენ. სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. იარაღის იდენტიფიკაცია უახლოეს ხანში მოხდება.

**„პოლიციამ იგი იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დააკავა. ამ დროისათვის მიმდინარეობს მუშაობა, რათა მკვლელობაში დავით მარგოშვილის მონაწილეობა გამოიკვეთოს“,** - განაცხადა შოთა ხიზანიშვილმა.

დავით მარგოშვილი ძიუდოში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და 2005 წლის ევროპის ჩემპიონი იყო. იგი იყო 2006 წლის სექტემბერში ქართველი მოჭიდავეების დაკავების გამო გამართული საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ.

ძიუდოში საქართველოს ნაკრების მწვრთნელის შოთა ხაბარელის ინფორმაციით, ძიუდოისტი დავით მარგოშვილი უძლიერესი სპორტსმენია. მარგოშვილმა 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე მე-5 ადგილი მოიპოვა, რაც საკმაოდ სერიოზული შედეგია. იგი 66 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს პრიზიორია. გარდა ამისა, დავით მარგოშვილი გუნდურ ჩათვლაში ევროპის ორგზის ჩემპიონია.

**„მარგოშვილი 10 წელია, რაც ნაკრებში ირიცხება, მისგან არასოდეს შემიმჩნევია საეჭვო ქცევა; მეგობრებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, არის ემოციური ახალგაზრდა, თუმცა მკვლელობაში მისი შესაძლო მონაწილეობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ყველასთვის გამაოგნებელი იყო“,** - განაცხადა ხაბარელმა.

სამართალდამცველთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დავით მარგოშვილი ესწრებოდა 2005 წლის ივლისში თანხის გამოძალვის ბრალდებით დაკავებული მოჭიდავეების ალექსი დავითაშვილისა და გიორგი რევაზიშვილის სასამართლო პროცესს, რა დროსაც სპორტსმენებმა დარბაზი დაარბიეს, შემდეგ კი იგი რუსთაველის პროსპექტზე გამართულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა. თუმცა, მარგოშვილი რაიმე სახის კანონდარღვევაში არ იყო შემჩნეული. გავრცელებული ინფორმაციით, მალხაზ ჯაფარიძე დავით მარგოშვილის ნათლია იყო და მათ შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ.

*24 საათი*

# „მადლობა პატრულს!“

„მადლობა პატრულს!“ - სტუდია „რეპორტიორის“ დოკუმენტური ფილმი, რომლის პრემიერა კინოს სახლში გაიმართა, საპატრულო პოლიციის მიერ თბილისში, წერეთლის გამზირზე ჩატარებული ოპერაციისას 19 წლის ამირან რობაქიძის დაღუპვას ეძღვნება. ოპერაციის შემდეგ დააკავეს ხუთი ახალგაზრდა, რომელთაგან ორი სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა. გამოძიების შედეგად კი გაირკვა, რომ პატრულის თანამშრომლებმა გამოძიებას ცრუ ჩვენებები მისცეს.

ჟურნალისტური გამოძიება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სამართალდამცველების მიერ განხორციელებული პირველი სპეცოპერაციის, საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების ისტორიის ამსახველი კადრებით და პრეზიდენტის იმ განცხადებით იწყება, სადაც მიხეილ სააკაშვილი მოსახლეობას ჰპირდება, რომ საპატრულო პოლიცია ხალხის სამსახურში ჩადგება. ფილმში გამოყენებულია გადაცემა „პატრულის“ მიერ გადაღებული ოპერატიული ვიდეომასალაც.

ფილმის ჩვენებას დაესწრნენ - საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, ოპოზიციური პარტიების და ხელისუფლების წარმომადგენლები, ადვოკატები, ასევე, სხვა დაინტერესებული პირები და ჟურნალისტები.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სწორედ აღნიშნულ ფილმზე მუშაობის დროს დააკავეს სტუდია „რეპორტიორის“ წარმომადგენლები და მათ წაართვეს ვიდეოკასეტა, რომლის დაბრუნებაც მხოლოდ სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ მოხერხდა. ჟურნალისტების ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის იმ თანამშრომლებიდან, რომლებმაც მათ ერთი საათით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, ერთ-ერთი იმ ოპერაციაში მონაწილეობდა, რომელსაც ფილმი მიეძღვნა. სხვათა შორის, მომხდარის გამო, საპატრულო პოლიციამ ბოდიში მოიხადა და კანონდამრღვევი პატრულები თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ფილმის ჩვენების შემდეგ დისკუსია გაიმართა.

*24 საათი*



# პლასტიკური ქირურგია - როგორც ხელოვნება

*დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი ერთ საინტერესო სტუმარს მასპინძლობს; საინტერესოს, ძირითადად, ქალბატონებისთვის. ბატონი ავიშაი ვეინბერგერი პლასტიკური ქირურგიის წამყვანი სპეციალისტია, რომელსაც მსოფლიოს წამყვან კლინიკებში უმუშავია, ახლა დაახლოებით ერთი კვირით საქართველოში დარჩება და ქართველების გალამაზებაზეც იზრუნებს. სახის დაჭიმვა, სარძევე ჯირკვლების გადიდება, დაპატარავება, აწევა, ქუთუთოების პლასტიკა, კანის ნაოჭების კორექცია, დაკიდებული მუცლის პლასტიკა... ის სულ ოცამდე სახის ოპერაციას შესთავაზებს მსურველებს. უფრო დაწვრილებით პროექტის შესახებ თავად ბატონი ვეინბერგერი გვიამბობს:*



გოგიტა ბახაიძის ფოტო

**- როდის ჩამოხვედით საქართველოში?**

- მართალია, თბილისში გუშინ ღამით ჩამოვედი, მაგრამ უცხოდ თავი აქ ნამდვილად არ მიგრძვნია. ეს იმიტომ, რომ ისრაელში უამრავი ქართველი მეგობარი მყავს. ასე რომ, წინასწარ ვიცოდი, რომ ქართველები ძალიან კარგი ხალხია. მიყვარს თქვენი კერძებიც. როცა მე და ჩემს მეუღლეს ბავშვი გაგვიჩნდა, საზეიმო წვეულების სუფრა ქართული მენიუთი შევადგინეთ და სტუმრებისგან თქვენი სამზარეულოს გამო უამრავი კომპლიმენტი მივიღეთ.

**- ესეიგი, პირადმა შთაბეჭდილებებმა საფუძველი მოამზადა საქმიანი ურთიერთობებისთვის?**

- პროფესორი დავით ტატიშვილი ძალიან აქტიური კაცია და როგორც ვიცი, საქართველოში უამრავი საინტერესო პროექტი აქვს განხორციელებული. ჩემი ვიზიტიც მისი ინიციატივა იყო. ისრაელი ცნობილია თავისი პლასტიკური ქირურგიის სკოლით. ოპერაციების გასაკეთებლად ჩვენთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩამოდიან და პირიქითაც ხდება - ქირურგები სხვადასხვა ქალაქებში მიემგზავრებიან ოპერაციების ჩასატარებლად. ამიტომაც ვიფიქრეთ, რომ ერთობლივი პროექტის განხორციელება ქართულ მხარესთან, საინტერესო იქნებოდა. ასეთი კონტაქტები პროფესიული ზრდისთვის აუცილებელია, გამოცდილების გაზიარებით პირადად მეც ყოველთვის უამრავ ახალს ვსწავლობ ხოლმე.

ყოველთვის მზად ვარ სიახლეებისთვის. მიმუშავია ჩინეთშიც. იქ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩინელები მართლაც შესანიშნავი ქირურგები არიან.

**- მართალია, ჯერ თბილისში ახალი ჩამოსული ხართ, მაგრამ აქაურებზე დაკვირვებას მაინც მოასწრებდით. თქვენი აზრით, რა აქვს გამოსასწორებელი ქართულ გარეგნობას?**

- მე, პირადად, მიყვარს სახეებზე მუშაობა. სიამოვნებით ვაკეთებ მკერდის ოპერაციებს. საერთოდ, როგორც ამბობენ, პლასტიკურ ქირურგიაში ორ მესამედზე მეტი ხელოვნებაა, დანარჩენი - სიზუსტე. სანტიმეტრებზე, სიზუსტეზე ხომ არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოგწონდეს ადამიანის სხეული და მისი სრულყოფა გსურდეს. როცა ასეთი სურვილი გამოძრავებს, უკვე ხელოვნებაა.

საქართველოს რაც შეეხება, ქართული გარეგნობის კარგად შესწავლა ჯერ ვერ მოვახერხე. თუმცა, პირველი შთაბეჭდილება ასეთია: ქართველებს ცხვირებს გამოვუსწორებდი, ზოგადად სხეულის ფორმაზეც ვიზრუნებდი. მკერდის პრობლემა კი, მგონი, უნივერსალურია - ეს თემა ყველგან აწუხებთ, ამერიკიდან დაწყებული, ჩინეთით დამთავრებული. მკერდის პრობლემას რუსეთშიც წავწყდომივარ. ისრაელში ჩამოდიან მშვენიერი რუსი გოგონები და მკერდის პლასტიკურ ოპერაციებს იკეთებენ.

**- ალბათ, თქვენი პაციენტების უმრავლესობა ქალები არიან. მამაკაცებს რამდენად ხშირად უჩნდებათ პლასტიკური ოპერაციის გაკეთების სურვილი?**

- ბოლო დროს მამაკაცების რაოდენობაც იზრდება. ძალიან მიხარია ის, რომ მამაკაცები აღარ მორცხვობენ და თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ სურვილებს. ხშირად ხდება ასე: ხანშიშესული მამაკაცი თავს აწონებს ახალგაზრდა გოგონას, სურს, კარგად გამოიყურებოდეს და ჩვენ მოგვმართავს. მამაკაცები ყველაზე ხშირად სახის გადაჭიმვის ოპერაციას იკეთებენ, მათ ხშირად აქვთ დაღლილი თვალები და ამიტომ ქუთუთოებზე ზრუნვაც უწევთ ხოლმე, ღაბაბსაც ხშირად იშორებენ...

**- თქვენ როგორ გადაწყვიტეთ პლასტიკურ ქირურგიაში მუშაობის დაწყება და თუ გახსოვთ თქვენი პირველი ოპერაცია?**

- პირველი ოპერაცია სახელმწიფო კლინიკაში იყო, პრაქტიკაზე ვიყავი და ორი ქირურგი ერთად ვაკეთებდით ოპერაციას. სულ თავიდან კი, პლასტიკურ ქირურგიაში გულის ქირურგიიდან მივედი; თქვენც კარგად იცით, ჩვენს ქვეყანაში ბევრი ომებია, უამრავი ავადმყოფი მოჰყავთ დამწვრობით, უამრავი სერიოზული ოპერაცია კეთდება... მე კი მსურდა, რამე უფრო სასიამოვნო მეკეთებინა, ის, რაც ჩემს ცხოვრებას სხვანაირად წარმართავდა, ჩემი ბიოგრაფიის განმსაზღვრელი გახდებოდა. და ახლა უკვე 20-25 წელია, პლასტიკურ ოპერაციებს ვაკეთებ: 300-400 სახე მექნება შეცვლილი, ასობით მკერდის ოპერაცია გაკეთებული. სულ რამდენი ოპერაცია გამიკეთებია, არც ვიცი. ერთხელ უნდა მოვიცალო ამისთვის და დავითვალო.

**- ყველაზე რთული რომელი იყო?**

- ყველა ოპერაცია რთულია. ყველას უდიდესი პასუხისმგებლობა სჭირდება, სულ უმნიშვნელოსაც კი. უბრალოდ, ხდება ხოლმე შემთხვევები, რომელთა დავიწყებაც შეუძლებელია. ერთხელ სახის დაჭიმვა ერთმა ხანშიშესულმა მანდილოსანმა მოინდომა, არადა აწუხებდა გული, სუნთქვის პრობლემები. არაფრით არ დაიშალა და ოპერაციის დღე დავნიშნეთ; ადგილობრივი ანესთეზიით ვაკეთებდით პროცედურას და შიგადაშიგ ვეკითხებოდი ხოლმე: ქალბატონო, ცუდად ხომ არ ხართ, რამე ხომ არ გაწუხებთ? ის კი ომახიანად მპასუხობდა: მიდი, ექიმო, მიდი, ახლა შუბლს მიხედეთ... ეს ქალბატონი ახლაც თავს მშვენივრად გრძნობს, მე კი ასეთი შემთხვევები სიამაყით მავსებს ხოლმე.

**- როგორია მთელი პროცედურა? რა ეტაპები უძღვის წინ ოპერაციას?**

- რამდენიმე შეხვედრა პაციენტთან და თითოეული დეტალის განხილვა. ვცდილობ, ორჯერ მაინც შევხვდე პაციენტს. პირველ შეხვედრაზე ვისმენ, რა უნდა, ვაძლევ რჩევებს, შემდეგ თავიდან ვიბარებ - დრო რომ გადის, ის უკეთ ახერხებს ყველაფრის გაანალიზებას... ხშირად ხდება ისეც, რომ ვერ ვთანხმდებით. მე არც მორცხვი ვარ და არც ხარბი - თუ პაციენტს ვერ გავუგე ან მის აზრს არ ვეთანხმები, ოპერაციაზე უარს ვამბობ.

**- პლასტიკური ოპერაციის გაკეთება ფუფუნებაა, თუ თქვენი პაციენტები მხოლოდ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები არ არიან?**

- ცხადია, მსგავსი ოპერაციები ძვირი ჯდება, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ქალი მიზანს ყოველთვის აღწევს. ჩინეთშიც კი ასეა - თუ ქალმა გადაწყვიტა, მკერდი გაილამაზოს და საყვარელ კაცს თავი ასე მოაწონოს, მას ვერაფერი შეაჩერებს, ოპერაციისთვის საჭირო თანხას აუცილებლად მოაგროვებს. მე ჩემი ცოლიც ასე გავიცანი. ის ჩემი პაციენტი იყო; ახლა ხუმრობს ხოლმე: ტაქსის მძღოლს რომ გავყოლოდი ცოლად, ხომ მექნებოდა უფასო ტრანსპორტი? და რატომ არ უნდა გამოვიყენო შანსი შენს შემთხვევაში?

**- თვითონ თუ გაგიკეთებიათ პლასტიკური ოპერაცია?**

- ჯერ არა, მაგრამ, ალბათ, მომიწევს. სარკეში როცა ვიხედები, ვხვდები, რომ რამდენიმე წელიწადში სახისთვის მექნება მისახედი.

# მდიდრები და ღარიბები

პირველი გვერდიდან

ერთ ასეთ შემთხვევას ვიხსენებ საკუთარი პრაქტიკიდან: მაშინ გაზეთ „ახალ ეპოქაში“ ვმუშაობდი. ერთხელაც წერილი გამოქვეყნდა ლადო გუდიაშვილზე. ავდექით და მისი ერთ-ერთი ალბომიდან ილუსტრაცია გაზეთში დავბეჭდეთ. დავბეჭდეთ და, გუდიაშვილის მემკვიდრეების საყვედურიც დავიმსახურეთ. არადა, მხატვრის ოჯახი არაფერს განსაკუთრებულს არ ითხოვდა და მხოლოდ იმას იცავდა, რაც მას კანონმა მიანიჭა.

კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ პარლამენტმა 1999 წელს მიიღო. მანამდე საქართველო ბერნის კონვენციასაც მიუერთდა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს ლიტარატურისა და სხვა მხატვრული ნაწარმოებების საერთაშორისო დონეზე დაცვას ავალდებულებს. კანონი მკაცრად გვაფრთხილებს: **„საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში“** (თავი VI, მუხლი 31), მაგრამ ეს უფლებები არათუ ავტორის გარდაცვალების შემდეგ, არამედ მის სოცოცხლეშივე უხეშად ირღვევა. მაინც, რა უფლებებზეა ლაპარაკი? იურისპრუდენციის ენა ცოტა ხნით დავივიწყოთ და ასე ვთქვათ: ნებისმიერ მუსიკალურ ნაწარმოებს, ლიტერატურულ ტექსტს, მხატვრის ტილოს, კომპიუტერულ პროდუქტს, აუდიო-ვიდეო ჩანაწერს, არქიტექტურულ ნიმუშს, კინოფილმს და ასე შემდეგ ავტორი რომ ჰყავს, ეს ვიცით. მაგრამ ავტორის დაუკითხავად მათი საჯარო გამოყენება კანონდარღვევად რომ ითვლება, ამის შესახებ ან მართლა არაფერი გვსმენია, ან, უბრალოდ, თავს ვიკატუნებთ. ასე მაგალითად, რომელიმე მუსიკოსის აუდიოჩანაწერს თუ შევიძენ და სახლში მოვუსმენ, არავინ შემომედავება, მაგრამ საკმარისია იგივე ჩანაწერი რესტორანში ან საკონცერტო დარბაზში უნებართვოდ გავაჟღერო (არა აქვს მნიშვნელობა, აუდიოჩანაწერით თუ ცოცხალი შესრულებით), ეს უკვე დანაშაულია. ბევრს ვიცნობ, რესტონებსა და ბარებში მუსიკოსებს ფულს იმაში უხდიან, ცოტა ხნით ინსტრუმენტებს რომ არ გაეკარონ, მაგრამ ვისაც სიამოვნებს აკომპანემენტის თანხლებით ჭამა-სმა, ამ კატეგორიის კლიენტების მოსაზიდად რესტორნის მფლობელები სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას შემოსავლების გასაზრდელად იყენებენ. ის კომპოზიტორი, მე რომ ვერ გავიხსენე, ევროპაში ცხოვრობდა. აწ დამტკიცებული პირველევროპელობის მიუხედავად, გჯერათ ახლა, რომ ჩვენი ბარების, რესტორნების, საკონცერტო სივრცეების, ტელ-რადიო კომპანიებისა თუ ჟურნალ-გაზეთების მფლობელები ავტორებს ან მათ მემკვიდრეებს ჰონორარებს რომ უხდიან? არ დაგავიწყდეთ, ლაპარაკია როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორებზე. ასე რომ, აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, ერთია ფურცელზე დაწერილი კანონი და მეორე - მისი შესრულების მექანიზმები.

■ ■ ■

დასავლეთამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ გარკვეული წინსვლა ამ სფეროში მაინც შეიმჩნევა. სხვაგანაც და ჩვენთანაც ავტორს დამოუკიდებლადაც შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა, მაგრამ თუ ამ საქმეს რომელიმე სტრუქტურა ითავებს, ეს ჩვენი კომპოზიტორი, მწერალი, მხატვარი თუ რეჟისორი, თუნდაც დაზოგილი დროის ხარჯზე (დრო კი ფული ღირს), საბოლოოდ მოგებული რჩება. სწორედ ამ მიზნით 1999 წელს საქართველოში დაარსდა კოლექტიური მართვის საზოგადოება „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ (თავმჯდომარე: ელგუჯა შაფათავა), რომელიც მასში გაწევრიანებულ ავტორთა ინტერესებს იცავს, სანაცვლოდ კი საკომისიო გადასახადის სახით (ჰინორარის 10-30 პროცენტი) გასამრჯელოს იტოვებს. საქართველოს ავტორთა საზოგადოება (სას) 2002 წლიდან მიუერთდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის „ისმოს“ ხელშეკრულებას „საავტორო უფლებების, ფონოგრამებისა და შესრულების“ შესახებ, რაც ორივე მხარეს საავტორო უფლებების ინტერნეტის ქსელში გაკონტროლების შესაძლებლობას აძლევს. სამწუხაროდ, ინტერნეტ-პროვაიდერები ავტორთა უფლებებს იმაზე მეტად და ხშირად არღვევენ, ვიდრე სხვა დანარჩენი ერთად აღებული. სას-ი არის აგრეთვე ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC) წევრი. მას ასევე ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ანალოგიურ სტრუქტურებთან, რაც ორმხრივი თანამშრომლობის გარანტიას იძლევა. ეს კი ნიშნავს, რომ მე, ჩემს ქვეყანაში, იმ უცხოელი ავტორების უფლებებიც უნდა დავიცვა, რომლებიც კოლექტიური მართვის იმ ორგანიზაციებში არიან გაწევრიანებული, ვისთანაც ხელშეკრულება მაქვს დადებული. თავის მხრივ ისინიც იცავენ ჩვენს უფლებებს თავ-თავიანთ ქვეყნებში. თითქოს ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, გნებავთ ჩვენთან, გნებავთ ქვეყნის გარეთ, რომ სხვამ სხვისი არ მიითვისოს, მაგრამ რეალობა საპირისპიროზე მეტყველებს. უხეში დაანგარიშებით, საქართველოში საავტორო უფლებები მხოლოდ 10 პროცენტითაა დაცული. ეს გვაფიქრებინებს, რომ მსხვილი კომპანიებიდან დაწყებული, წვრილ-წვრილი წარმონაქმნებით დამთავრებული, უკლებლივ ყველა სცოდავს, ამ ყველაფერს კი გაუმართავი კანონმდებლობაც ემატება.

■ ■ ■

ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით 2005 წელს კანონში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების მართვას საქართველოში ახორციელებენ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები, რომლებმაც **ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე დადეს ხელშეკრულებები უმრავლესი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან** (თავი X, მუხლი 63). საინტერესოა, ამ ცვლილებების შემდეგ გაჩნდება თუ არა ახალი მოთამაშე ჩვენს ბაზარზე? ამას იმადაც მოგახსენებთ, რომ დასავლეთისათვის საქართველო, ტერიტორიიდან გამომდინარე, იმხელა არ არის, სას-ის მსგავს სხვა სტრუქტურებთან საქმე რომ დაიჭიროს. ასე რომ, ვინმეს კოლექტიური მართვის სხვა საზოგადოების ან, სულაც, საზოგადოებების (ვთქვათ, სფეროების მიხედვით - მხატვრობის, არქიტექტურის, ლიტერატურის, კლასიკური მუსიკის, ბალეტის...) დაარსების სურვილი რომც გაუჩნდეს, დღევანდელი კანონმდებლობით ამას ვერ მოახერხებს - მას უმრავლეს ქვეყნებთან ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა ამთავითვე მოუსპეს. ისედაც, რატომ გაუჩნდა სახელმწიფოს ასეთი იმპერატიული ტონი - იქნებ, მე მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებში ვაპირებ ავტორთა უფლებების დაცვას და სულაც არ მჭირდება ურთიერთობის დამყარება, ვთქვათ, აფრიკის ქვეყნებთან? ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ ჩამატება კანონში უპირველესად დღეს მოქმედი სას-ის სასარგებლოდ გაჩნდა. ბარემ აქვე დავძენ: ხსენებული კანონის ერთი მუხლი, კერძოდ: - **„იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, არ გამოიყენება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები,“** - იმას როდი ნიშნავს, რომ კოლექტიური მართვის საზოგადოება თავად გახდეს მონოპოლისტი. არადა, ამის ნიშნები, სამწუხაროდ, უკვე შეიმჩნევა.

სხვათა შორის, საქართველოში კიდევ ერთი კოლექტიური მართვის საზოგადოება არსებობს - „საქართველოს პოპულარული სიმღერების ავტორთა გაერთიანება“ (ხელმძღვანელი: გია მაჭარაშვილი), და ისიც იმიტომ, რომ რეგისტრაცია ხსენებული ცვლილებების შემოღებამდე გაიარა. ბატონი გია თავის დროზე სას-ის წევრი გახლდათ, მაგრამ თუნდაც იმ ჰონორარების გამო, რასაც სას-ი პირადად მას უხდიდა, საზოგადოებიდან გამოსვლა და სხვა ცნობილ ავტრებთან ერთად (ისინი კი არც ისე ცოტანი არიან) ახალი ორგანიზაციის დაარსება ამჯობინა. ასე რომ, ჯერჯერობით ქართული ბაზარი კოლექტიური მართვის მხოლოდ ორი ორგანიზაციის ანაბარა რჩება.

ახლა რაც შეეხება იმ ტარიფებს, რომელიც დღეს საქართველოში მოქმედებს საავტორო უფლებების დაცვის სფეროში. მაგალითისთვის მუსიკალური პროდუქცია ავიღოთ. ტარიფი იმის მიხედვით დგინდება, ესა თუ ის რადიო თუ ტელე კომპანია საეთერო დროის რა ნაწილს უთმობს მუსიკას. დადგენილი ნიხრების მიუხედავად, უპირატესობა ფიქსირებულ გადასახადს ენიჭება - როგორც ჩანს, ანგარიშსწორების ეს ფორმა ორივე მხარისთვის უფრო მისაღებია. არ გვინდა, ვინმეს ცილი დავწამოთ და არაკეთილსინდისიერ მუშაობაში დავადანაშაულოთ, მაგრამ ეს, რბილად რომ ვთქვათ, გაურკვევლობა, ყველაზე მეტად სწორედ ავტორებს აზარალებს. კანონის თანახმად, ყველა **„კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ვალდებულია გამოაქვეყნოს საკუთარი საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელშიც უნდა აღინიშნოს: ა) წლიური შემოსავალი; ბ) ადგილობრივი და უცხოელი უფლების მფლობელებისათვის შეგროვილი და განაწილებული ჰონორარების ოდენობა; გ) სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.“** დაველოდოთ იმ დროს, როცა ჩვენი ინტელექტუალური ელიტა გამოქვეყნებული წლიური შემოსავლით დაინტერესდება და მერე ვილაპარაკოთ, ტარიფის დადგენა ტყუილუბრალო დროის ხარჯვაა თუ არა. ჯერჯერობით კი გაუგებარია, რატომ აღარ იხდიან მაგალითად ტელეკომპანიები ქართული ფილმების ეთერში გაშვებისას იმდენს, რამდენსაც თუნდაც ორი წლის წინ იმეტებდნენ? ლაპარაკია საბჭოთა პერიოდში შექმნილ კინოფილმებზე. რატომღაც მაზანდამ ბოლო ორი წლის განმავლობაში 200-300 დოლარიდან 150 დოლარამდე დაიწია.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ კანონის უხეში დარღვევით საკაბელო ტელევიზიები სრულიად უგულებელყოფენ ავტორთა უფლებებს. ამ ერთხელაც ჩავიხედოთ კანონში: „1. ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. 2. ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს: ვ) ნაწარმოების საჯარო გადაცემა, პირველი ან/და ხელახალი გადაცემის ჩათვლით; **აგრეთვე ნაწარმოების გადაცემა სადენით ანდა უმავთულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან (საჯარო გადაცემის უფლება)“** (თავი II, მუხლი 18). ძნელი დასაჯერებელია, რომ საკაბელო ტელევიზიების მფლობელებს ეს მუხლი სხვაგვარად ესმოდეთ, მაგრამ სას-ის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ისინი ავტორებს ჰონორარებს ჯიუტად არ უხდიან. არადა, ავტორს სულ არ აინტერესებს, საკაბელო ტელევიზია უხდის რომელიმე კერძო არხს ფულს თუ პირიქით, კომპანიები უმართავენ ხელს საკაბელო ტელევიზიებს. ის ნებისმიერ შემთხვევაში ერთ კონკრეტულ იურიდიულ პირთან აფორმებს ხელშეკრულებას და თუ საკაბელო ტელევიზიის საშუალებით რომელიმე რეჟისორის ფილმს ან მომღერლის კლიპს მეტი აუდიტორია ჰყავს, ეს ზედმეტობა მის ჰონორარზეც უნდა აისახოს. ცნობისათვის, მარტო თბილისში ათამდე საკაბელო ტელევიზიაა. ისინი რომ კეთილსინდისიერად იქცეოდნენ, ჩვენი ავტორები დასავლელი კოლეგებივით ვერ გამდიდრდებოდნენ, მაგრამ იმაზე მეტს კი მიიღებდნენ, რითაც დღეს უწევთ დაკმაყოფილება.

უცხოურ კინოპროდუქციას რაც შეეხება, როგორც ტელეეთერიდან, ისე კინოეკრანებიდან მეკობრეობას, ბოლოს და ბოლოს, წერტილი დაესვა - ცხადია, უცხოელების ძალისხმევით, მაგრამ საქართველოში რეგისტრირებული ინტერნეტპროვაიდერების სახით ბოლომდე ამ სფეროს გაკონტროლებაც ვერ ხერხდება. ასე მაგალითად, როცა თბილისის კინოთეატრებში სავტორო უფლებების სრული დაცვით მსოფლიო პრემიერები იმართება, ყველაზე სწრაფი, იაფი და რეკლამირებული ინტერნეტპროვაიდერების საშუალებით იგივე საკუთარი კომპიუტერის ეკრანზეც შეგიძლიათ იხილოთ. როგორც ამ დარგის ექსპერტები ამბობენ, კანონის დამრღვევთა გამოვლენა საკმაოდ რთულია და განსაკუთრებული ტექნოლოგიების დანერგვას მოითხოვს (?). კულუარებში კი აღნიშნავენ, რომ ვინც უნდა ებრძოდნენ ოცდამეერთე საუკუნის მეკობრეებს, თავადაც ხშირად სარგებლობენ ამ გამარტივებული სერვისით და ამერიკული თრილერებით საკუთარ კაბინეტებში ტკბებიან.

■ ■ ■

შარშან, ბევრისთვის მოულოდნელად, საქართველოს Warner Brohters Pictures-ის მუსიკალური განყოფილების უფროსი კონსულტანტი ბობ კოლომბი ეწვია. ის ამ სფეროს აღიარებულ ექსპერტად ითვლება. აქედან გამომდინარე, მისი რჩევები როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ამერიკელი ექსპერტის რეკომენდაციებზე დღეს ლაპარაკს ერიდებიან, მაგრამ არსებობს ინტერვიუ კოლომბისთან, სხვათა შორის, ჩვენსავე გაზეთში („24 საათი“, მაია ჭალაგანიძე, „გამორთეთ MTV და თვენს ტრადიციულ მუსიკას დაუბრუნდით“.). ერთი ადგილი ამ პუბლიკაციიდან განსაკუთრებით საყურადღებოა: „ძალიან რთულია, ვისაუბრო იმაზე, თუ რა შედეგები მოჰყვება ჩვენს შეხვედრას და რას გააკეთებს მთავრობა ამ საკითხის რეფორმირებისათვის. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, ვისაც შევხვდი, ყველას აბსოლუტურად კარგად ესმის ის, რაზეც ვისაუბრეთ. ისიც შევატყვე, რომ ამ საკითხს ისინი აქტუალურად თვლიან. გული მწყდება, რომ ვერ შევხვდი პრეზიდენტს. შეიძლება, არ ვარ სახელმწიფო მოხელე და ოფიციალური პირი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იდეა, რომლითაც აქ ჩამოვედი, მას ძალიან დააინტერესებს და მიმაჩნია, რომ ის ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც ძალიან მოკლე ვადაში ეფექტური გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. მესმის, რომ ასეთ ახალგაზრდა და ახალ მთავრობას გაცილებით მეტი აქტუალური პრობლემა აწუხებს, ვიდრე საავტორო უფლებებია, მაგრამ ეს კიბოსავით არის - ვნებს ეკონომიკას, ქვეყანას, ხელოვნებას და მთლიანად შემოქმედებით გარემოს. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა კარგი კანონმდებლობა, ამ საკითხში საზოგადოების გათვითცნობიერება და მთავარი - საავტორო უფლებების დამრღვევი ისეთივე წესით უნდა დაისაჯოს, როგორც ადამიანი, რომელიც სხვისი სახლიდან ნივთს იპარავს“.

ადვილი წარმოსადგენია, ვის შეხვდებოდა ბობ კოლომბი და თანხმობის ნიშნად როგორ უქიცინებდა ყველა ერთხმად თავს. ეს, როგორც ჩანს, ამერიკელმა ექსპერტმაც შეამჩნია და ამიტომაც წუხდა, მერჩივნა, პრეზიდენტთან პირისპირ მელაპარაკაო. კოლომბი ამერიკაში წავიდა, ჩვენ აქ დავრჩით და ამასობაში ერთი წელიც გავიდა. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში? ამ სფეროში თითქმის არაფერი. არა, ბედს არ ვუჩივით, არც ჩვენი ახალგაზრდა მთავრობა დაგვიბერდა ღვთის წყალობით, მაგრამ იმ კიბოს მეტასტაზებს, ეკომომიკასაც რომ ანგრევს, ხელოვნებასაც და მთლიანად შემოქმედებით გარემოს, სამწუხაროდ, ვერ ვუმკლავდებით. ვშიშობ, თერაპიის მორიგი კურსის ჩატარება მოგვიწევს.

# თანამედროვე ბიზნეს-ცენტრი ახლებური დიზაინით

*ჭავჭავაძის გამზირზე, სადაც ადრე ვაკის სახანძრო რაიონული განყოფილება იყო, მალე თანამედროვე დიზაინის ბიზნეს-ცენტრი აშენდება. რამდენიმე მილიონიანი პროექტი 2007 წლის ბოლოს დასრულდება. გერმანელმა არქიტექტორებმა პროექტის პირველი პრეზენტაცია თბილისის სამხატვრო აკადემიაში მომავალი არქტიტექტორებისთვის გამართეს.*

თამარ დვალი

ქართველ არქიტექტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დროა თბილისში უსახური ნაგებობების ნაცვლად, თანამედროვე დიზაინის შენონების აგება დაიწყოს. იმისთვის, რომ ეს დარგი განვითარდეს, საჭიროა მომავალი არქიტექტორები საერთაშორისო მიმდინარეობებს უკეთ გაეცნონ და უცხოელი კოლეგების გამოცდილება გაიზიარონ.

რამდენიმე დღის წინ თბილისის სამხატვრო აკადემიას გერმანელი არქიტექტორები ვოლფგანგ ლროხი და ნიკალაი ჰირში სტუმრობდნენ. მათ ქართველ სტუდენტებს თბილისში განსახორციელებელი პროექტის მაკეტი წარუდგინეს. შვიდი თვის წინ სამშენებლო კომპანია - „ტრანს ინვესტ კაპიტალ ჯორჯიამ“ გერმანელ არქიტექტორებს თანამედროვე ტიპის ბიზნეს-ცენტრის დაპროექტება შეუკვეთა. პროექტი უკვე მზად არის. ჭავჭავაძის გამზირზე ათსართულიანი მინის კუბისებრი შენობა აიგება. ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, შენობა ღია ტერასებით ირღვევა, რაც გამწვანებისთვის არის გათვალისწინებული. ნაგებობა მთლიანად მინაშია გადაწყვეტილი. მისი სტრუქტურა კი ასე გამოიყურება: მიწისქვეშ იქნება ავტოსადგომი, მესამე სართულამდე ფართი სავაჭრო სივრცეებს, ხოლო დანარჩენი ხუთი სართული საოფისე ფართს დაეთმობა. ბოლო ორ სართულზე სასტუმროს ტიპის აპარტამენტები და რესტორნები განლაგდება.

მაკეტი ყველასთვის ერთნაირად მისაღები არ აღმოჩნდა. არქიტექტორ გიგა ბათიაშვილს მიაჩნია, რომ მსგავსი ტექნოლოგიებით აგებული შენობა თბილისისთვის ცოტა შეუფერებელია, იგი მეტ მოვლას საჭიროებს და მისი მტვერისგან გაწმენდაც ძნელი იქნება.

ბათიაშვილის აზრს არ იზიარებს გერმანელი არქიტექტორების ქართველი პარტნიორი, არქიტექტორი ბექა ქარსიძე - „შენობა მთლიანად თანამედროვე ტექნოლოგიებით აშენდება, დაწყებული მასალებით, ტექნიკური აღჭურვილობით დამთავრებული. იერსახის თვალსაზრისით, პირადად ჩემთვის ეს პროექტი უფრო მისაღებია, ვიდრე ბეტონის დილეტანტურად შეღებილი ფასადები. რაც შეეხება სისუფთავეს, ეს დამკვეთებისა და მენეჯმენტის პრობლემაა. რადგან, შენობის სისუფთავეზე სწორედ მათ უნდა იზრუნონ. ამას არქიტექტურასთან შეხება არ აქვს და შენობის წუნად ვერ ჩაითვლება. დროა თბილისში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დიზაინის შენობები აიგოს.“



იმ შემთხვევაში, თუკი თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობა და სტუდენტები სურვილს გამოთქვამენ, შესაძლოა, გერმანელმა პროფესორებმა ლროხმა და ჰირშიმ ლექციები ქართველ სტუდენტებსაც წაუკითხონ. ისინი ლექციებს კითხულობენ იელისა და ამერიკის უნივერსიტეტებში. აღსანიშნავია, რომ მათ გამარჯვება მოიპოვეს რამდენიმე საერთაშორისო კონკურსზეა.

„ჩვენს პირველ პროქტს საქართველოში ნოვატურული შენობის აგებით ვიწყებთ. გვაქვს მოლაპარაკებები და შესაძლოა, სხვა პროექტებიც განვახორციელოთ. ახალი ბიზნეს-ცენტრი თბილისისთვის კარგი პროდუქტი იქნება, რომელიც ახალი მიმართულების ძიებაში დაეხმარება როგორც არქიტექტორებს, ასევე დიზაინერებსაც,“ - აღნიშნეს გერმანელმა არქიტექტორებმა.

## სტრადივარიუსის ვიოლინო

ანტონიო სტრადივარიუსის ერთ-ერთ საუკეთესო ვიოლინოს კრისტის აუქციონზე გასაყიდად გაიტანენ. ვარაუდობენ, რომ ინსტრუმენტი 1,5-2,5 მილიონ დოლარად გაიყიდება.

ვიოლინო მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, თავისი შემოქმედების ოქროს ხანაში დაამზადა ოსტატმა. ვიოლინოს მისი ყოფილი მფლობელის, შვედი იუველირის კრისტიან ჰამერის პატივსაცემად ეწოდა სახელი.

ინსტრუმენტი საუკეთესო მდგომარეობაშია და არაჩვეულებრივ ხმას გამოსცემს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზურ დრამატულ თეატრს გრან პრი მიენიჭა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ს. ჩანბას სახელობის დრამატულ თეატრს ვლადიკავკაზში ჩატარებულ მესამე თეატრალურ ფესტივალზე გრან პრი მიენიჭა.

საუკეთესო სპექტაკლისთვის „გუარაპელი მწერალი“ ფესტივალის მთავარი ჯილდო აფხაზ რეჟისორს ვალერი კოვეს მიაკუთვნეს.

რეჟისორის განცხადებით, სასიხარულოა, რომ ისეთ მნიშვნელოვან ფესტივალზე, რომელშიც დასავლეთის ცნობილი თეატრები მონაწილეობდნენ, აფხაზურმა სპექტაკლმა გაიმარჯვა. მისივე თქმით, ჩანბას სახელობის თეატრს უამრავი მიწვევა აქვს რუსეთისა და ევროპის ფესტივალებზე.


**გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)** საქართველოში „საქართველოს 500 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ლოკალური კომპიუტერული ქსელების შექმნისა და პერსონალის ტრენინგების" პროექტის ფარგლებში აცხადებს ტენდერს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შიგა კომპიუტერული ქსელის მოსაწყობად საჭირო ქსელის საინსტალაციო მოწყობილობებისა და მასალების შესაძენად.

**დეტალური ინფორმაცია იხილეთ**
**ვებ-ბვერდზე www.undp.org.ge**



**საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის**
**ინფორმაცია**

"სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვაქვეყნებთ ინფორმაციას საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებულ ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ:

- ინდივიდუალურ მეწარმე ნოდარ თორთლაძესთან დაიდო ხელშეკრულება კომისიის ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვის თაობაზე;

- შპს "ელიტ კომპიუტერ"-თან დაიდო ხელშეკრულება კომპიუტერული ტექნიკისა და მისი ინსტალაციის შესყიდვის თაობაზე;

- შპს "კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტ"-თან დაიდო ხელშეკრულება საავტომობილო საწვავის შესყიდვის თაობაზე.

*სემეკის სატენდერო კომისია*


# ფრთები

**ჯგუფ „სინათლის წელიწადის“ ტრიუმფალური პროექტი**

ია ვეკუა

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენას შემსრულებელთა ასეთი სიმრავლე არ ახსოვს და არც ასეთი მუსიკა მოუსმენია. პროექტი სახელწოდებით „თაობა XXI“ სწორედ ის გამოწვევა აღმოჩნდა, რომელიც ოპერის თეატრმა საკუთარ კედლებში მიილო იმისთვის, რომ შემდეგ ყველასთვის გაენაწილებინა ის, რაც ჯგუფმა „სინათლის წელიწადმა“ 150 მუსიკოსთან და მომღერალთან ერთად მოამზადა.



ვინც „სინათლის წელიწადის“ კამერულ ვითარებაში ჩატარებულ კონცერტებს დასწრებია, უთუოდ შეამჩნევდა, რომ ჯგუფის წევრებს, განსაკუთრებით კი მის ლიდერ გიგი გეგელაშვილს, არანაირი სივრცე არ ჰყოფნიდათ. ეს თავად მუსიკოსებმაც კარგად უწყოდნენ და ალბათ ამიტომაც გაჩნდა მასშტაბური პროექტის მომზადების ჯერ აუცილებლობა, შემდეგ - იდეა.

ის, რაც ოპერის თეატრის დარბაზში 15 მაისს გამართულ კონცერტზე ისმოდა (ავტორები მას როკ-კანტატას უწოდებენ და ჩვენც ამიერიდან ასე მოვიხსენიებთ), ერთი ხელის მოსმით ამსხვრევს მითს ახალი თაობის უნიჭობის, უნიათობისა და დეგრადაციის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ გიგი გეგელაშვილის ჩანაფიქრმა მისივე თაობა გამოიხსნა იმ „ავი ენებისგან“, რომლებიც საკუთარი შვილების ნეგატიურ მხარეებზე სალაპარაკოდ წუთს არ აგდებენ.

როკ-კანტატა კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს სიტყვით გაიხსნა. იგი სწორედ იმ თაობას ლოცავდა, რომელიც „სინათლის წელიწადის“ პროექტის უშუალო ადრესატი იყო. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენა 150 წევრისგან შემდგარი მუსიკალური კოლექტივით შეივსო: „სინათლის წელიწადი“ (გეგელაშვილი, დათო ყეინაშვილი, ელენა მეჩითოვა, ზაზა ცერცვაძე, გვანცა მათიაშვილი, ნინო დავითაშვილი), ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი კობა მერმანიშვილი), ტექნიკური უნივერსიტეტის ვაჟთა კაპელა, ენისა და კულტურის უნივერსიტეტის ქალთა გუნდი, ჯგუფ „რემას“ გიტარისტი კობა მანჯგალაძე, აკუსტიკურ გიტარაზე შემსრულებელი ირმა ჩიტაშვილი და ესტრადის ნორჩი ვარსკვლავები: ნინი შერმადინი, სოფო ხალვაში, ვლად არამოვი და ემკეი.

თუ ზედა აბზაცი ყურადღებით წაიკითხეთ, შეამჩნევდით, რომ გიგი გეგელაშვილმა იმ მხრივაც გარისკა, რომ ერთ პროექტში ასეთი განსხვავებული ჟანრისა და გემოვნების მქონე მუსიკოსები გააერთიანა. თუმცა, ექსპერიმენტი თავისთავად რისკსაც გულისხმობს, ეს კი, როგორც ჩანს, გეგელაშვილის სტილია.

როკ-კანტატა ათი მუსიკალური ნაწილისგან შედგებოდა. მათი უმეტესობის ავტორი თავად გეგელაშვილია, თანაავტორი - ჯგუფის წევრი დათო ყეინაშვილი. თითოეული კომპოზიცია თითქოს ერთმანეთის გაგრძელებაა და ერთიან ორგანიზმს წარმოადგენენ, თუმცა ამავდროულად სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებებია. გეგელაშვილის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ტექსტები წარმოდგენის ხასიათს თავადვე განსაზღვრავენ. XXI საუკუნის თაობა მღერის იმ შეცდომებზე, რომლებიც ოდესღაც ჩვენს წინაპრებს დაუშვიათ, ბავშვობაში ჩარჩენილ მოგონებებსა და საკუთარი თაობის მომავალზე.

განსაკუთრებით საინტერესო კომპოზიციაა „პითონის სიზმარი“, რომელშიც ამ ქვეწარმავლისა და პატარა კურდღლის თითქოს ბავშვური „ურთიერთობის“ ფონზე წმინდა ადამიანური ვნებებისა და სურვილების გაშიფვრა შეიძლება. აღნიშნული კომპოზიციის შესრულება ავტორმა ემკეის ანდო, რომელიც მას მართლაც კარგად ასრულებს (კომპოზიციას ძალიან უხდება საყვირების პარტია), თუმცა ვისაც „პითონის სიზმარი“ გიგი გეგელაშვილის შესრულებით აქვს მოსმენილი, ალბათ, მაინც ამ უკანასკნელს ამჯობინებს.

გეგელაშვილმა ვოკალური პარტიების შესრულების პატივი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთლიანად მოწვეულ მომღერლებს დაუთმო. „ნუცას სკოლის“ კურსდამთავრებულმა შერმადინმა, ხალვაშმა და ამავე სკოლელმა, თუმცა „იუმორინაზე“ გამოწრთობილმა ვლად არამოვმა შეძლეს სასწაულის მოხდენა და გეგელაშვილის სიგიჟეების მწყობრში აყოლა (ეს კი ძალიან ძნელია). ამ ოთხეულს (ემკეის ჩათვლით) პროექტში მოხვედრით აშკარად გაუმართლა, რადგან ეს საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად და ახალი ამბიციების შესაძენადაც.

რაც შეეხება პროექტის მუსიკალურ ნაწილს, ეს არის სიმფოროკის, ფსიქოდელიური რიტმების, კლასიკური როკის ელემენტებისა და ძალიან საინტერესო მელოდიების სინთეზი. მართალია, მსოფლიო მუსიკაში ეს უკვე მეტ-ნაკლებად განვლილი ეტაპია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოში ამ სახის მუსიკა, თანაც ასეთი მასშტაბით, ჯერ არ შექმნილა.

აღსანიშნავია 150-კაციანი კოლექტივის მომზადების დონეც. გეგელაშვილისა და დირიჟორ მერმანიშვილის მიერ ყოჩაღად გაწვრთნილი მუსიკოსები ყოველგვარი დისჰარმონიისა და დეტონაციის გარეშე მიჰყვებოდნენ დირიჟორის ჯოხის ტრაექტორიას, ეს კი კონცერტის ერთ ამოსუნთქვაში ჩატარების უტყუარი გარანტი იყო.

„თაობა XXI“ ყველა მონაწილის მიერ შესრულებული კომპოზიციით „ოდა თაობას“ დასრულდა. კომპოზიციის პათოსი - ჩვენ გავშლით ფრთებს - მთლიანი პროექტის დევიზად ჟღერდა. „სინათლის წელიწადის“ ფრთები კი უკვე ახალი ირაოსთვის ემზადება.




# გაერო-ს ასოციაციამ მოსწავლეები დააჯილდოვა

სალომე ძაძამია



თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში საქართველოს გაერო-ს ასოციაციის ორგანიზებით ახალგაზრდული კლუბების გამოფენა-ფორუმი მოეწყო.

გამოფენა-ფორუმში მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლების ბაზაზე დაარსებულმა ახალგაზრდულმა კლუბმა კლუბის წევრების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები, ნახატები, საქმიანობის ამსახველი ვიდეო და ნაბეჭდი მასალები წარმოადგინა. კლუბებმა ასევე გააკეთეს პრეზენტაციები მათ მიერ განხორციელებული საქმიანობების და მიღწევების შესახებ.

მოწვეულ სტუმრებს შორის, იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის ოფისის დირექტორის მოადგილე ბობ ვილსონი.

დაჯილდოვდნენ ის ახალგაზრდული კლუბები, რომელთაც განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს პროგრამის წარმატებულად განხორციელებასა და ზოგადად, საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესების საკითხებში.

ყოველწლიურად პროგრამის „ვაშენოთ მომავალი" ფარგლებში კლუბებს მცირე გრანტები გადაეცემათ, რომელიც მათ წარმოდგენილი პროექტების წარმატებით განხორცილებაში ეხმარება. დაჯილდოების ცერემონიალზე 2006 წლის საგრანტო პროგრამის გამარჯვებულებიც დასახელდნენ, რომელთაც გადაეცათ გრანტი 300 აშშ დოლარის ოდენობით.

დამსწრე საზოგადოებას ასევე საშუალება ჰქონდა გაცნობოდა გაერო-ს ასოციაციის მიერ საქართველოში ორგანიზებულ საერთაშორისო, საგანმანათლებლო, ინტერნეტ როლურ თამაშ-სიმულაციას „მსოფლიო კუნძული" (Global Island), რომელშიც ახალგაზრდული კლუბების წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

დახურვის ცერემონიალზე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი, რომელმაც დამსწრე სტუმრებს ნათელი სურათი შეუქმნა გასული წლის მანძილზე ახალგაზრდული კლუბების მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

ნიკა გიგანიშვილი, კლუბის წევრი: „ამ პროექტს აფინანსებს გაერო. ეს პროექტი ემსახურება საქართველოს ყველა კუთხის ახალგაზრდების ერთმანეთთან დაკავშირებას. ვმუშაობთ პროექტებზე, დავდივართ ბანაკებში, ვღებულობთ განათლებას და საინტერესოდ ვატარებთ დროს. მე პირადად ჭიათურიდან ვარ, და ძალიან ბედნიერი ვარ რომ ამ კლუბის წევრი ვარ."

სანდრო ვაშაკიძე გაერო-ს ასოციაციის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი: „ეს პროექტი მეორე წელია ხორციელდება, ამ პროექტის მიზანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონების სკოლების ჩართვა მოზარდთა კლუბებში. გვინდა, რომ მოზარდები იყვნენ უფრო აქტიურები და უფრო განათლებულები, ეს პროექტი ხელს შეუწყობს მოზარდების განვითარებას."

- „ეს პროექტი ფინანსდება ამერიკის მთავრობის მიერ. სამოქალაქო განათლება ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. პროექტი სერიოზულ დახმარებას უწევს ქართულ სკოლებს." - განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს ტრანსფორმატორების შეკეთების სამუშაოს შეძენაზე (5 ლოტი)

შესაკეთებელ ტრანსფორმატორთა ტექნიკური მახასიათებლები

**ლოტი N1**

ქს "ქსანი-500" ცენტრალური ტრასიდან ქვესადგურამდე მოასფალტებული გზაა 5კმ, აქედან 1კმ ასფალტი დაზიანებულია. ქვესადგურის შესასვლელთან არის 30 აღმართი(50 მეტრი) შემდეგ რელიეფი სწორდება, რეაქტორის და AT3-ს მისასვლელი მოასფალტებულია
ქს "ქსანი-500"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ატ-3 ფაზა "B"
ტიპი АОДЦТН-167000/500/220
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 133050
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1987
გაციების სახეობა - ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ქს "ქსანი-500"
რეაქტორი
რეაქტორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ფაზა "A"
ტიპი РОДЦ 60000/500
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 1328497
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი-მოსკოვის ელექტრომექანიკური ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1987
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ქს "ქსანი-500"
რეაქტორი
რეაქტორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ფაზა "C"
ტიპი РОДЦ 60000/500
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 1328499
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი მოსკოვის ელექტრომექანიკური ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ლოტი №2

ქს "გლდანი 220" ცენტრალური ტრასიდან არის 4 კმ, აქედან 3 კმ გზა ძალიან დაზიანებულია, ქვესადგური მოასფალტებულია.
ქს "გლდანი 220"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება AT-1
ტიპი АТДЦТН-125000/220/110
ნომინალური ძაბვა 220 კვ
საქარხნო დასახელება 124563
გამოშვების წელი 1984
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1988
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 63 ტონა

"რუსთავი 220"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება AT-2
ტიპი АТДЦТН-200000/220/110
ნომინალური ძაბვა 220 კვ
საქარხნო დასახელება 89719
გამოშვების წელი 1974
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1988
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 76 ტონა

ლოტი №3

ქს "ნავთლუღი-220" ცენტრალური ტრასიდან 1 კმ, მოხრეშილი გზაა, ქვესადგურის ტერიტორიაზე რელიეფი სწორია.
ქს "ნავთლუღი-220"
ტრანსფორმატორი
ტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება T-1
ტიპი ТДТН-40000/110
ნომინალური ძაბვა 110 კვ
საქარხნო ნიმერი 108135
გამოშვების წელი 1981
დამამზადებელი ქარხანა ზაპოროჟიეს სატრანსფორმატორო ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი 1981
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 28 ტონა

ქს "გურჯაანი-220" ცენტრალური ტრასიდან 3 კმ. არის აღმართები, მაგრამ ქვესადგურში სწორი რელიეფია, ასფალტი დაზიანებულია.
ქს "გურჯაანი-220"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება AT-1
ტიპი АТДЦТН-125000/220/110
ნომინალური ძაბვა 220 კვ
საქარხნო ნომერი 122654
გამოშვების წელი 1984
დამამზადებელი ქარხანა ზაპოროჟიეს სატრანსფორმატორო ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი 1985
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 63 ტონა

ლოტი №4

ქს "ვარდისუბანი" ტრასიდან 500 მეტრია, გზა მოხრეშილი და რელიეფი სწორია
ქს "ვარდისუბანი"
ტრანსფორმატორი
ტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება T-1
ტიპი TM-2500/35
ნომინალური ძაბვა 35 კვ
საქარხნო ნომერი 16207
გამოშვების წელი 1970
ექსპლუატაციაში შესვლის წელი 1971
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 2,4 ტონა

ქს "ზაისუბანი" ტრასიდან 100-150 მეტრია, გზა მოხრეშილი და რელიეფი სწორია.
ქს "ზაისუბანი"
ტრანსფორმატორი
ტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება T-1
ტიპი TM-1800/35
ნომინალური ძაბვა 35 კვ
საქარხნო ნომერი 574173
დამამზადებელი ქარხანა ზაპოროჟიეს სატრანსფორმატორო ქარხანა
გამოშვების წელი 1952
ექსპლუატაციაში შესვლის წელი 1953
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 3,2 ტონა

ლოტი №5

ქ/ს "ფერო-220"
ტრანსფორმატორი
ტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება – ვოლტდამმატი
ტიპი – -40000/10
ნომინალური ძაბვა – 10 კვ
საქარხნო ნომერი – 18639
გამოშვების წელი 1970 წელი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი – 1971 წელი
სატრანსფპრმატორო ზეთის რაოდენობა – 9.4 ტონა

სამუშაოს შესრულების სასურველი ვადა თოთოეულ ობიექტზე არის შემსყიდველის მიერ ობიექტზე დაშვებიდან 40 დღე.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ა/ა 334030001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, ტენდერის ნომერი T-0306-G-0157 და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 6 ივნისი.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 7 ივნისის 12:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 7 ივნისის 12:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0306 G 0157

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)

+ ლიპოსაქცია

- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# სომხები ავიაკატასტროფის შესახებ პასუხებს ითხოვენ

*შავ ზღვაზე მომხდარი ავიაკატასტროფის შემდეგ საჰაერო ნავიგაციის კონტროლიორები ყურადღების ცენტრში ექცევიან.*

გაიანე მკრტიჩიანი, ერევანი

გასულ კვირას სომხური თვითმფრინავის აფეთქების შედეგად დაღუპული 113 მგზავრისა და ეკიპაჟის წევრთა ნათესავები ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების ასახსნელად პასუხებს ითხოვენ.

თვითმფრინავ A-320-ის შავი ყუთის ძებნა შავ ზღვაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს, თუმცა სომხეთში უკვე ვრცელდება ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების ბევრი სხვადასხვა ვერსია.

მფრინავებსა და ქართველ ავიადისპეჩერებს შორის გამართული საუბრის ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა შეკითხვა – შეცდომით ურჩიეს თუ არა რუსმა ავიადისპეჩერებმა თვითმფრინავს სოჭის მახლობლად, ადლერის აეროპორტში დაშვება.

ავიაკომპანია „არმავიას“ კუთვნილი თვითმფრინავი 3 მაისს ადგილობრივი დროით 2 საათსა და 15 წუთზე აფეთქდა. ბორტზე მყოფებიდან ყველა, მათ შორის ექვსი ბავშვი დაიღუპა. ჯერჯერობით, 53 გვამია ნაპოვნი, რომელთაგან მხოლოდ ორმოცდაშვიდია ამოცნობილი. დაღუპულებს გასულ კვირაში სომხეთში ორი დღის განმავლობაში გლოვობდნენ.

მომხდარი ავიაკატასტროფის მიზეზების ასახსნელად პასუხების ძიებისას ყურადღება ძირითადად იმ საკითხზე მახვილდება, თუ რა ურჩიეს მფრინავებს საჰაერო ნავიგაციის ქართველმა და რუსმა კონტროლიორებმა.

საქართველოს საჰაერო ნავიგაციის კონტროლის დეპარტამენტმა, რომლის საჰაერო სივრცეშიც თვითმფრინავმა ფრენის უმეტესი დრო დაჰყო, საკუთარ თანამშრომლებსა და A-320-ს მფრინავებს შორის გამართული საუბრის ნაწილის აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა.

როგორც ჩანაწერიდან ჩანს, უამინდობით შეშფოთებულმა კაპიტანმა გრიშა გრიგორიანმა თვითმფრინავი მოაბრუნა და ერევანში დაბრუნების შესახებ განაცხადა. მაგრამ რუსმა კონტროლიორებმა მას ადლერის აეროპორტში დაშვება და დაჯდომამდე ერთი წრის შესრულება ურჩიეს.

4 მაისს სომეხი და ქართველი ავიადისპეჩერები ქართველების მიერ მოსმენილი საუბრის განსახილველად ერთმანეთს შეხვდნენ. რუსები შეხვედრაში არ მონაწილეობდნენ. ზოგიერთის განცხადებით, რუსების გამოუცხადებლობა მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობით იყო გამოწვეული.

აუდიოჩანაწერის გამოქვეყნებამდე, რუსები თვითმფრინავის მობრუნებისა და სოჭში დაფრენის შესახებ ეკიპაჟისთვის რჩევის მიცემის ფაქტს უარყოფდნენ.

როგორც ჩანაწერიდან ჩანს, მას შემდეგ, რაც მფრინავს სოჭში უამინდობის შესახებ აცნობეს, იგი ქართველ ავიადისპეჩერებს თვითმფრინავისთვის ერევანში დასაბრუნებლად საკმარისი საწვავის შესახებ ესაუბრა.

საქართველოს საჰაერო ნავიგაციის კონტროლის დეპარტამენტის პრესმდივანმა თეა გაბადაძემ IWPR-თან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ სომხურ მხარეს ყველა ჩანაწერი გადასცეს. მისი თქმით, ქართველებმა „ზედმეტი ტკივილის თავიდან აცილების მიზნით“ აუდიოჩანაწერის მხოლოდ ნაწილი გამოაქვეყნეს.

„ქართველების მიერ მოწოდებულ აუდიოჩანაწერში ჩვენს მფრინავებსა და რუს კონტორლიორებს შორის საუბრის გაგება შეუძლებელია. არ გამოვრიცხავ, რომ სოჭელმა დისპეჩერებმა შეცდომები დაუშვეს, მაგრამ დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რადგან ამის დამადასტურებელი არავითარი ფაქტი არ გამაჩნია“, – განაცხადა სომხეთის ეროვნული საავიაციო საზოგადოების თავმჯდომარემ დიმიტრი ადბაშიანმა.

,,ჩემი ინფორმაციით, მფრინავმა უამინდობის გამო უკან დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ადლერის აეროპორტის ავიადისპეჩერებმა დაარწმუნეს, რომ ფრენის გასაგრძელებლად ამინდი საკმაოდ კარგი იყო“, – განაცხადა სომხეთის სამოქალაქო ავიაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა არტემ მოვსესიანმა.

„ძალიან ბევრი შეკითხვა გვაქვს. თვითმფრინავი ნორმალურად ჯდებოდა. ჩნდება კითხვა: რატომ გაუშვეს ის მეორე წრეზე?“ – განაცხადა ავიაკომპანია „არმავიას“ ხელმძღვანელმა მიქაელ ბაღდასაროვმა.

11 მაისს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მთავრობათაშორისმა საავიაციო კომისიამ, რომელიც მომხდარს იძიებს, პრესრელიზი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მიწაზე დაშვებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ადლერის საჰაერო ნავიგაციის დისპეჩერმა თვითმფრინავის კაპიტანს დაფრენის შეჩერება და მარჯვნივ მობრუნება ურჩია.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ოლეგ ერმოლოვმა IWPR-თან საუბრისას დისპეჩერების უპასუხისმგებლო მოქმედების შესახებ ბრალდებები უარყო.

სომხურ გაზეთ „არავოტში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსი ავიადისპეჩერები უხეშად იქცეოდნენ და განწირული თვითმფრინავის მფრინავებს აგინებდნენ, ერმოლოვი „ოფიციალურად“ უარყოფს.

სომხეთის სამოქალაქო ავიაციის წარმომადგენლის გაიანე დავთიანის განცხადებით, საკონტროლო კოშკსა და მფრინავს შორის შემდგარი საუბრის გასაშიფრად სოჭში ცხრა ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი გაიგზავნა.

ადლერის აეროპორტის დისპეჩერის დაკითხვას სომხეთის პროკურატურაც მოითხოვს.

თვითმფრინავის ტექნიკური მდგომარეობისა და მფრინავის გამოცდილების შესახებ ინფორმაციამ ცოტას რამეს თუ მოჰფინა ნათელი.

როგორც თვითმფრინავის კაპიტნის კოლეგები აცხადებენ, იგი საგანგებო მდგომარეობებში კარგად გარკვეული და გამოცდილი მფრინავი იყო. შეკითხვები A-320-ის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებაც დაისვა. მოპოვებული ინფორმაციით, თვითმფრინავის სახიფათო მდგომარეობაში ყოფნის თაობაზე არავითარი მინიშნება არ არსებობს.



ხაკოპ ბერბერიანი

*თვითმფრინავის აფეთქების შედეგად დაღუპულთა ნათესავები ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების ასახსნელად პასუხებს ითხოვენ*

მოვსესიანის განცხადებით, თვითმფრინავი 11 წლის წინ იყო გამოშვებული და ბოლო შემოწმება აპრილში გაიარა. აფრენის წინ თვითმფრინავი ერევანში ,,ზვართნოცის” აეროპორტის პერსონალმა შეამოწმა.

ვერსია იმის შესახებ, რომ თვითმფრინავს საწვავი არ ეყო, არ დასტურდება.

თვითმფრინავის შავმა ყუთებმა, რომლებიც ზღვაში 400 მეტრზე მეტი სიღრმის ქვეშაა მოქცეული, შესაძლოა, ავიაკატასტროფის საიდუმლოებით მოცულ ამბავს ნათელი მოჰფინოს. დიმიტრი ადბაშიანის განცხადებით, თვითმფრინავში დამონტაჟებული საკმაოდ ძლიერი ხმის ჩამწერები წყალქვეშ ერთი თვის განმავლობაში გაძლებს. მაგრამ ადბაშიანი შიშობს, რომ მათი პოვნა ვერ მოხერხდება.

8 მაისს, კატასტროფის ადგილზე ფრანგი ექსპერტები ჩავიდნენ და აპარატურა ჩაიტანეს, რომლითაც შავი ყუთების მდებარეობის განსაზღვრასა და წყლიდან ამოღებას იმედოვნებენ.

# ჩეჩნეთში ძალაუფლებისთვის ბრძოლა მწვავდება

*ჩეჩნეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის ღია დაპირისპირება დაიწყო.*

უმატ დუდაევი, გროზნო

გასულ კვირაში რუსეთის ლიდერმა ვლადიმერ პუტინმა ჩეჩნეთის პრეზიდენტი ალუ ალხანოვი და პრემიერ-მინისტრი რამზან კადიროვი კრემლში შეხვედრაზე დაიბარა.

ამის მიზეზი ალხანოვსა და კადიროვს შორის ბოლო დროს გამწვავებული ურთიერთობა გახდა, რაც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამართულმა ბრძოლამ განაპირობა.

ოფიციალური ვერსიით, 5 მაისს გამართულ შეხვედრაზე ჩეჩნეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უნდა განეხილათ და განვითარების გეგმები შეემუშავებინათ. მაგრამ ცოტა თუ ეჭვობს, რომ ამ უპრეცედენტო მოლაპარაკებების მიზეზი კადიროვსა და ალხანოვს შორის არსებული მწვავე დაპირისპირება გახდა, რასაც გასულ თვეში გროზნოს ქუჩებში მათ მომხრეთა შორის სროლები მოჰყვა.

25 აპრილს კადიროვისა და ალხანოვის დაცვის წევრებმა გროზნოში მთავრობის შენობასთან ერთმანეთს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ხალხი ორივე მხარეს დაიჭრა.

„კადიროველების“ (ჩეჩნეთში კარიდოვის ხალხი ამ სახელითაა ცნობილი) შეიარაღებულ ჯგუფს სამთავრობო შენობების ტერიტორიაზე შესვლა უნდოდა, მაგრამ დაცვამ მათ იარაღით შეშვებაზე უარი განუცხადა, რადგან შენობაში რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელი სერგეი სტეპაშინი იმყოფებოდა. შელაპარაკებას ორივე მხრიდან ცეცხლის გახსნა მოჰყვა. რამდენიმე ადამიანი დაიჭრა, მაგრამ მალე ადგილზე დაზვერვის მთავარი სამმართველოს დასავლეთის სპეცსამსახურის ბატალიონი მივიდა, რომელმაც მდგომარეობის გაკონტროლება და სისხლისღვრის თავიდან აცილება მოახერხა“, – განაცხადა რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა IWPR-თან საუბრისას.

ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ მინისტრთა კაბინეტის კადიროვის მიმართ ლოიალურად განწყობილმა წევრებმა, ფინანსთა მინისტრის ელი ისაევის ხელმძღვანელობით, „რესპუბლიკაში სტაბილურობის უზრუნველყოფის“ მიზნით ალხანოვის გადაგდომის შესახებ წინადადება წამოაყენეს.

ალუ ალხანოვმა პირობა დადო, რომ ,,მოიფიქრებს“ და პრეზიდენტ პუტინთან კრემლში შეხვედრის შემდეგ გადაწყვეტილებასაც მიიღებს. მაგრამ, როგორც ჩანს, პუტინის მხარდაჭერის მიღების შემდეგ იგი თავის პოზიციაზე მტკიცედ დგას.

ალხანოვი ჩეჩნეთის ლიდერად 2004 წლის არჩევნებში ოფიციალურად აირჩიეს, თუმცა, რეალურად, ძალაუფლება მისი წინამორბედის, ორი წლის წინ მოკლული ახმედ კადიროვის 29 წლის ვაჟის – რამზან კადიროვის ხელშია მოქცეული.

ამ ორ ფიგურას ძალიან განსხვავებული წარსული აქვს. ალხანოვი 1994-96 წლების კონფლიქტის დროს ფედერალურ ძალებთან ერთად იბრძოდა. უფროსი კადიროვი და მისი მხარდამჭერები კი დამოუკიდებლობის მომხრე ამბოხებულების მხარეს იბრძოდნენ, თუმცა 1999 წელს პოზიცია შეიცვალეს.

ადგილობრივი ტელევიზიის ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემები პრემიერ-მინისტრისა და მისი საქმიანობის ამსახველი კადრებით იწყება და მთავრდება: რამზან კადიროვი მინისტრებს საყვედურს უცხადებს; კადიროვი ბავშვთა თავშესაფარს სტუმრობს; კარიდოვი გროზნოს რუსი ეროვნების მკვიდრ ქალბატონს კრიმინალების მიერ წართმეულ ბინას უბრუნებს; კადიროვი უშიშროების ძალებს ხვდება და ა.შ. ალხანოვს კი მხოლოდ იშვიათად, ძირითადად იმ რეპორტაჟებში აჩვენებენ, რომლებიც მოსკოვში მის მორიგ ვიზიტს ან რუსეთის რეგიონების მეთაურებთან ამა თუ იმ შეთანხმების ხელმოწერას ასახავს.

ჩეჩნეთის მოსახლეობის უმეტესობა დარწმუნებულია, რომ როგორც კი ახალგაზრდა რამზან კადიროვი 30 წლის შესრულდება, პრეზიდენტი გახდება. ამჟამად არსებული საარჩევნო კანონმდებლობა 30 წლის ქვემოთ ასაკის პიროვნებას ამ თანამდებობის დაკავებას უკრძალავს.

„რამზან კადიროვი საკუთარ თავს რესპუბლიკის ლიდერად ხედავს. მონოდებითა და მიზნებით არის კიდეც. ალხანოვი მხოლოდ დროებითი ლიდერია და ამას თავადაც აცნობიერებს. იგი იყო და რჩება რიგით მუშაკად, რომელიც ბრძანებების შესრულებას არის მიჩვეული. უფროსი კადიროვის სიკვდილის შემდეგ კადიროვის კლანი პრეზიდენტის თანამდებობაზე ალხანოვს უჭერდა მხარს“, – განაცხადა ჩეჩნეთის ერთ-ერთი ინსტიტუტის ლექტორმა, 40 წლის ჰასანმა.

„ხალხი იმასაც კი ამბობს, რომ მან ყურანზე დაიფიცა – როცა კადიროვი 30 წლის გახდება, ძალაუფლებას გადავცემო“, – დასძინა ჰასანმა.

თუმცა, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ეს მოლოდინი შესაძლოა არ გაამართლოს, რადგან ალხანოვი პოზიციის გამყარებას ცდილობს.

„გროზნოში მომხდარი სროლები დაცვის წევრებს შორის უბრალო შელაპარაკების შედეგი სულაც არ ყოფილა. ჩემი მეუღლის ერთ-ერთი ნათესავი, რომელიც რამზან კადიროვის დაცვაში მუშაობს, ამ მოვლენას სულ სხვაგვარად ხსნის. როგორც იგი ამბობს, მათ სტეპაშინთან შეხვედრაზე რამზან კადიროვის შეშვება არ უნდოდათ“, – განაცხადა IWPR-თან საუბრისას ჩეჩნეთის დედაქალაქის მკვიდრმა მოვსარ მახმუდოვმა.

„როგორც აღმოჩნდა, ალუ ალხანოვს შეხვედრაზე გროზნოს ყოფილი მერი ბისლან განტამიროვი ჰყავდა მიწვეული. სულიმ იამადაევი და საიდ-მაგომედ კაკიევიც (სამხედრო დაზვერვის ორი ბატალიონის მეთაურები) იქ იმყოფებოდნენ. ისინი რამზან კადიროვის წინააღმდეგ კოალიციის შექმნაზე შეთანხმებას ცდილობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე გენტამიროვის დანიშვნას და კადიროვის მხარდამჭერების საკუთარი ხალხით ჩანაცვლების მიზნით უშიშროების სამსახურებში „წმენდის“ დაწყებას გეგმავდნენ“, – განაცხადა მახმუდოვმა.

„როგორღაც ამ შეთქმულების შესახებ რამზან კადიროვმა გაიგო და ალუ ალხანოვთან კონფლიქტის მიზეზიც სწორედ ეს გახდა“, – დასძინა მახმუდოვმა.

გენტამიროვი 1991 წლიდან ჩეჩნეთის სამოქალაქო დაპირისპირების მონაწილეა. ამ ხნის განმავლობაში მან პოზიცია რამდენჯერმე შეიცვალა. იგი შეიარაღებული მხარდამჭერების ძლიერ ჯგუფს ყოველთვის უშუალოდ აკონტროლებდა. ალხანოვის მსგავსად, გენტამიროვი წარმოშობით დასავლეთში მდებარე ქალაქიდან – ურუს-მარტანიდანაა.

„როგორც ჩანს, ალხანოვს მუდმივად უმცროსი კადიროვის ჩრდილში ყოფნა მობეზრდა და საკუთარი თამაშის დაწყება გადაწყვიტა“, – ვარაუდობს ჰასანი.

„მოკლედ, მდგომარეობა ისე მარტივად არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. არ გამოვრიცხავ, რომ შემოდგომამდე აქ რაღაც მოხდეს“, – დასძენს იგი.

„კადიროველების“ პოზიცია ამ თვეში შესუსტდა – მათ მიერ დაკომპლექტებული „ანტიტერორისტული ცენტრი“ დაიშალა, რომლის ადგილიც შინაგან საქმეთა სამინისტროს „ჩრდილოეთისა“ და „სამხრეთის“ ბატალიონებმა დაიკავეს. ეს უკანასკნელი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირდაპირ დაქვემდებარებაშია.

„ჩეჩნეთში კრემლი ძველ იმპერიულ პრინციპს იყენებს - „შენი მტერი შენივე მტრის ხელით გაანადგურე“. ისინი კადიროვსა და მის „გვარდიას“, რომელიც ძირითადად შეწყალებული მებრძოლებისგან შედგება, მათივე მებრძოლი ძმების წინააღმდეგ აქტიურად იყენებდნენ. ახლა, როცა ბინძური საქმის დიდი ნაწილი უკვე შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს, ამ ხალხის ჯერიც დადგა“, – განაცხადა ჩეჩენმა პოლიტოლოგმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

გაიანე მკრტიჩიანი, ერევანიგაიანე მკრტიჩიანი, ერევანი„ვფიქრობ, მომავალში მოსკოვი რამზან კადიროვის პოზიციის შესუსტებასა და ალხანოვის გაძლიერებას გააგრძელებს. მილიციის ყოფილი უფროსი და აღმასრულებელი სამოქალაქო პირი არაპროგნოზირებად და საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენის მქონე კადიროვთან შედარებით მათთან გაცილებით ახლოს დგას“, – დასძინა მან.

თუმცა, როგორც პოლიტოლოგმა აღნიშნა, პუტინი ჯერ კიდევ ფიქრობს. ახლა მას პარლამენტის მიერ წამოყენებული კანდიდატის რეგიონის მეთაურად დანიშვნის უფლება აქვს, მაგრამ ჩეჩნეთის პარლამენტი ამჟამად ახალგაზრდა კადიროვის მხარდამჭერებით არის სავსე“, – დასძინა მან.

# სომხეთი ყარაბაღის მიმართ მხარდაჭრის დემონსტრირებას ახდენს

*სომეხი პარლამენტარები და მინისტრები ყარაბაღში მხარდაჭერის გამოსახატად ჩადიან.*

აშოტ ბეგლარიანი, სტეფანაკერტი

9 მაისს მთიან ყარაბაღში არა მარტო ტრადიციული დღესასწაული – მეორე მსოფლიო ომში გერმანიაზე გამარჯვება აღნიშნეს, არამედ 1991-1994 წლებში მიმდინარე ყარაბაღის კონფლიქტში გამარჯვების დღეც იზეიმეს.

გამარჯვების დღის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებებში სომხეთის მთავრობის ორი საპატიო წარმომადგენელი მონაწილეობდა. ეს ვიზიტი, რომელსაც აპრილში სხვა სომეხი მაღალჩინოსნების სტუმრობა უძღოდა წინ, ერევნის მხრიდან ყარაბაღის მიმართ გამოხატული აშკარა მხარდაჭერის კიდევ ერთი ნიშანია.

პრემიერ-მინისტრმა ანდრანიკ მარგარიანმა თავის გამოსვლაში არცახის (ყარაბაღის ძველი სომხური სახელწოდება) სომეხი მოსახლეობისადმი დანარჩენი სომხების სოლიდარობას გაუსვა ხაზი.

„მინდა არცახის ხალხისადმი მადლიერების გრძნობა გამოვხატო. თქვენი საშუალებით მთელ მსოფლიოს დავუმტკიცეთ, რომ არსებობს სომხური სული და ყველა გასაჭირის მიუხედავად, ჩვენს მიზნებს მივაღწიეთ“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ აზერბაიჯანის მიერ თავსმოხვეულ ომში გამარჯვება მხოლოდ ნახევრად არის მიღწეული. გამარჯვება გამარჯვებაა. მჯერა, რომ მთიანმა ყარაბაღმა გაიმარჯვა“, – განაცხადა სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა, რომელიც წარმოშობით ყარაბაღელია.

ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში ეს სარქისიანის მეორე ვიზიტია სამშოლოში. აპრილში იგი სომხეთის გენერალური სამხედრო შტაბის ხელმძღვანელთან მიხაილ ჰარუთუნიანთან ერთად მთიანი ყარაბაღის ხელისუფლების მიერ ,,თავდაცვის არმიად“ წოდებული შეიარაღებული ძალების ათდღიან წვრთნებს ესწრებოდა.

სამხედრო წვრთნები აზერბაიჯანმა მკაცრად დაგმო, სერჟ სარქისიანმა კი „ნორმალური პროცესი“ უწოდა.

„ეს იმაზე მიუთითებს, რომ სამხედრო ცხოვრება გრძელდება“, – განაცხადა მან.

„იმ ფაქტის მიუხედავად, რომ სომხეთი პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების მხარდამჭერი იყო და არის, ჯარი მუდმივად მაღალ დონეზე მომზადებული უნდა იყოს“, – დასძინა სარქისიანმა.

თებერვალში საფრანგეთში გამართული სამშვიდობო მოლაპარაკებების ბოლო რაუნდის წარუმატებლად დასრულების შემდეგ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ჩართული ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს. არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია ფრონტის ხაზზე ცეცხლის შეწყვეტის დადგენილი წესების დარღვევის შესახებაც.

როგორც ყარაბაღის პრეზიდენტმა არკადი გუკასიანმა განაცხადა, წვრთნების გამართვის მიზანი აზერბაიჯანის მხრიდან ნებისმიერი საფრთხის გაჩენის შემთხვევაში მისი ჯარის სრული საბრძოლო მზადყოფნის დემონსტრირება იყო.

„გარედან ყოველთვის ჩანს, რომ სომხეთს მთიანი ყარაბაღის მხარდასაჭერად მეტის გაკეთება შეუძლია. თუმცა ეს სუბიექტური მოსაზრებაა. უნდობლობის არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ სომხეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია“, – განაცხადა გუკასიანმა, როცა მას ჟურნალისტებმა სომხეთის მიერ მთიანი ყარაბაღის მხარდაჭერის შესახებ ჰკითხეს.

სამშვიდობო მოლაპარაკებებში ყარაბაღის სომხურ მოსახლეობას ოფიციალურად სომხეთის ხელისუფლება წარმოადგენს, რადგან აზერბაიჯანი მათ „კონფლიქტის მხარედ“ არ აღიარებს; ეს კი ყარაბაღში მუდმივი უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზია.

მთიანმა ყარაბაღმა დამოუკიდებლობა 1991 წელს გამართული რეფერენდუმის შემდეგ გამოაცხადა, რომელშიც მხოლოდ სომხური მოსახლეობა მონაწილეობდა. მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა არც ერთი სახელმწიფოს, მათ შორის სომხეთის მიერაც არ არის აღიარებული.

აპრილში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ერთობლივი ღონისძიება მოეწყო. ყარაბაღის პარლამენტში მოსმენები გაიმართა თემაზე „ყარაბაღის პრობლემა – კონფლიქტის მოგვარების ხედვები“. მასში სომეხი პარლამენტარების დიდი დელეგაცია, პოლიტოლოგები და არასამთავრობო ორგანიზაციათა ექსპერტები მონაწილეობდნენ.

„მთიანი ყარაბაღის ხალხისა და ხელისუფლებისათვის პრობლემის მოგვარების საწყისი წერტილი 1991 წლის რეფერენდუმის შედეგებია, რომლის მიხედვითაც არცახის სომხურმა მოსახლეობამ დამოუკიდებლობის იდეას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის სტრატეგიას, მტკიცედ დაუჭირა მხარი“, – განაცხადა პარლამენტის სპიკერმა აშოტ გულიანმა მისასალმებელ გამოსვლაში.

„მთიანი ყარაბაღი მოლაპარაკებების არა ობიექტს, არამედ სუბიექტს წარმოადგენს. სომხეთი მთიანი ყარაბაღის უფლებების გარანტად უნდა მოქმედებდეს და მას საერთაშორისო აღიარების მიღებაში დაეხმაროს“, – განაცხადა საპარლამენტო ფრაქციის „დაშნაკცუტიუნი – მოძრაობა 88“-ს ლიდერმა არმენ სარქისიანმა.

მოლაპარაკებების პროცესში ყარაბაღის მონაწილეობის აუცილებლობას ყველა გამომსვლელი ეთანხმებოდა. თუმცა ამჯერად პროცესიდან ყარაბაღის გამორიცხვაში დამნაშავე მხარეთა შესახებ სხვადასხვა მოსაზრება დაფიქსირდა.

„მოლაპარაკებების ახლანდელი ფორმატი – სომხეთი-აზერბაიჯანი, კონფლიქტის შინაარსს არ ასახავს“, – განაცხადა არმენ სარქისიანის მოადგილემ გეღამ ბაღდასარიანმა და არსებულ მდგომარეობაში ბაქო და ერევანი დაადანაშაულა.

„თუმცა ყარაბაღის მხარეც დამნაშავეა“, – დასძინა ბაღდასარიანმა.

კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული და ამჟამად განხილვის პროცესში მყოფი რამდენიმე წინადადების მიმართ აშკარა წინააღმდეგობა დაფიქსირდა.

„ჩემი პარტია აზერბაიჯანის მიერ თავსმოხვეული ომის დროს დაკავებული ტერიტორიების დაბრუნების, რამდენიმე წელიწადში რეფერენდუმის გამართვისა და კონფლიქტის მოგვარებამდე ლტოლვილების დაბრუნების წინააღმდეგია“, – განაცხადა ყარაბაღის კომუნისტური პარტიის ლიდერმა გრანტ მელქუმიანმა.

მაშინ, როცა აზერბაიჯანში ყარაბაღის საკითხი სერიოზული განხილვის საგანია, ყარაბაღელები სომხეთიდან მხარდაჭერის გამომხატველი ვიზიტებით კმაყოფილი არიან.

„სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის სამხედრო და პოლიტიკურმა ლიდერებმა პირდაპირ და არაპირდაპირ აჩვენეს, რომ აზერბაიჯანის მხრიდან შანტაჟისა და დაშინების გამო დანებებას არ აპირებენ. ისინი სამხედრო აგრესიაზე ერთობლივი ძალებით საპასუხოდ მზად არიან“, – განაცხადა ყარაბაღელმა პოლიტოლოგმა დავიდ კარაბეკიანმა.

ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ვიზიტი ყარაბაღში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვარდან ოსკანიანის სტუმრობა იყო. ოსკანიანმა, რომელიც აპრილის ბოლოს სამშვიდობო მოლაპარაკებათა შესახებ ყარაბაღის ხელისუფლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად ჩავიდა, ყარაბაღის მთავარი უმაღლესი სასწავლებლის – არცახის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სიტყვით მიმართა. ახალგაზრდებთან შეხვედრისას მან მოლაპარაკებებში სომხეთის სტრატეგიის შესახებ ისაუბრა და სტუდენტთა შეკითხვებს (რატომ არ სცნო სომხეთმა ყარაბაღის დამოუკიდებლობა და რატომ არ არის ჩართული მოლაპარაკებათა პროცესში ყარაბაღი) უპასუხა.

„ახლა არ შემიძლია იმის თქმა, თუ როგორი პოლიტიკური სტატუსი ექნება მთიან ყარაბაღს. მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, თუ რა სტატუსი არ ექნება მას. აზერბაიჯანის დაქვემდებარების ქვეშ ყოფნა აბსოლუტურად გამორიცხულია. მთიანი ყარაბაღი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ნაწილი არასდროს ყოფილა“, – განაცხადა ვარდან ოსკანიანმა.

„კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდეგ მთიანი ყარაბაღი მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს, რადგან ამით მისი ბედი წყდება“, – დაარწმუნა ოსკანიანმა მსმენელები.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აზერბაიჯანი გააფრთხილა, რომ სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში სომხეთი ყარაბაღის დამოუკიდებლობის აღიარებს.

„მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ოპერაციის განახლების მცირე შესაძლებლობა არსებობს, ჩვენ მუდმივ მზადყოფნაში უნდა ვიყოთ. პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მიღწევას ვცდილობთ, მაგრამ თუ აზერბაიჯანი ამას ძალისმიერი მეთოდებით შეეცდება, როგორც პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა აღნიშნა, სომხეთი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას აღიარებს“, – განაცხადა ვარდან ოსკანიანმა

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

MTV ონლაინ-მაღაზიას ხსნის

ნავთობის ფასმა კვლავ მოიკლო

ძვირფასი ლითონებიც გაიაფდა

45 წელში ინდოეთი ჩინეთს დაჩრდილავს

ინდიელები კოკაინის ნაცვლად Coca-ს აწარმოებენ

B3

სიახლეები "ბრიტანეთის ავიახაზებისგან"



ლარის კურსი $1/1,8025 ნიშნულამდე გამყარდა

ვის სჭირდება მყარი დოლარი?

B4

## სამომხმარებლო სესხით მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტი სარგებლობს

ნინო ნატროშვილი

*მიუხედავად იმისა, რომ ბანკებმა სამომხმარებლო კრედიტის გაცემის პირობები გაამარტივეს, საბანკო სექტორის ამ მიმზიდველი სერვისით მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტი სარგებლობს, რასაც ექსპერტები ქვეყანაში არსებული სოციალური ფონით ხსნიან. საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა მდგრადი ბიზნესგარემო და საშუალო ფენა. შესაბამისად, სტაბილური სამსახური და შემოსავალი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს.*

ბანკების რეიტინგი გაცემული კრედიტების მოცულობის მიხედვით

| | ბანკების დასახელება | კრედიტების მოცულობა სულ (ათას ლარებში) | კრედიტების მოცულობა/ წმინდა აქტივებთან (%) | სესხები კერძო სექტორისათვის /წმინდა აქტივებთან (%) | ბანკთაშორისი სესხები/წმინდა აქტივებთან (%) | სესხები სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის/ წმინდა აქტივებთან (%) | სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები/ კრედიტების მოცულობასთან (%) | [illegible] (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სს „თიბისი ბანკი" | 448922 | 64.0 | 63.3 | 0.7 | 0.0 | 3.3 | 3.0 |
| 2 | სს „საქართველოს ბანკი" | 395315 | 65.2 | 63.6 | 1.6 | 0.0 | 8.8 | 4.5 |
| 3 | სს „გაერთიანებული ქართული ბანკი" | 320264 | 78.2 | 77.0 | 1.2 | 0.0 | 3.6 | 3.6 |
| 4 | სს „პროკრედიტ ბანკი" | 276983 | 76.6 | 75.2 | 1.4 | 0.0 | 3.5 | 4.3 |
| 5 | სს „ბანკი ქართუ" | 186599 | 76.1 | 76.1 | 0.0 | 0.0 | 2.3 | 2.8 |
| 6 | სს ბანკი „რესპუბლიკა" | 145813 | 61.9 | 61.9 | 0.0 | 0.03 | 5.5 | 3.4 |
| 7 | სსკბ „ბაზისბანკი" | 34543 | 69.3 | 69.3 | 0.0 | 0.0 | 4.1 | 4.8 |
| 8 | სს „საქართველოს სახალხო ბანკი" | 31517 | 33.1 | 31.0 | 2.1 | 0.0 | 6.7 | 10.1 |
| 9 | სს „სტანდარტ ბანკი" | 26874 | 71.4 | 71.1 | 0.3 | 0.0 | 2.2 | 3.1 |
| 10 | სს „[illegible] ბანკი" | 21514 | 63.1 | 61.5 | 1.6 | 0.0 | 3.1 | 8.1 |
| | სულ საბანკო სექტორი | 1948496 | 67.4 | 66.3 | 1.1 | 0.00 | 4.8 | 3.9 |

B2

## ჩეხეთში კაპიტალდაბანდების დროა

ჩეხური უძრავი ქონება სწრაფი ტემპით ძვირდება და მალე პიკს მიაღწევს

გოჩა ქიმუცაძე

*ჩეხეთის რესპუბლიკა აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა. ევროპის ცენტრში მომგებიანი გეოგრაფიული მდგომარეობა, სტაბილური დემოკრატიული პოლიტიკური ვითარება, მზარდი ეკონომიკა და საქმიანი და ტურისტული ცენტრის სტატუსი ჩეხეთს კაპიტალდაბანდებისათვის მეტად მიმზიდველ ქვეყნად ხდის.*

**ჩეხეთში სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ ქონებაზე არც იოცნებოთ, მისი უცხოელზე გაყიდვა არ შეიძლება. ხოლო თუ მაინც გულით მოინდომეთ და როგორღაც შეძელით, ფულის დაკარგვის უდიდესი რისკის წინაშე აღმოჩნდებით.**



B3

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3756 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0025 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4919 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8065 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8418 |
| 1 | ბულგარული ლევი | BGL | 1,1858 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3111 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3136 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3188 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4825 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3474 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,2423 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1639 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,4036 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1975 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2554 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4045 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6211 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,3086 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,7334 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3907 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2982 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5901 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6069 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0671 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1476 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4074 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5619 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4816 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5950 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8644 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2476 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1492 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4433 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2470 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4957 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0816 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2259 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2330 |




## "ტოიოტა" იაფფასიან ავტომობილს ქმნის

მერაბ ლორთქიფანიძე

*"ტოიოტას" დაგეგმილი აქვს პრინციპულად ახალი კომპაქტური და რაც მთავარია, იაფფასიანი ავტომობილის შექმნა, რომლის გასაღების მთავარი ბაზრები განვითარებადი ქვეყნები იქნება. წინასწარი მონაცემებით, ასეთი ავტომობილის ფასი არ უნდა იყოს 7000 დოლარზე მეტი. მისი გაყიდვები სავარაუდოდ 2010 წელს, ინდოეთში დაიწყება.*




**იაპონური კომპანიის მარკეტოლოგების გათვლებით, გაყიდვების ზრდის დაახლოებით 90 პროცენტი უცხოური ბაზრების ხარჯზე უნდა მოხდეს. საკუთრივ იაპონიის ბაზარზე ზრდა კი დაახლოებით 7 პროცენტი იქნება.**

B4

# სამომხმარებლო სესხით მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტი სარგებლობს

პირველი გვერდიდან

თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სხვადასხვა ტიპის კრედიტის გაცემის რაოდენობის მიხედვით, სს "თიბისი ბანკი" ლიდერობს. მეორე ადგილზეა სს "საქართველოს ბანკი", ხოლო მესამე და მეოთხე ადგილებს სს "გაერთიანებული ქართული ბანკი" და სს "პროკრედიტ ბანკი" ინაწილებენ.

ბანკიდან ნებისმიერი ტიპის კრედიტის გამოტანა ყველა ქვეყნის მოსახლეობისთვის საკმაოდ მარტივ და აუცილებელ პროცედურად არის ქცეული. ამ სერვისით განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა საკმაოდ აქტიურად სარგებლობს, რადგან რაც არ უნდა სოლიდური შემოსავალი ჰქონდეს პიროვნებას, მხოლოდ ხელფასით ბევრი სამომხმარებლო სურვილის დაკმაყოფილება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

უცხოურ მაგალითებს თუ განვიხილავთ, ოჯახი ხშირ შემთხვევაში მრავალი წლის განმავლობაში ფარავს ბანკიდან გამოტანილ სესხს, მაგრამ დროის უმოკლეს ვადაში აღებული საკმაოდ სოლიდური თანხის მეშვეობით ყიდულობს სახლს, ავტომობილს, უახლეს საოჯახო ტექნიკას, ასწავლის შვილებს პრესტიჟულ სასწავლებლებში. ასეთ სესხს საბანკო ენაზე სამომხმარებლო კრედიტი ჰქვია. ექსპერტების შეფასებით, სამომხმარებლო კრედიტი საკმაოდ ეფექტურია, რადგან სურვილის ასრულება და შედეგის მიღწევა საკმაოდ სწრაფადაა შესაძლებელი, ხოლო აღებული სესხის დაფარვა დათქმულ ვადებში ეტაპობრივად ხდება.

ამ ფონზე, საინტერესოა, ვის შეუძლია ისარგებლოს სამომხმარებლო კრედიტით და რამდენად მიესადაგება სესხის ასაღებად განსაზღვრული პირობები საქართველოს რიგითი მოქალაქეების ფინანსურ შესაძლებლობებს. დღეს სამომხმარებლო კრედიტებს საქართველოში მოქმედი თვრამეტი ბანკიდან თითქმის ყველა გასცემს, თუმცა პირველებმა ეს სერვისი "თიბისი ბანკმა" და "საქართველოს ბანკმა" დანერგეს. საბანკო სექტორის მიერ განსაზღვრული პირობების მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტის აღება შეუძლია ყველას, ვისაც გააჩნია სტაბილური ყოველთვიური შემოსავალი სამსახურიდან, პირადი ბიზნესიდან, პირადი ქონების გაქირავებიდან (მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება, ავტომობილი, ოჯახის კუთვნილი პირადი ნივთები, ტექნიკა, ავეჯი, საბანკო გარანტია, დეპოზიტი ბანკში და სხვა).

აღსანიშნავია, რომ საბანკო სესხები პირობითად დაყოფილია სამომხმარებლო სესხებად - 2000 ლარამდე, მცირე ბიზნესსესხებად - 2 ათასიდან 20 ათას ლარამდე, საშუალო ბიზნესსესხებად - 20 ათასი ლარიდან 50 ათას ლარამდე, და კორპორატიულ ანუ მსხვილ ბიზნესსესხებად - 50 ათასის ზევით.

რაც შეეხება სამომხმარებლო კრედიტებს, ასეთ მომსახურებაზე საქართველოში დღეისათვის ყველაზე ეფექტურად "თიბისი ბანკი", "საქართველოს ბანკი" და "პროკრედიტ ბანკი" მუშაობენ. ექსპერტების შეფასებით, სამომხმარებლო კრედიტების სისტემის დანერგვა უდავოდ მომგებიანი და ხელსაყრელია მოსახლეობისათვის, მაგრამ ბუნებრივია, კრედიტის გაცემა შესაბამის საგარანტიო პირობებსაც ითვალისწინებს. კერძოდ, "საქართველოს ბანკის" მონაცემებით, მსესხებლის სუფთა ყოველთვიური შემოსავალი (გადასახადების გადახდის შემდეგ) უნდა შეადგენდეს მინიმუმ 200 აშშ დოლარს. კრედიტორს უნდა გააჩნდეს მუშაობის სტაჟი მინიმუმ 1,5 წელი სესხის დასაფარი ყოველთვიური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მსესხებლის შემოსავლის 35 პროცენტს და არ უნდა იყოს 10 პროცენტზე ნაკლები. ბანკის კრედიტით კი შესაძლებელია 200-დან 10 ათას აშშ დოლარამდე ღირებულების ყველა საყოფაცხოვრებო ნივთის შეძენა.

"თიბისი ბანკის" განმარტებით, კრედიტის პირობები განსაზღვრულია მაღალანაზღაურებადი სამსახურითა და ხელფასით, მინიმუმ ორწლიანი სამუშაო სტაჟით, უმაღლესი განათლებით, დადებითი რეკომენდაციებით. კრედიტისათვის განკუთვნილი თანხა კი მინიმუმ 500 და მაქსიმუმ 5 ათასი აშშ დოლარი გახლავთ წლიური 20-30-პროცენტიანი განაკვეთით.

რაც შეეხება "პროკრედიტ ბანკს", სესხის ასაღებად საჭიროა სტაბილური შემოსავალი, რომელიც დადასტურებული იქნება დოკუმენტურად (ხელფასი, იჯარა, პენსია და სტიპენდია); საჭიროა პირადობის დამადასტურებელი საბუთი. სესხის ასაღებად საჭირო არ არის, დანაზოგი და მაღალანაზღაურებადი სამსახური გქონდეთ. "პროკრედიტ ბანკის" კეთილმოწყობის სესხი ბინის გარემონტების, ავეჯის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენის საშუალებას იძლევა. სესხის გაცემის ვადაა 5 წლამდე, თანხა კი - 100 ლარიდან 40 000 აშშ დოლარამდე.

ექსპერტების შეფასებით, საბანკო სექტორის სამომხმარებლო კრედიტების პირობები საკმაოდ მისაღები და ხელსაყრელია, თუმცა მოსახლეობისათვის აღნიშნული სერვისი მაინც მიუწვდომელი რჩება.

საბანკო სექტორის განვითარებაზე, ეკონომიკის სხვა სექტორების მსგავსად, პირდაპირ ზემოქმედებას, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გარემოს ანუ ბიზნესფონის გარდა, სოციალური ფონი და მოსახლეობის დასაქმების დონეც ახდენს. საუბარია იმაზე, რომ რეალურად, დღეისათვის საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა ანაზღაურება ისეთი დაბალია, რომ მათ უმრავლესობას საშუალება არა აქვს, ისარგებლოს ასეთი კრედიტით, ანუ ამ გზით მაინც გაიუმჯობესოს საყოფაცხოვრებო პირობები. ასე რომ, მოსახლეობის დაბალანაზღაურებადი ნაწილი, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობას შეადგენს, ისევ თამაშგარე მდგომარეობაში რჩება.

# საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია პრაღაში კონგრესს დაესწრო

სალომე ძაძამია



*ჩეხეთის დედაქალაქში, ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პატრონაჟით, ჩატარდა მრეწველთა და მეწარმეთა საერთაშორისო კონგრესის მორიგი კონფერენცია - "აღმოსავლეთი-დასავლეთი ინტეგრაცია და განვითარება" (west-east integration and deveiopment)". კონფერენციის 542 მონაწილეს შორის საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაც იყო.*

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია 2000 წელს დაარსდა. მასში დაახლოებით 500-მდე კომპანიაა გაერთიანებული. ასოციაციის ბაზაზე არსებული ქსელი, შესაბამის სფეროში მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციებისა და პროფესიონალი ექსპერტების მხარდაჭერით, ასოციაციის წევრი კომპანიებისათვის საკონსულტაციო საქმიანობას ეწევა. ქართული ასოციაცია მსოფლიოს მრეწველთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციის წევრია. "24 საათი" ასოციაციის პრეზიდენტს ელგუჯა მელაძეს ესაუბრა.

დამსაქმებელთა ასოციაცია მეწარმეებსა და ბიზნესმენებს აერთიანებს და საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. ორგანიზაციას მრავალმხრივი ფუნქციები აქვს. გვაქვს სხვადასხვა სახის სერვისები, რომლებიც წარმატებით ხორციელდება. ვართ მსოფლიოს მრეწველთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციის ოფიციალური წევრი.

**- რა სახის მომსახურებას უწევთ ბიზნესმენებს?**

- საგადასახადო, სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სერვისები. სერიოზულად ვმუშაობთ კადრების შერჩევის თვალსაზრისით და ორგანიზებას ვუკეთებთ კადრების მომზადებას. გვაქვს ჩვენი სისტემა, USAID-მა გამოგვიყო თანხა და ახალ პროგრამას აფინანსებს. ყველა ჩვენი სერვისი ორიენტირებულია მეწარმის ანუ დამსაქმებლის მოთხოვნებზე.

**- ანუ თქვენ დაკვეთებზე მუშაობთ?**

- დაკვეთის გარეშე, ჩვენი ინიციატივით არაფერს ვაკეთებთ. ჩვენი საქმიანობა მეწარმის მოთხოვნებზეა დამყარებული. გვყავს სამთავრობო პარტნიორები - შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს სახით. ივნისის თვეში შვეიცარიაში ტარდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენცია, სადაც მიწვეულები ვართ. აღნიშნულ კონფერენციაში სახელმწიფო ორგანიზაციებიც მონაწილეობენ.

**- თუ გაქვთ რაიმე პროგრამა დამწყები მეწარმეებისათვის?**

- საკმაოდ საინტერესო პოლიტიკა გვაქვს დამწყები მეწარმეების მიმართ. გვაქვს საინტერესო ტექნოლოგიები. დაახლოებით 30 ტრენერი გვყავს მომზადებული, მათ უკვე შეუძლიათ, წარმართონ სამეწარმეო საქმიანობა.

**- სახელმწიფოსთან რა სახით თანამშრომლობთ?**

- ვთანამშრომლობთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მარეგულირებელ კომისიასთან, ეკონომიკის სამინისტროსთან. ვართ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმწიფო კომისიის წევრი.

**- დაახლოებით რამდენი მეწარმეა გაერთიანებული დამსაქმებელთა ასოციაციაში?**

- ასოციაციის ფარგლებში, დაახლოებით ხუთასზე მეტი კომპანიაა გაერთიანებული. ჩვენს ორგანიზაციაში ფიზიკური პირები არ არიან, მხოლოდ ფირმები.

**- ინვესტიციების მოზიდვის კუთხით თუ მუშაობთ?**

- რა თქმა უნდა. თუმცა, ეს ფუნქციები ახლა ინოვაციების ცენტრში გადავა.

**- თქვენ მიერ მომზადებულ კადრს პარტნიორის მოძებნაში თუ ეხმარებით?**

- ვეხმარებით, საერთაშორისო კონგრესის მეშვეობით.

# ბათუმში ბიზნესის ხელშემწყობი ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრის ფილიალი გაიხსნა

ბათუმში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრის აჭარის ფილიალი გაიხსნა. ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი მიზნად ისახავს მეწარმეებისათვის და სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მსურველთათვის ბიზნეს-საკონსულტაციო მომსახურების პაკეტის შეთავაზებას, რაც ხელს შეუწყობს მათ სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაზრდას, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ამაღლებასა და რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომ განვითარებას.ბიზნეს-კონსულტაციებს განახორციელებენ აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წამყვანი სპეციალისტები და მოწვეული ექსპერტები, რომლებიც ბიზნესის წარმომადგენლებს გაუწევენ საკონსულტაციო მომსახურებას საკანონმდებლო, მარეგულირებელი, მენეჯმენტის, ბიზნესდაგეგმვის, სესხის აღების და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებში. გარდა ამისა, ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრების ფარგლებში დახმარება უნდა გაეწიოს ბიზნესის წარმომადგენლებს, რათა მათ შეძლონ მთავრობასთან დიალოგის წარმართვა ეროვნული განვითარების სტრატეგიაზე, საგადასახადო რეჟიმზე, ადმინისტრაციულ რეფორმაზე და სხვა იმ საკითხებზე, როცა აუცილებელია მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლების თანამშრომლობა.ცენტრი გახსნილია აჭარის ა.რ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბაზაზე. პროექტის მონაწილეები არიან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი დენ ბერკშაია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი, ასევე თურქეთის რესპუბლიკის გენერალური კონსული ბათუმში შევქი მუთეველლიოღლუ, და ესტონეთის ელჩი საქართველოში პაულ ლეტტენსი.ცენტრის გახსნაში მონაწილეობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები, რეგიონის ბიზნესმენები და მეწარმეებიც იღებდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აჭარის ტურისტული კომპლექსით ესტონელი ინვესტორები დაინტერესდნენ

აჭარის ტურისტული კომპლექსით შესაძლოა ესტონელი ინვესტორები დაინტერესდნენ, - ამის შესახებ ესტონეთის ელჩმა საქართველოში პაულ ლეტენსმა აჭარის მთავრობის მეთაურთან, ლევან ვარშალომიძესთან ორშაბათს გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

ესტონელმა დიპლომატმა ასევე არ გამორიცხა, რომ ესტონეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა აჭარის რეგიონთან საკომუნიკაციო სფეროშიც ითანამშრომლონ.

"საქართველოც და ესტონეთიც საზღვაო ქვეყნებია. გარდა საზღვაო ტურიზმისა, თქვენ მთის ტურიზმის განვითარების დიდი შანსი გაქვთ. ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა სფეროში შეიძლება ინვესტირება," - განაცხადა ესტონეთის ელჩმა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## კომუნიკაციების კომისიაში განცხადებების მიღების ვადა იწურება

17 მაისს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიაში რადიოსიხშირული სპექტრით და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებების მიღების ვადა ამოიწურება.

კერძოდ, აუქციონი გამოცხადდა ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად.

აუქციონში გამარჯვებული ნუმერაციის რესურსს აირჩევს შემდეგი ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსიდან: 8-52, 8-53, 8-54.

სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა 15 000 ლარს შეადგენს.

აუქციონი 2006 წლის 2 ივნისს, 14:00 საათზე ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დენის ტარიფი ინვესტორების მოსაზიდად გაიზარდა

სამი სადისტრიბუციო კომპანიისა და 6 ჰესის პრივატიზაციის თაობაზე ტენდერის გამოცხადებით ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის მომატება გაზის ფასის მატებას არ უკავშირდება. აღნიშნული განცხადება "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა დავით საგანელიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

"ხელისუფლება მუდმივად ამტკიცებდა, რომ დენის ტარიფის გაძვირება ბუნებრივ აირზე რუსეთის მხრიდან ფასების გაძვირებას მოჰყვა. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ტარიფის გაძვირება ხელისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ინვესტორების მოსაზიდად სჭირდება სადისტრიბუციო კომპანიების პრივატიზების პროცესში," - განაცხადა საგანელიძემ.

მისივე ვარაუდოთ, წინასაარჩევნოდ ხელისუფლებას ფინანსური სახსრები სჭირდება და სადისტრიბუციო კომპანიებისა და ჰესების პრივატიზებას სწორედ ამიტომ ახორციელებს. დეპუტატის შეფასებით, ქვეყანაში ჩატარებული ტენდერები ბლეფია, რადგან ყველასათვის წინასწარაა ცნობილი, თუ რომელ კომპანიას ვინ იყიდის. "პრივატიზაციის თაობაზე გადაწყვეტილებები კონკრეტული მაღალჩინოსნების კაბინეტებში ღამ-ღამობით წყდება," - განაცხადა საგანელიძემ. მისი თქმით, პრივატიზაციის პროცესში ობიექტების გარკვეული წილის მოსახლეობისათვის გადაცემით ხელისუფლება მეანაბრეების პრობლემას გადაჭრიდა. დეპუტატი ვარაუდობს, რომ რუსეთი ბუნებრივი აირის ღირებულებას კიდევ უფრო გაზრდის, რადგან საქართველოსათვის მოწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება საერთაშორისო ფასებზე დაბალია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "სამგორი" მომხმარებელს ჩამოსასხმელ "ჰავაის ნაყინს" შესთავაზებს

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია "სამგორი" ივნისიდან თბილისსა და ბათუმში მომხმარებელს ჩამოსასხმელ ნაყინს მოძრავი ჯიხურებიდან შესთავაზებს.

როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს "სამგორის" მარკეტინგის ჯგუფის წევრმა ზვიად ლორიამ აცნობა, კომპანიის ხელმძღვანელობამ, რამდენიმეთვიანი კონსულტაციების შემდეგ, ზაფხულის სეზონისთვის არჩევანი მსოფლიოში ცნობილ ბრენდზე, ნაკლებადკალორიულ "ჰავაის ნაყინზე" შეაჩერა.

ზვიად ლორიას განმარტებით, ჩამოსასხმელი "ჰავაის ნაყინის" ჯიხური თავდაპირველად თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება.

ამ დროისათვის ჩამოსასხმელი ნაყინის ცენტრები კომპანიებს "ნიკორას" და "ქართუ უნივერსალს" (თოლია) გააჩნია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## სარეკლამო აბრებისთვის გამოყოფილი ტერიტორიები იჯარით გადაიცემა

ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა ქალაქის მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. ქურხულის თქმით, ქუჩებში რეკლამების განთავსების თაობაზე შესაბამისი კონცეფციის წარმოდგენა უკვე დაევალათ ქალაქის ურბანული დაგეგმარებისა და ზედამხედველობის სამსახურებს. "აღნიშნული სამსახურები ასევე განსაზღვრავენ, რა რაოდენობისა და რა სახის რეკლამები უნდა განთავსდეს დედაქალაქში," - აღნიშნა მან. პრემიერის ინფორმაციით, სარეკლამო მიწის ნაკვეთების გამოყოფისთვის სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც მუშაობას დაახლოებით ერთ თვეში დაასრულებს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "პროკრედიტბანკს" ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პრეზიდენტი რომან გოცირიძე "პროკრედიტბანკის" ახალ ხელმძღვანელობას შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობასა და ადგილობრივ საფინანსო ბაზარზე "პროკრედიტბანკის" საქმიანობას შეეხო. რომან გოცირიძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ "პროკრედიტბანკმა" საკმაოდ მცირე დროში შეძლო საქართველოს საბანკო ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრება. მან მადლობა გადაუხადა "პროკრედიტბანკის" ძველ მენეჯმენტს და ბანკის ყოფილ გენერალურ დირექტორს ფილიპ ზიგვარტს. "პროკრედიტბანკს" ახალი გენერალური დირექტორი ფილიპ პოტი უხელმძღვანელებს, რომელსაც მანამდე "პროკრედიტბანკ-უკრაინის" გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ფილიპ ზიგვარტი კი, რომელიც 2002 წლიდან ქართულ "პროკრედიტბანკს" ხელმძღვანელობდა, კარიერას "პროკრედიტბანკის" ერთ-ერთ ევროპულ ფილიალში გააგრძელებს.

## მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 207 000 ბოთლ ქართულ ღვინოს კონფისკაცია ჩაუტარდა

მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსკოვის ოლქის დასახლებულ პუნქტ ვერხნი პოსადში კონფისკაცია ჩაუტარდა 207 000 ბოთლ ქართულ ღვინოს.

რუსეთის ფედერაციის სანიტარული სამსახურის უფროსის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, ამოღებული ქართული ღვინო დაბალხარისხიანი იყო.

გენადი ონიშჩენკოს ინფორმაციით, ქართული ღვინის გაყიდვისათვის გასულ კვირას 7 სავაჭრო საწარმო დაიხურა.

რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ რუსეთის ტერიტორიაზე ქართული ღვინის აკრძალვის განკარგულებას ხელი 10 მაისს მოაწერა. ონიშჩენკოს განკარგულებით, რუსეთში ქართული მინერალური წყლის "ბორჯომისა" და "ნაბეღლავის" რეალიზაცია აიკრძალა. **ინტერპრესნიუსი**

## ონიშჩენკო სავაჭრო ქსელიდან ქართულ ღვინოს სასამართლოს დახმარებით იღებს

"როსპოტრებნადზორმა" რუსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ შეტანილ და სარეალიზაციოდ გამზადებულ ქართულ და მოლდოვურ ღვინოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი სასამართლო საქმე მოიგო.

რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის გენადი ონიშჩენკოს ინფორმაციით, მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსკოვის მხარის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში - ვერხნი პოსადში უსაფრთხოების სანიტარულ-ჰიგიენური მაჩვენებლებით გათვალისწინებული ნორმატივებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის შეუსაბამო 207 ათასი ბოთლი ქართული ღვინო ამოიღეს.

ონიშჩენკოს ოფიციალური გაფრთხილების თანახმად, მოსკოვის რომელიმე სავაჭრო წერტილში ქართული ღვინის აღმოჩენისთანავე, იგი რადიკალურ ზომებს მიიღებს.

რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის თქმით, გასულ კვირაში შვიდ სავაჭრო საწარმოს აკრძალვის დარღვევის გამო ლიცენზია ჩამოართვეს. **მედიანიუსი**

## თბილისის ბაზრებში ხორცპროდუქტებზე მომატებული ფასები ფიქსირდება

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, დაკლული მსხვილფეხა საქონლისა და რქოსანი პირუტყვის ხორცზე დღეისათვის ადგილობრივ ბაზარზე გაზრდილი ფასი ფიქსირდება.

თბილისში, 2006 წლის აპრილის თვის მონაცემებით, ადგილობრივ ბაზარზე დაკლულმა ძროხის ხორცმა - 7,25 ლარი, ღორის ხორცმა - 7,83, ხოლო ცხვრის ხორცმა - 8,00 ლარი შეადგინა.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ხორც-პროდუქტებზე ფასი კიდევ გაიზარდოს, რაც მოსახლეობისთვის მძიმე ფონს შექმნის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თბილისში ფორუმი გაიმართა

ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტისა და ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზებით, "ქორთიარდ მარიოტში" ცენტრალური აზიისა და კავკასიის მე-8 რეგიონული ფორუმი გაიხსნა.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი, შუა აზიისა და კავკასიის რეგიონის სხვადასხვა სახელმწიფოთა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები. მე-8 რეგიონული ფორუმის ფარგლებში განიხილება ექსპორტის კონტროლის ოპტიმიზაციისა და სტრატეგიის თანამედროვე მეთოდები.

ცენტრალური აზიისა და კავკასიის მე-8 რეგიონული ფორუმი მუშაობას 18 მაისს დაასრულებს. **ინტერპრესნიუსი**

## MTV ონლაინ-მაღაზიას ხსნის

მუსიკალური ტელეარხი MTV URGE-სერვისის მეშვეობით მუსიკალურ და ვიდეო მასალას ინტერნეტით გაყიდის. ახალი სერვისი Windows Media Player 11-ის ბაზაზე ამოქმედდება. MTV-ის ახალი სერვისის საფასური თვეში 9,95 დოლარი იქნება. ახალი ინტერნეტ-მაღაზიის საიტზე დაახლოებით ორი მილიონი საუნდტრეკი განთავსდება. MTV Networks Music Group-ის პრეზიდენტის, ვანა ტოფლერას ინფორმაციით, კომპანიამ მომღერლებისა და მსახიობების გამოსვლების ექსკლუზიური ჩანერა უკვე დაიწყო. მსურველები ამ პროდუქციის შეძენას ახალ ონლაინ-მაღაზიაში შეძლებენ. ახალი სერვისი მუსიკალურ მეკობრეობასთან ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო იარაღს წარმოადგენს და ამასთან, კომპანია Apple-ის ინტერნეტ-მაღაზია iTunes-ს სერიოზულად შეავიწროებს. აღნიშნული მაღაზია ონლაინ-ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. iTunes Music Store-მა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთ მილიარდ საუნდტრეკზე მეტი გაყიდა. ერთი მუსიკალური პროდუქტის ღირებულება საშუალოდ 99 ცენტს წარმოადგენდა. კომპანია Apple-ს ონლაინ-მაღაზიამ 100 მილიარდი დოლარის მოგება მოუტანა. MTV-ის პრეზიდენტი აცხადებს, რომ დღესდღეობით ელექტრონული სახით მუსიკალური პროდუქციის მხოლოდ 5 პროცენტი იყიდება. კომპანიას მიაჩნია, რომ მუსიკალური პროდუქციის წარმატებულ გაყიდვაში MTV-ის ცნობილი ბრენდი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

## ევრაზიის ეკონომიკურმა საზოგადოებამ და შანჰაის ორგანიზაციამ ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

ევრაზიის ეკონომიკურმა საზოგადოებამ და შანჰაის ორგანიზაციამ ეკონომიკური ურთიერთქმედების სფეროში სამომავლო თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყეს. შესაბამის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი გუშინ, პეკინში მოაწერეს. მემორანდუმის პირობებში ნათქვამია, რომ მხარეები განახორციელებენ ინფორმაციის გაცვლას და გამართავენ კონსულტაციებს "ორმხრივი ინტერესის" სფეროებში, უპირველესად კი ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში. თანამშრომლობა ვაჭრობის, ენერგეტიკის, ტრანსპოტრის, ინფორმატიკისა და კომუნიკაციის, კაპიტალისა და მუშა-პერსონალის, ინვესტიციის დაცვის, ტურიზმის, განათლების, ჯანდაცვისა, სპორტის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში განხორციელდება. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ევრაზიის ტრანსნაციონალური დერეფნის განვითარების საკითხს დაეთმობა. შეგახსენებთ, რომ შანხაის ორგანიზაციების შემადგენლობაში შედის ჩინეთი, რუსეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი. ხოლო ევრაზიის ეკონომიკურ საზოგადოებაში კი ბელორუსია, რუსეთი და უზბეკეთი.

## ბაფეტმა ConocoPhillips-ის 1,1 პროცენტი იყიდა

კომპანია Berkshire Hathaway-მ, რომლის დამაარსებელი და უმსხვილესი აქციონერი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი უორენ ბაფეტია, 2005 წლისა და 2006 წლის განმავლობაში აშშ-ს სიდიდით მესამე ნავთობკომპანია ConocoPhillips-ის 17,938 მილიონი აქცია შეიძინა, რაც კომპანიის მთელი კაპიტალის 1,1 პროცენტია. აღნიშნული პაკეტის საბაზრო ღირებულება 1,13 მილიარდი დოლარია. ანალიტიკოსთა განცხადებით, ConocoPhillips-ის აქციების შეძენა უორენ ბაფეტის საინვესტიციო სტრატეგიას სრულად შეესაბამება, რომელიც ყოველთვის ცდილობს, ის საბაზრო ქაღალდები შეიძინოს, რომელთა ფასი რეალურს ჩამოუვარდება. ამ დროისათვის ConocoPhillips აშშ-ს სხვა ნავთობკომპანიებთან ფასდაკლებით ვაჭრობს. შეგახსენებთ, რომ 42 მილიარდი დოლარის მფლობელი, 75 წლის უორენ ბაფეტი Forbes-ის რეიტინგში მეორე ადგილზეა და მხოლოდ ბილ გეითსს ჩამორჩება.

# ჩეხეთში კაპიტალდაბანდების დროა

### მხოლოდ იურიდიული პირი









2004 წლის 1 მაისს ევროკავშირში შესვლის შემდეგ ჩეხურ უძრავ ქონებაზე ფასები გაიზარდა, მაგრამ მაქსიმუმისათვის ჯერ არ მიუღწევია. ქვეყნის შენგენის და ევროვალუტის ზონაში საბოლოო შესვლის შემდეგ, რომელიც 2007 წელს მოხდება, ჩეხეთში უძრავი ქონება კიდევ უფრო - ექსპერტთა ვარაუდით, სულ მცირე, 40-50 პროცენტით გაძვირდება და ფასების ზრდა შემდეგ კიდევ გაგრძელდება. თავად განსაჯეთ, ამჟამად მოსაზღვრე გერმანიასა და ავსტრიაში უძრავი ქონება ჩეხურთან შედარებით ათჯერ ძვირია. ასე რომ, თქმა არ უნდა, ჩეხეთში მომგებიანი კაპიტალდაბანდებისათვის მშვენიერი დროა.

ამჟამად ჩეხეთში უცხოელს უძრავი ქონების შეძენა მხოლოდ იურიდიული პირის სტატუსით შეუძლია. ორი წლის წინ ევროკავშირმა საკანონმდებლო ცვლილებისათვის ჩეხეთს 7-წლიანი ვადა მისცა. ასე რომ, 2011 წლისათვის ეს შეზღუდვა მოიხსნება. თუმცა, მაშინ ჩეხურ კაპიტალს სულ მთლად ცეცხლის ფასი დაედება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩეხეთი ესპანეთის, ან კვიპროსისაგან განსხვავებით, უძრავი ქონების უცხოელებისათვის მიყიდვით დაინტერესებული არ არის. ქვეყნის მცირე ფართობის, დიდი მოთხოვნილების და ისეთ ეკონომიკურ მონსტრებთან მეზობლობის, როგორებიცაა გერმანია და ავსტრია, გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ როგორც კი შეზღუდვა მოიხსნება, მოთხოვნილება შემოთავაზებებს უმალ გადააჭარბებს და ბაზარი დაცარიელდება.

ასე რომ, სწორედ დროა, ჩეხეთში უძრავი ქონება შეიძინოთ. რეზიდენციის არქონის შემთხვევაში კი, როგორც აღვნიშნეთ, ამისათვის იურიდიულ პირად დარეგისტრირება დაგჭირდებათ. მართალია, უცხოელს შეუძლია, ჩეხური ფირმის ასპროცენტიანი დამფუძნებელი იყოს, მაგრამ გარკვეული შეზღუდვა მაინც არსებობს. კერძოდ, ფირმის აღმასრულებელი დირექტორი უნდა იყოს ჩეხეთის მოქალაქე ან რეზიდენტი. თუმცა, ჩეხი პარტნიორის, ან მარიონეტის პოვნის, ან კიდევ დოკუმენტების მაღალ დონეზე მომზადების შემდეგ ამ და სხვა პრობლემების თავიდან აშორება შესაძლებელია.

### საკუთრების ტიპები და საგადასახადო სისტემა

იურიდიულ პირად დარეგისტრირების შემდეგ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები იღებთ ჩეხეთში საცხოვრებელ ერთწლიან ვიზას, ვადის ყოველწლიურად გაგრძელების საშუალებით და შეგიძლიათ, უძრავი ქონება წარმატებით შეიძინოთ. მხოლოდ არ დაგავიწყდეთ, ახლად შეძენილი კაპიტალი ფირმის ბალანსზე განათავსოთ. შემდეგ შეგიძლიათ, თქვენივე ფირმის ქონება საკუთარ თავს, როგორც ფიზიკურ პირს, იჯარით გადასცეთ, ხოლო 2011 წლიდან კი სულაც გამოსყიდვა გააფორმოთ.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ ჩეხეთში არსებობს 4 ტიპის საკუთრება: კერძო, კოოპერაციული, სახელმწიფო და კომუნალური. კერძო საკუთრების არსი გასაგებია. გარკვეულწილად, მას ჰგავს კოოპერაციულიც, მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ სახლი კოოპერატივის საკუთრებაშია და ბინის მყიდველმა მასში პაი უნდა მიიღოს. პაის ღირებულებას კი არა მარტო ბაზარი, არამედ კოოპერატივის ხელმძღვანელობის ნება განსაზღვრავს და შეიძლება ფასი ხელოვნურად გაზრდილი ან შემცირებული იყოს.

სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ ქონებაზე არც იოცნებოთ, მისი უცხოელზე გაყიდვა არ შეიძლება. ხოლო თუ მაინც გულით მოინდომეთ და როგორღაც შეძელით, ფულის დაკარგვის უდიდესი რისკის წინაშე აღმოჩნდებით. ასევე ვერ შეიძენთ კომუნალურ საკუთრებასაც. ამ შემთხვევაში სახლს მცხოვრებლები ფლობენ და ბინა უცხოელს კიდეც რომ მიჰყიდონ, შეუძლიათ, ნებისმიერ დროს ხმათა უმრავლესობით მისი გამოსახლება მოითხოვონ და მინიმალურ კომპენსაციას დააჯერონ.

სანამ უშუალოდ უძრავი ქონების ფასებზე გადავიდოდეთ, უნდა ითქვას, რომ ჩეხეთში საკმაოდ ლიბერალური საგადასახადო სისტემაა. კერძოდ, ქონების შეძენისას მხოლოდ მისი ღირებულების 5 პროცენტს იხდით, იურიდიული მომსახურება კი დაახლოებით 150-300 ევრო დაგიჯდებათ. მიმდინარე გადასახადი, განაშენიანების ტიპის მიხედვით, 1 კვადრატულ მეტრზე 0,1-დან 1 კრონა (1 ევრო დაახლოებით 30 კრონა ღირს) გამრავლებული კოეფიციენტზე, რომელიც დასახლებული პუნქტის სიდიდითა და მოსახლეობის რაოდენობით განისაზღვრება, გახლავთ. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი - 4,5 პრაღაშია. ქვეყნის დედაქალაქში საკუთარი სახლის მფლობელი ბეგარის და კომუნალური მომსახურების გადასახადის სახით სულ 100 ევრომდე იხდის.

### იაფი პროვინცია და ძვირი პრაღა

ჩეხური უძრავი ქონების ფასი რეგიონების მიხედვით მერყეობს. განსაკუთრებული სიძვირე პრაღასა და საკურორტო ზონაში, მაგალითად, კარლოვი ვარშია. პროვინციულ ქალაქებში ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის შეძენა 400-600 ევროდ შეიძლება, პრაღაში კი, უბნების პრესტიჟულობის და განაშენიანების ტიპის მიხედვით, კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ფასი 800-დან 2000 ევრომდე მერყეობს. თავისთავად ცხადია, განსაკუთრებული სიძვირე ჩეხეთის დედაქალაქის ისტორიულ, ტურისტებისათვის მიმზიდველ უბნებშია.

რაც შეეხება კეთილმოწყობილ ვილას საშუალო ზომის ეზოთი, ჩეხეთის პროვინციაში მას საკმაოდ იაფად, 20-30 ათას ევროდ შეიძენთ. დიდი ქალაქების, იგივე პრაღას ამგვარად განაშენიანებულ უბნებში ბევრად ძვირი, 100-დან 200 ათას ევრომდე და კიდევ უფრო მეტიც დაგიჯდებათ. ხოლო საკურორტო ზონაში ვილას 500 ათას ევროდ და მეტად შეიძენთ. რაც შეეხება ძველ ციხე-კოშკებს, თუ ბედმა გაგიღიმათ და ამგვარი სახელმწიფო საკუთრებაში არ იქნება, მის შესაძენად მილიონების გადახდა მოგიწევთ.

მიწის ნაკვეთი ჩეხეთის პროვინციებში საკმაოდ იაფია და კვადრატულ მეტრს 60-100 ევროდაც კი შეიძენთ. პრაღაში მიწა ბევრად ძვირია, კერძოდ, კვადრატული მეტრი 700-1000 ევროს ფარგლებში ღირს. კიდევ უფრო მეტის, კერძოდ, 1500-4000 ევროს გადახდა მოგიწევთ, თუ მიწის შეძენას საკურორტო ზონაში მოისურვებთ.

სამაგიეროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩეხეთში უძრავი ქონების ფასი გამუდმებით მატულობს და მისი გაძვირების პიკიც ახლოვდება. ეს კი ნიშნავს, რომ ამ მშვენიერ ქვეყანაში ნებისმიერი კაპიტალდაბანდებით სწორ სვლას გააკეთებთ. ხოლო, თუ სამშენებლო ბიზნესსაც წამოიწყებთ, სულ მალე დიდძალ ფულს იშოვნით. მართალია, ჩეხეთში მუშახელი და სამშენებლო მასალები საქართველოსთან შედარებით საკმაოდ ძვირია, მაგრამ ევროპულ ფასებს გვარიანად ჩამოუვარდება.

# ინდიელები კოკაინის ნაცვლად Coca-ს აწარმოებენ

ინდიელები კოკაინის ნაცვლად ახალ, ყვითელი ფერის შუშხუნა გამაგრილებელ სასმელს აწარმოებენ. ცნობილია მხოლოდ ის სამი ინგრედიენტი, რომელიც ამ ჯადოსნური და ენერგიული სასმელის შემცველობაში შევა: შაქრის ლერწამი, ლიმონი და კოკის მწვანე ფოთლების ნახარში, რომელიც ცნობილია კოკაინის ქლორჰიდრატის ფხვნილის სახით. თუმცა, ამ გამაგრილებელი სასმელის ერთ-ერთი გამომგონებელი, ფრანკი რიოსი ახალ "Coca-ceke"-ს შემცველობაში ყოველგვარი ნარკოტიკული საშუალების გამოყენებას კატეგორიულად გამორიცხავს. "სულ რამოდენიმე ნანოგრამი ალკოლოიდი, რომელსაც ეს სასმელი შეიცავს, არანაირ ფსიქოტროპიულ ეფექტს არ იძლევა. Coca - ეს არა არის კოკაინი, ისევე როგორც ყურძენი- ღვინო". განაცხადა გამომგონებელმა. ინდიელთა რასისა და აევე მათი მონათესავე ბოლივიელებისა და პერუელებისთვის "ანდების წმინდა მცენარე"- coca, კულტურული სიმბოლოს ნიშანია. ამ ადგილებში, ეს ნედლი თუ გამხმარი ფოთოლი მხოლოდ რიტუალურ ფუნქციას ასრულებს და მას შამანები იყენებენ. მას ასევე საკვები თვისებები აქვს და საკმაოდ ეფექტურად ებრძვის წყურვილის გრძნობას. ახალი სასმელი ამ ტერიტორიებზე უკვე დიდი წარმატებებით სარგებლობს. დღევანდელი მონაცემებით, თვეში დაახლოებით 30 ათასი ბოთლი იყიდება. უახლოეს მომავალში ეს ახალი სასმელი კოლუმბიის ბაზარსაც დაიპყრობს. მწარმოებლები აცხადებენ, რომ სასმელის ასეთი პოპულარობა ნარკომოვაჭრეებს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.ისინი აცხადებენ, რომ სოფელში მცხოვრებმა ერთ-ერთმა გლეხმა მათ სასმელისთვის საჭირო ის აუცილებელი ნედლეული მიყიდა, რომელიც ნარკომოვაჭრეებისთვის ჰქონდათ გადანახული.

სასმელის მწარმოებლებს თავიანთი პროდუქციის წარმატებაში ეჭვი არ ეპარებათ, ისინი უკვე ექსპორტსა და შესაბამისად, მსოფლიო ბაზრის დაპყრობაზე ოცნებობენ, თუმცა ერთადერთი, რაც მათ წარმატებულ ბიზნესს ხელს უშლის ეს მსოფლიოში კოკის მოპოვების აკრძალვაა. საქმე იმაშია, რომ ვენის კონვენცია, რომელიც ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებას უკავშირდება, ძალაში ჯერ კიდევ 1961 წელს შევიდა. ამის საფუძველზე, მწარმოებელს ამ მცენარის გამოყენება, მხოლოდ გემოს შემცველი ნივთიერებაში შეუძლიათ. "ის არ უნდა შეიცავდეს არანაირ ალკოლოიდს. ეს კი იგივეა, რაც სიყვარული კოცნის გარეშე"- ამბობს სასმელის მწარმოებელი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ვენის კონვენციის მიერ მიღებული ზომები კომპანია Coca-Cola-ს ხელს არ უშლის, ის კოკის ფოთლებს ლეგალურ ბაზარზე მომუშავე შემომტანისგან უპრობლემოდ ყიდულობს.

## აშშ-ს ბირჟაზე კლება შეჩერდა და ზრდა დაიწყო










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა ყურადღება, ძირითადად, მაკროეკონომიკური სიახლეებისაკენ იყო მიპყრობილი.

კერძოდ, აშშ-ს შრომის სამინისტროს ინფორმაციით, აპრილში ქვეყნის სამრეწველო ფასების ინდექსი 0,9 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, ამავე პერიოდში, ქვეყნის მრეწველობის მოცულობის ზრდამ 0,8 პროცენტი შეადგინა. გარდა ამისა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თავისი მოღვაწეობის ანგარიში გამოაქვეყნა მსოფლიოს უმსხვილესმა სავაჭრო ორგანიზაცია Wal-Mart-მა, რომლის მიხედვითაც, ამ პერიოდში, გასულ წელთან შედარებით, მისი შემოსავალი 4 პროცენტით, 2,6 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,12 პროცენტით, 11.441,98 პუნქტამდე მოიმატა. 0,02 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.239,89 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,1 პროცენტით, 1.295,85 პუნქტამდე გაიზარდა.

## ნავთობის ფასმა კვლავ მოიკლო

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე გუშინწინდელი ტენდენცია შენარჩუნდა და "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ ფასის კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 70,46 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 69,67 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ნავთობის გაიაფების მიზეზად კვლავ რჩება ბენზინის ძალიან გაძვირების გამო მასზე მოთხოვნილების შემცირება და მსოფლიო ეკონომიკის აღმასვლის შეჩერების მოლოდინი, რასაც, რა თქმა უნდა, ნავთობპროდუქტების მოხმარების შემცირება მოჰყვება.

## ძვირფასი ლითონებიც გაიაფდა

გასულ კვირაში ძვირფასი ლითონების სარეკორდოდ გაძვირების შემდეგ გუშინ მათზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე ერთი ტროიანული უნცია ოქრო 685 დოლარი ღირდა, უნცია ვერცხლი კი 13,335 დოლარამდე გაიაფდა.

ამის მიზეზი ენერგომატარებლების გაიაფება და უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში გუშინ დაფიქსირებული დოლარის კურსის შედარებით გამყარება გახდა. ექსპერტთა ვარაუდით, თუ სიტუაცია არ შეიცვლება, ოქროს და ვერცხლის ფასი კიდევ უფრო მოიკლებს.

## 45 წელში ინდოეთი ჩინეთს დაჩრდილავს

ანალიტიკურმა კომპანია Bridgewater Associates-მა, რომელიც 60 ქვეყნის ეკონომიკურ დახასიათებას ახორციელებს, 1969 წლის შემდეგ პირველად განაცხადა, რომ მსოფლიოს არც ერთი ეკონომიკა არ შემცირებულა. ამასთან, კომპანიამ მიანიშნა, რომ ეს სულ სხვაგვარი ეკონომიკური ბუმია, ვიდრე ის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ძირითადად, აშშ-ს და ევროპის ქვეყნებზე მოდიოდა.

დღეს მთლიან დადებით ტენდენციას, ძირითადად, ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის და რუსეთის სწრაფად მზარდი ეკონომიკები ქმნის. მათ ხარჯზე ხდება აშშ-ს, იაპონიის და ევროპის ქვეყნების ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპების კომპენსირება.

"ეს ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში ძირითად როლს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები თამაშობს," - განაცხადა კომპანია Capital Management-ის სტრატეგიული დაგეგმვის მთავარმა სპეციალისტმა ჯეიმს პოლსენმა. ამასთან, მან მიანიშნა, რომ ეკონომიკური ბუმი მხოლოდ ჩინეთში არ შეინიშნება. მან მოიცვა აზიის, ლათინური ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპის და აფრიკის ქვეყნები. ამ დროისათვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკური ზრდის ტემპმა, ინფლაციის გათვალისწინებით, წელიწადში 5 პროცენტი შეადგინა, რაც ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებელზე თითქმის ოთხჯერ მეტია.

ანალიტიკოსთა ვარაუდით, მომავალ წელს განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა 6,9 პროცენტს მიაღწევს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, ეს მაჩვენებელი აშშ-სა და ევროპის ქვეყნებისათვის 3 პროცენტის ფარგლებშია.

2005 წელს ჩინეთის ეკონომიკურმა ზრდამ 9,9 პროცენტი, 2004 წელთან შედარებით 0,4 პროცენტით მეტი შეადგინა. ამასთან, გასულ წელს ჩინეთის შიდა პროდუქტის მოცულობამ 2,25 ტრილიონი დოლარი შეადგინა. ამ ქვეყნის ეკონომიკის უპირატესობას დღეისათვის სამი ფაქტორი განაპირობებს: ეროვნული ვალუტის დაბალი კურსი, იაფი მუშახელი და უზარმაზარი სამომხმარებლო ბაზარი.

თუმცა, ექსპერტების აზრით, 2050 წლისათვის "ჩინურ სასწაულს" ინდოეთი დაჩრდილავს. შობადობის შემცირების ჩინური პოლიტიკის წყალობით, მას მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ინდოეთი გადაუსწრებს. ამასთან, კოსმოსური კვლევების და, საერთოდ, მაღალი ტექნოლოგიების ათვისების მიხედვით, ინდოეთი ჩინეთს უკვე ერთი ნაბიჯით უსწრებს.

## სსბ-ზე ყველაზე დიდი მოთხოვნა კვლავ "საქართველოს ბანკის" აქციებზე იყო

საქართველოს საფონდო ბირჟაზე (სსბ) სამშაბათს გამართულ 36 (621)-ე ვაჭრობაზე გარიგებები 6 კომპანიის აქციებზე დაიდო. გარიგებების რაოდენობა 88 იყო, მათმა მოცულობამ 111 571 ფასიანი ქაღალდი შეადგინა, ჯამურმა ღირებულებამ კი 566 877 ლარი.

სსბ-ზე ხუთშაბათს 498 ათასი ლარის ღირებულების "საქართველოს ბანკის" (GEB) აქციები გაიყიდა; 29,2 ათასი ლარის - "გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" (UTC). გარიგებები ასევე დაიდო უნივერმაღ "თბილისის"(UTB), ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის (BSK), "დ.სარაჯიშვილის და ენისელის" (ENIS), "თბილაბრეშუმი-ცისარტყელას" (TABR) აქციებზე. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ვის სჭირდება მყარი დოლარი?

ამერიკული ვალუტის გადაცვლითი კურსი, ევროსთან მიმართებაში, შეიცვალა. დოლარი რამდენიმე პუნქტით გამყარდა. ექსპერტები ამ ფაქტს ამერიკის საფინანსო ბაზრებზე უცხოური ინვესტორების შესვლას უკავშირებენ. შედეგად, შეივსო აშშ-ს სავაჭრო დეფიციტი, რომელმაც მარტი-აპრილის მონაცემებით, 62 მილიონი დოლარი შეადგინა.

როგორც საბირჟო საქმის ანალიტიკოსები აცხადებენ, გამყარებული დოლარი თეთრ სახლს არ სჭირდება, რადგან ბუშის ადმინისტრაცია შესუსტებული დოლარით კარგად ნიღბავს ამერიკის ეკონომიკურ პოლიტიკას. სუსტი დოლარი, საზღვარგარეთის გაზრდილი ეკონომიკური მაჩვენებლების ფონზე, ქვეყნის სავაჭრო დეფიციტს ფარავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლარის კურსი $1/1,8025 ნიშნულამდე გამყარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 17 მაისიდან $1/1,8025 ნიშნულზე დააფიქსირა.

პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, რომ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 16 მაისს მონაწილეობა მიიღო ცხრა კომერციულმა ბანკმა (შვიდმა გამყიდველის და ორმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო რვა საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 7 530 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 7 350 000 აშშ დოლარი შეიძინა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.8065 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 30 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 7 580 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი/1.8025 ლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საფონდო ბირჟაზე 566,877.78 ლარის ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

16 მაისს საფონდო ბირჟაზე გამართულ რიგით 36 (621)-ე სესიაზე წარმოდგენილი 18 კომპანიის აქციებიდან გარიგება დაიდო 6 კომპანიის აქციებზე - "საქართველოს ბანკი", უნივერმაღი "თბილისი", ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, "დ.სარაჯიშვილი და ენისელი", "თბილაბრეშუმი -ცისარტყელა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია."

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის აქციებზე დადებულმა საერთო ღირებულებამ შეადგინა 1,210.00 ლარი, დ. სარაჯიშვილისა და ენისელის აქციებზე - 10,358.73, საქართველოს ბანკი - 498,082.00 ლარი, თბილაბრეშუმი-ცისარტყელა - 10,567.55 ლარი, უნივერმაღი "თბილისი" - 17,415.00 ლარი და საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანის გაყიდული აქციების ღირებულებამ - 29,244.50 ლარი.

გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 88, ჯამური მოცულობა - 111,571 ფასიანი ქაღალდი, ხოლო ჯამური ღირებულება - 566,877.78 ლარი.

განაცხადები ყიდვა-გაყიდვაზე იყო, აგრეთვე, შემდეგი ემიტენტების ფასიან ქაღალდებზე: ბაგრატიონი-1882, გაერთიანებული ქართული ბანკი, ბიზნესცენტრი "სოფმშენი", თელასი, მაცნე, სავაჭრო სახლი "ბავშვთა სამყარო", სს რეა-ქართუ, საქართველოს სახალხო ბანკი, საქქალაქმშენპროექტი, საქტრანსპროექტი, სასტუმრო "აჭარა", ყაზბეგი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 17/05 | 18/05 | 19/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 19 | 16 | 21 |
| რიგა | 15 | 17 | 15 |
| ვილნიუსი | 12 | 8 | 12 |
| მოსკოვი | 8 | 13 | 15 |
| მინსკი | 13 | 18 | 13 |
| პარიზი | 18 | 20 | 13 |
| რომი | 26 | 27 | 27 |
| ლონდონი | 21 | 16 | 13 |
| მადრიდი | 33 | 27 | 31 |
| ბონი | 21 | 22 | 11 |
| ვარშავა | 14 | 17 | 19 |
| ათენა | 25 | 28 | 29 |
| ბერნი | 24 | 21 | 18 |
| ამსტერდამი | 17 | 15 | 11 |
| ოსლო | 7 | 7 | 11 |
| ანკარა | 23 | 16 | 23 |
| ვარნა | 23 | 27 | 27 |
| დელი | 49 | 50 | 42 |
| ტოკიო | 24 | 19 | 19 |
| კოპენჰაგენი | 11 | 9 | 10 |
| ბაქო | 25 | 28 | 25 |
| ერევანი | 25 | 27 | 26 |
| ასტანა | 13 | 22 | 21 |
| ჰელსინკი | 8 | 3 | 4 |
| დუბლინი | 19 | 11 | 8 |
| ლისაბონი | 32 | 29 | 24 |
| პრაღა | 21 | 17 | 16 |
| სოფია | 25 | 25 | 27 |
| ბუდაპეშტი | 24 | 20 | 21 |
| ბუხარესტი | 23 | 27 | 26 |

# სიახლეები "ბრიტანეთის ავიახაზებისგან"

*იმ მგზავრებს, რომლებსაც აეროპორტის რიგში დგომა და რეგისტრაციის გავლა დიდ დისკომფორტს უქმნის, "ბრიტანეთის ავიახაზები" ონლაინ რეგისტრაციას სთავაზობს.*



ეს ონლაინ რეგისტრაციის პირველი პრეცედენტია ქართულ ავიაბაზარზე და, როგორც კომპეტენტური ადამიანები ირწმუნებიან, ამ ტიპის სერვისი მსოფლიოში ბევრ ცნობილ კომპანიასაც კი არ გააჩნია. ბრიტანული ავიაკომპანიის მგზავრებს ელექტრონული რეგისტრაცია მიმდინარე წლის 9 მაისიდან შეუძლიათ, რაც მათ მგზავრობას მნიშვნელოვნად გაამარტივებს.

"ბრიტანეთის ავიახაზების" ვებ-გვერდის www.ba.com-ის მეშვეობით მგზავრს შეუძლია, გაფრენამდე, სახლსა თუ ოფისში გაიაროს რეგისტრაცია და ამით თავიდან აიცილოს აეროპორტში რიგში დგომა და ზედმეტი დროის დაკარგვა. ელექტრონული რეგისტრაცია ბორტზე სასურველი ადგილის შერჩევას ან უკვე დაჯავშნილის შეცვლის საშუალებასაც იძლევა.

კიდევ ერთი სიახლე "ბრიტანეთის ავიხაზებისგან", რომლის შესახებაც ცნობილი მხოლოდ გუშინ გახდა: ავიკომპანია 4 ივლისიდან რეისების სიხშირეს ორჯერ ზრდის. ავიკომპანია თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისს 4 ივლისის შემდეგ კვირაში ოთხჯერ შეასრულებს.

"ფრენების სიხშირის გაზრდა მომხმარებლების მოთხოვნამ გამოიწვია. მოგეხსენებათ, ზაფხული საკამოდ დატვირთული სეზონია ავიაკომპანიისთვის. ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ ჩვენი პროდუქტის გაუმჯობესებაზე და ონლაინ რეგისტრაცია ამის ნათელი მაგალითია," - განაცხადა ნინო ანდრიაძემ, ბრიტანეთის ავიახაზების რეალიზაციის მენეჯერმა.

თბილისიდან ლონდონის მიმართულებით ამჟერად დაფრინავს 320 და 321 ეარბასის ტიპის თვითმფრინავები, რომლებიც მგზავრებს თბილისიდან ბრიტანეთის დედაქალაქის გავლით 157 მიმართულებას აკავშირებს 77 ქვეყანაში. ბიზნეს-კლასის მგზავრები არაჩვეულებრივი მომსახურებით ისარგებლებენ. აღსანიშნავია Club World-ის მსოფლიოში პირველი, სრულიად გასაშლელი სავარძელი, რომელიც მგზავრს სრულყოფილად დასვენების საშუალებას აძლევს. **24 საათი**

# "ტოიოტა" იაფფასიან ავტომობილს ქმნის

პირველი გვერდიდან




ფაქტობრივად, კომპაქტური, იაფფასიანი ავტომობილები ერთადერთი სეგმენტია, რომელშიც "ტოიოტა" ჯერჯერობით წარმოდგენილი არაა. კომპანია თავისი ახალი წამოწყების განსახორციელებლად მის მფლობელობაში მყოფ იაპონურ კომპანია "დაიჰაცუს" გამოცდილების გამოყენებას აპირებს - ეს კომპანია მხოლოდ კომპაქტურ ავტომობილებს აწარმოებს. "ტოიოტაში" იმედოვნებენ, რომ ახალი ავტომობილი კომპანიის სამოდელო რიგში ყველაზე იაფ მოდელზე მინიმუმ 875 დოლარით იაფი ეღირება.

სავარაუდოდ, რომ "ტოიოტა" თავის ახალ იაფფასიან ავტომობილს თავისი ბრენდით არ გამოუშვებს. ალბათ ამისათვის ზედგამოჭრილი იქნება "დაიჰაცუს" მარკა. თუმცა, გამორიცხული არც ისაა, რომ სხვადასხვა ბაზრებზე სხვადასხვა ბრენდები, მათ შორის, "ტოიოტაც" გამოიყენონ.

იაფი ავტომობილი, რომლის სახელი ჯერ მოფიქრებული არა, აღიჭურვება ერთლიტრიანი ძრავით. ავტომობილს იაპონელი კონსტრუქტორები კი შექმნიან, მაგრამ მისი წარმოება მოხდება იმ ქვეყნებში, რომლებისთვისაც ის იქნება განკუთვნილი. ეს ქვეყნებია, პირველ რიგში ინდოეთი, ჩინეთი, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

იაპონურ ავტოგიგანტს ამ ნაბიჯისკენ უბიძგებს ფრანგულ კონკურენტ "რენოს" გამოცდილება, რომელმაც ერთი წლის წინ, ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში დაიწყო იაფფასიან მოდელ "ლოგანის" წარმოება. ცნობისათვის, "ლოგანის" გაყიდვები მოსალოდნელზე მაღალი ტემპით მიმდინარეობს. რაც ყველაზე საინტერესოა, ფრანგები გაოცებული დატოვა იმ ფაქტმა, რომ ამ იაფ ავტომობილს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი რაოდენობით მუშტარი გამოუჩნდა. არადა, თავიდან განსაზღვრული იყო, რომ "ლოგანი" მეტწილად აღმოსავლეთ ევროპაში უნდა გაყიდულიყო.

"იაფფასიანი ავტომობილი ის ერთადერთი სექტორია, რომელსაც ამჟამად ჩვენი სამოდელო გამა მოისაკლისებს. ამ თემაზე კომპანიის ხელმძღვანელობა ინტენსიურად მსჯელობს და ამ მსჯელობის დროს პრაქტიკულად შევთანხმდით იმაზე, რომ ახალი ავტომობილი ევროპაში "ტოიოტას" მარკით არ გაიყიდება. ამასთან, დაბალფასთან ერთად, ჩვენი მთავარი მიზანი ისიც იქნება, რომ ეს ავტომობილი შეესაბამებოდეს ხარისხის ჩვეულ, მაღალ სტანდარტს", - ამბობს "ტოიოტას" ევროპული შტოს (ტოიოტა მოტორ იუროპ) შეფი შინიჩი სასაკი.

"ტოიოტას" ბაზარზე ახალი მარკების წამოწევის დიდი გამოცდილება აქვს. ბოლო ორ დეკადაში კომპანიამ შექმნა ორი სრულიად ახალი ბრენდი - "ლექსუსი" და "სციონი", რომლებმაც ბაზარზე გამოსვლისთანავე, მყიდველთა შორის დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამასთან, პირველი ლუქსის კლასის ავტომობილებს უშვებს, მეორე კი - ეგრეთწოდებულ ახალგაზრდულ მოდელებს.

დღეისათვის მსოფლიოს ბაზარზე "ტოიოტას" ყველაზე იაფფასიანი მოდელია კომპაქტური "აიგო", რომელიც იაპონელებმა ფრანგულ კონცერნ "პეჟო/სიტროენთან" ერთობლივად შექმნეს. მისი საბაზო ღირებულება 8950 ევროა და "ტოიოტას" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით კმაყოფილია მისი გაყიდვების მოცულობით. თუმცა, ამ ფასით, ის კონკურენციას ვერ გაუწევს "რენო/დაჩია ლოგანს".

"რენო/ნისანმა" წარმოების დაწყებიდან, ერთი წლის განმავლობაში უკვე გაყიდა 170 000 ცალი "ლოგანი" (ამ ავტომობილის რუმინულ ვარიანტს იქაური კომპანია "დაჩია" უშვებს, რომელიც ფრანგულ კომპანიას ეკუთვნის). ამასთან, მისი ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ 2010 წლისთვის გაყიდვების რაოდენობა მილიონს მიაღწევს (ძარის სხვადასხვა ვარიანტებით).

"ტოიოტას" ერთ-ერთი მთავარი სამოქმედო პრინციპია ავტომობილების იმ ქვეყანაში წარმოება, სადაც ბევრი ავტომობილი იყიდება. ამით, კომპანია ამცირებს მზა პროდუქციის ტრანსპორტირების და დიდი სასაწყობო მეურნეობის მოწყობის ხარჯებს. ამ პრინციპის გამო, კომპანიას ევროპაში უკვე რვა ამწყობი ქარხანა აქვს და კიდევ რამდენიმეს აშენებაა დაგეგმილი. ერთ-ერთი მათგანი რუსეთში, სანკტ პეტერბურგის სიახლოვეს აშენდება და წლიურად 50 000 ავტომობილს გამოუშვებს.

პარალელურად, იზრდება იმ ევროპული ქარხნების სიმძლავრეები, სადაც "ტოიოტა" უკვე აწარმოებს ავტომობილებს. მაგალითად, ფრანგულ ქარხანაში, რომელიც მოდელ "იარისს" უშვებს, მალე წარმოების მოცულობა 220-დან 270 ათასამდე გაიზრდება. ბრიტანულ ქარხანაში კი, სადაც "კოროლა" და "ავენსისი" მზადდება, წარმოების მოცულობა 250-დან 285 ათასამდე გაიზრდება. ცნობისათვის, ამ ქარხნებში წარმოებული ავტომობილების უმეტესობა აღმოსავლეთ ევროპაში იყიდება.

შარშან "ტოიოტამ" ევროპის ბაზარზე 638 ათასი ცალი ავტომობილის გაყიდვა შეძლო. წელს კი 806 ათასის გაყიდვა აქვს დაგეგმილი. აქედან, დაახლოებით 45 ათასი ავტომობილი "ლექსუსის" მარკისა იქნება. ამასთან, ძველ კონტინენტზე გაყიდული ავტომობილების დაახლოებით სამი მეოთხედი ევროპულ ქვეყნებშია აწყობილი.

"ტოიოტა" ევროპაში თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ აქაური ავტომობილებისთვის ძრავების დიდ ნაწილს იაპონიაში ამზადებს. ბუნებრივია, შორეული აღმოსავლეთიდან ძრავების ტრანსპორტირება აძვირებს საბოლოო პროდუქტს. ამიტომ, კომპანია თავისი პოლონური, ძრავების მწარმოებელი ქარხნის სიმძლავრის გაზრდას გეგმავს. ამასთან, არც იმას გამორიცხავს, რომ შეიძლება, ძრავების მწარმოებელი ახალი ქარხანაც ააშენოს. ცნობისათვის, პოლონურ ქარხანაში წლიურად 180 ათასი დიზელის ძრავი იწყობა. წარმოების გაფართოების შემთხვევაში, ამ ქარხნის სიმძლავრე 240 ათასს მიაღწევს. ახალი ქარხნის აშენების შემთხვევაში, მისი სიმძლავრე თავიდან 100 ათასი ძრავი (ბენზინის) იქნება.

დაბოლოს, "ტოიოტა" ვარაუდობს, რომ 2010 წელს 10 მილიონ 300 ათასი ცალი ავტომობილის გაყიდვას შეძლებს და მსოფლიოს უმსხვილესი ავტოკომპანია გახდება. თუმცა, სპეციალისტების უმეტესობა ვარაუდობს, რომ მსოფლიოს ლიდერის პოზიციას იაპონური კომპანია ამერიკულ გიგანტ "ჯენერალ მოტორსს" მერმისვე ჩამოართმევს.

სხვათა შორის, იაპონური კომპანიის მარკეტოლოგების გათვლებით, გაყიდვების ზრდის დაახლოებით 90 პროცენტი უცხოური ბაზრების ხარჯზე უნდა მოხდეს. საკუთრივ იაპონიის ბაზარზე ზრდა კი დაახლოებით 7 პროცენტი იქნება.

2010 წელს გასაყიდი 10 მილიონი ავტომობლიდან, 2,1 მილიონ ავტომობილს აზიური ბაზარი აითვისებს, 3,3 მილიონს აშშ, 1,5 მილიონს კი - ევროპა. გარდა ამისა, ნავარაუდებია გაყიდვების მნიშვნელოვანი ზრდა ავსტრალიასა და ახლო აღმოსავლეთში.

შარშან "ტოიოტამ" თავისი და "ლექსუსის" მარკებით მთელს მსოფლიოში დაახლოებით 7 მილიონ 270 ათასი ავტომობილი გაყიდა. თავისი ორი შვილობილი კომპანიის, "დაიჰაცუსა" და "ჰინოს" ჩათვლით კი გაყიდვების მოცულობამ 8.1 მილიონი ავტომობილი შეადგინა.

## "ჟინვალჰესიდან" თბილისის მიმართულებით მაღალი ძაბვის ორჯაჭვიანი ხაზი მოეწყობა

თბილისის მთავრობა "ჟინვალჰესიდან" არაგვის ხეობის, ღრმაღელისა და სამგორის საფილტრე ნაგებობების მიმართულებით, 110-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ორჯაჭვიანი ხაზის მოწყობას გეგმავს.

როგორც ჟურნალისტებს თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა განუცხადა, აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროა ინვესტორის მოძიება, რაც შპს "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელობას დაევალა.

მისი თქმით, ხაზის მშენებლობა-პროექტირების დროს გათვალისწინებული იქნება შპს "თბილისის მეტროპოლიტენის", შპს "თბილქალაქგანათებისა" და შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების" ენერგომომარაგება, რაც არსებულ ხარჯებს გააიაფებს.

პრემიერის განცხადებით, ორჯაჭვიანი ხაზი ხელს შეუწყობს ქალაქის წყალმომარაგების სტაბილიზაციას, ასევე, მის შეუფერხებელ მუშაობას და დანახარჯების ოპტიმიზაციას. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## კომუნალური მრიცხველების საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს

საკონსტიტუციო სასამართლომ სამშაბათს წარმოებაში მიიღო ლეიბორისტული პარტიის სარჩელი რეგიონებში დენის კომუნალური მრიცხველების დაყენებასთან დაკავშირებით.

როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ლეიბორისტული პარტიიდან აცნობეს, სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში პარტიამ 2006 წლის მარტში შეიტანა.

ლეიბორისტები რეგიონებში დენის საერთო მრიცხველების დაყენებას აპროტესტებენ და მიაჩნიათ, რომ ამან შეიძლება მეზობლებს შორის დაპირისპირება გამოიწვიოს.

საკონსტიტუციო სასამართლოში გამართულ განმწესრიგებელ სხდომას პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილიც ესწრებოდა, რომელიც მოსამართლის გადაწყვეტილებით კმაყოფილი დარჩა.

სარჩელის განხილვის თარიღს საკონსტიტუციო სასამართლო მოგვიანებით დანიშნავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ფინანსური პოლიცია "ბაღდათის ღვინის ქარხანას" ამოწმებს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ სს "ბაღდათის ღვინის ქარხნის" შემოწმება დაიწყო.

როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ფინანსურ პოლიციაში აცნობეს, გამოძიება ქარხანაში ალკოჰოლური სასმელების ფალსიფიკაციის მოტივით დაიწყო.

პოლიციის ინფორმაციით, ქარხნიდან ამოღებულია ღვინოები, რომლებსაც თვისებრიობის განსაზღვრის მიზნით ექსპერტიზა ჩაუტარდება.

მოწმდება სააქციო საზოგადოების საბუღალტრო დოკუმენტაციაც. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ფინანსურმა პოლიციამ ფალსიფიკაციის ფაქტი გამოავლინა

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველომ ფალსიფიცირებული მინერალური წყალი "მიტარბის" წარმოების ფაქტი გამოავლინა.

როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ფინანსურ პოლიციაში აცნობეს, ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენების მუხლით აღიძრა.

მათივე ინფორმაციით, საქმე ეხება მოქალაქე ელვარდ წიქარიშვილს, რომელიც მინერალურ წყალ მიტარბს" ყოველგვარი ნებართვის გარეშე ასხამდა და ყიდდა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, მინერალურ წყალს ექსპერტიზა ჩაუტარდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

უფეხოდ ევერესტზე



C2

კაიზერი ფრანცი
წარმოგიდგენთ



C3

პარიზში
50 წლის შემდეგ



C4



სულ მალე დაიწყება წლის
მთავარი სპორტული
მოვლენა - მსოფლიო
ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის
დარეკეთ:

საზოგადოებასთან
ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15




# წარმატების სამი რეცეპტი კახა ცხადაძისგან

## გუნდური თამაში, სტილი და მოქმედების თავისუფლება



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კახა ცხადაძე სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

მიხეილ აბაიშვილი

სეზონის დაწყებამდე ბოლნისის "სიონის" ხელმძღვანელობა თავის გუნდს მხოლოდ ერთ ამოცანას უსახავდა - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას. "სიონმა" კი ადგილობრივი მასშტაბის საფეხბურთო სენსაცია "გამოაცხო" და არათუ ადგილი შეინარჩუნა, არამედ... საქართველოს ჩემპიონი გახდა! ამ წარმატების მთავარი სულისჩამდგმელი გახლავთ საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ქართველთაგან ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და პერსპექტიული მწვრთნელი კახა ცხადაძე, რომელიც "24 საათის" სტუმარია.

**- ნონსენსია, მაგრამ ფაქტია: კომპლექტაციის მიხედვით ბოლნისის "სიონი", შესაძლოა, საქართველოს კლუბების სამეულშიც ვერ მოხვდეს. ბიუჯეტიც არ გქონდათ ისეთი, სხვა წამყვანი კლუბებისთვის რომ კონკურენცია გაგეწიათ. მაშ, რის ხარჯზე გახდით ჩემპიონები?**

- ჩემპიონატის სტარტზე ვერავინ იფიქრებდა, რომ "სიონი" თუნდაც საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებდა, არათუ ჩემპიონობისთვის. თავად ბოლნისელთა ხელმძღვანელობასაც უფრო სხვა, მოკრძალებული მიზანი ჰქონდა. მაშინ მე თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ვიყავი და, მართალი გითხრათ, "სიონს" კონკურენტად ნამდვილად არ მივიჩნევდი. "ზესტაფონი" და "ვიტ ჯორჯია" - როგორც შემადგენლობის, ისე ინფრასტრუქტურისა და მენეჯმენტის მიხედვით იყვნენ ის გუნდები, ვინც მთავარ კონკურენტებად მოიაზრებოდნენ. ამ ორ გუნდს შორისაც მთავარ მეტოქედ უფრო "ზესტაფონი" ითვლებოდა, რაც იმანაც განაპირობა, რომ "ვიტ ჯორჯიამ" პირველ წრეში წარუმატებელი სტარტი აიღო. თუმცა, მოგვიანებით გამოასწორა მდგომარეობა. "სიონმა" კი, ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონატში ბრწყინვალე სტარტი აიღო და მოსალოდნელზე ბევრად მეტი ქულა დააგროვა. პირველი წრე ამ გუნდმა სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე დაასრულა. შემდეგ გუნდი პრაქტიკულად დაიშალა. "სიონი" დატოვა რამდენიმე ისეთმა ფეხბურთელმა, რომელთა ზურგზეც გადაიარა პირველი წრის სიმძიმემ. დვალი, ჩიკვილაძე, დოლიძე -ფეხბურთელები, რომლებიც "სიონის" სახეს წარმოადგენდნენ, სხვა გუნდებში გადავიდნენ. სწორედ ამ პერიოდში, პრაქტიკულად სეზონის განახლების წინ მიმიწვიეს - "სიონში" ჩემი მისვლა ბორჯომთან საქართველოს თასის მეოთხედფინალური მატჩის დღეს დაემთხვა. აბსოლუტურად ახალი გუნდის შექმნა იყო საჭირო და ჩემს სამწვრთნელო შტაბთან ერთად დავიწყე მუშაობა. დიდ მადლობას ვუხდი ჩემს თანაშემწეს გიორგი ყიფშიძეს, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გამიწია. როდესაც გუნდში მივედი, მან თითოეული ფეხბურთელი ზუსტად დამიხასიათა - მათი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მათი შესაძლებლობებით. თუ არ ჩავთვლით კოკა მიკუჩაძეს და ლევან ხმალაძეს, ისეთ ფეხბურთელებზე მოგვიხდა აქცენტის გაკეთება და თამაშის აწყობა, რომლებსაც ადრე შედარებით იშვიათად უწევდათ მოედანზე გამოსვლა. ავირჩიეთ ახალი კურსი, ტაქტიკა და სტრატეგია, რომელიც, ჩემი აზრით, ამ ფეხბურთელების პოტენციალის ოპტიმალურად გამოვლენის საშუალებას მოგვცემდა. ფეხბურთელებმაც ფეხი ამიწყვეს, ჩემს მითითებებს ზუსტად ასრულებდნენ. შედეგმა ჩემს მოლოდინსაც კი გადააჭარბა. შეიქმნა გუნდი, რომელიც არა ინდივიდუალური ოსტატობით, არამედ, პირველ რიგში და ძირითადად, კოლექტიური, გუნდური თამაშით გამოირჩა. თამაშის სტილი, რომლისთვისაც ერთხელაც არ გვიღალატია, იმის მიუხედავად, საშინაო მატჩს ვატარებდით თუ გასვლითს. კარგად ორგანიზებული დაცვის ხაზი, რისი დამსახურებაცაა, რომ მეორე წრეში ყველაზე ნაკლები გოლი გავუშვით და შეტევაზე ორიენტირებული თამაში. გუნდური პრინციპი და თამაშის ჩვენი სტილი - ეს არის ორი მთავარი კომპონენტი, რის ხარჯზეც ჩემპიონები გავხდით.

**- როგორც ვიცი, მუშაობის პროცესში სრული კარტბლანში გქონდა და შენს საქმეში არავინ ერეოდა. ეს ფაქტორიც ალბათ ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო...**

- გეთანხმები. ეს ფაქტორი უმთავრესი იყო. აბსოლუტურად არავინ ჩარეულა. კლუბის ხელმძღვანელები გია არევაძე და დავით სილაგაძე თითქმის ბრმად მენდნენ. მათ არაჩვეულებრივად გაართვეს თავი საკუთარ ვალდებულებას - გუნდის მენეჯმენტი უმაღლეს დონეზე წარმართეს, ისე რომ სეზონის მანძილზე მცირე პრობლემაც კი არ შეგვქმნია არც ფინანსური, არც სხვა თვალსაზრისით. მე მოქმედების სრული თავისუფლება მომეცა.

გაგრძელება C2 გვერდზე

## კოკაიმ მეხუთე მოიგო

მაისის ბაშოზე კოკაიმ მეხუთე ბრძოლა მოიგო. ახლა ქართველ სუმოისტს ხუთ მარცხთან ერთად უკვე ხუთი მოგებაც აქვს. გუშინ ლევან ცაგურიამ მე-13 მაიგეშირა ტუნოშიმა ოშიდაშის ილეთით დაამარცხა. დღეს კოკაი მე-11 მაიგეშირა ჰომაშოს უნდა დაუპირისპირდეს, რომელსაც 10 ბრძოლიდან 6 აქვს მოგებული.

## დანიელი NHL-ში

დანიის ჰოკეისტთა ნაკრების ცენტრალური ფორვარდი ფრანს ილსენი მომავლი სეზონიდან ოკეანისმიღმა ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში იასპარეზებს. 22 წლის თავდამსხმელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბ "აილენდერსთან". აღსანიშნავია, რომ ნილსენი 2002 წელს "აილენდერსმა" დრაფტის მესამე რაუნდში აიყვანა, მაგრამ აქამდე დანიელს NHL-ში არ უთამაშია.

## ჩეხური სკანდალი

პარასკევს ჩეხეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში პრაღის "სპარტამ", რომელიც იმ მომენტისთვის სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილს იკავებდა, ანგარიშით 1:3 დათმო მატჩი გასავარდნ ზონაში მყოფ "პლზენთან". აღსანიშნავია, რომ "პლზენი" ამ შეხვედრაში ქულების დაკარგვის შემთხვევაში ელიტურ დივიზიონს დაემშვიდობებოდა.

ამავდროულად გაჩემპიონებულმა "ლიბერეცმა" ბოლო ტურში წააგო "მლადასთან". ამ შეხვედრაში ორი მეტად საეჭვო პენალტიც დაინიშნა. ჩეხური ფეხბურთს მესვეურებს მიაჩნიათ, რომ ორივე მატჩი ჩაწყობილი იყო. ამასთან დაკავშირებით გამოძიებაც დაიწყო.

## როსი იტალიურ ფეხბურთს გაუძღვება

გვიდო როსი დაინიშნა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის კომისრად. როსის დაევალა იტალიური საფეხბურთო მეურნეობის მართვა კრიზისის პერიოდში. შეგახსენებთ, რომ ტურინის "იუვენტუსთან" დაკავშირებულმა სკანდალმა აპენინური ფეხბურთი თავდაყირა დააყენა. ერთიმეორის მიყოლებით დატოვეს თანამდებობები იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და მისმა თანაშემწეებმა. ამავე დროს პროკურატურაში გრძელდება ამ საქმესთან დაკავშირებული პირების დაკითხვა. გუშინ იტალიელმა სამართალდამცავებმა კარლო ანჩელოტი და რობერტო მანჩინი დაკითხეს.

## "ინტერის" რუმინული ინტერესი

მილანის "ინტერი" ბუქარესტის "სტიაუას" კაპტინის მირელა რედოიას შეძენას აპირებს. იტალიური გრანდი მზადაა რუმინელ ფეხბურთელში 7 მილიონი ევრო გადაიხადოს. სულ რამდენიმე დღის წინ რედოიას შეძენა "ლივერპულსაც" სურდა. მერსისაიდელები 5 მილიონ ევროსაც იხდიდნენ, მაგრამ "სტიაუამ" კაპიტნის გაყიდვაზე უარი განაცხადა.

## ჩემპიონთა ლიგის ფორმატი არ შეიცვლება

ფრანგული ფეხბურთის ლეგენდამ მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ უეფას პრეზიდენტის პოსტზე არჩევის შემთხვევაში რადიკალურად არ შეცვლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ფორმატს.

"ჩემპიონთა ლიგას არ შევცვლი, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპის შეცვლა საჭიროდ მიმაჩნია. პრობლემა ისაა, რომ ახლა ჩემპიონთა ლიგაში პატარა ქვეყნები თითქმის არ არიან წარმოდგენილნი," - აცხადებს პლატინი.

## პეკერმანის სიურპრიზი

არგენტინის ნაკრების მწვრნელმა ხოსე პეკერმანმა დაასახელა იმ 23 ფეხბურთელის გვარი, რომლებიც არგენტინის ღირსებას დაიცავენ მომავალ მუნდიალზე. უნდა ითქვას, რომ პეკერმანმა ყველას დიდი სიურპრიზი შესთავაზა. 23-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა არგენტინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ხავიერ ძანეტი. რჩეული არგენტინელი ფეხბურთელების სია კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** რობერტო აბონდანსიერი (ბოკა), ლეო ფრანკო (ატლეტიკო), ოსკარ უსტარი (ინდეპენდიენტე)

**მცველები:** რობერტო აიალა (ვალენსია), გაბრიელ ჰაინცე (მანჩესტერი), ხუან პაბლო სორინი (ვილიარეალი), ფაბრიციო კოლოჩინი (დეპორტივო), გაბრიელ მილიტო (სარაგოსა), ნიკოლას ბურდისო (ინტერი), ლეანდრო კუფრე (რომა), ლიონელ სკალონი (ვესტ ჰემი)

**ნახევარმცველები:** ხავიერ მასკერანო (კორინთიანსი), ესტებან კამბიასო (ინტერი), ლუის გონსალესი (პორტო), ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი), მაქსი როდრიგესი (ატლეტიკო), პაბლო აიმარი (ვალენსია)

**თავდამსხმელები:** ერნან კრესპო (ჩელსი), კარლოს ტევესი (კორინთიანსი), ლიონელ მესი (ბარსელონა), ხავიერ სავიოლა (სევილია), ხულიო კრუზი (ინტერი), როდრიგო პალასიო (ბოკა).

## უკმაყოფილო კურანი

"შალკეს" ფორვარდმა კევინ კურანიმ არ დამალა, რომ უკმაყოფილოა იურგენ კლინსმანის არჩევანით. შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრების თავკაცმა კურანი ნაკრებში არ შეიყვანა.

"არც კი მჯერა, რომ კლინსმანმა ნაკრებს მიღმა დამტოვა. სულ ვეკითხები საკუთარ თავს: რატომ? როდესაც ნაკრების შემადგენლობა გამოცხადდა, მინდოდა დამეძინა და აღარ გამეღვიძა. ნუთუ ნაკრებში თამაშს არ ვიმსახურებდი?" - თქვა კურანიმ გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

## ანელკას არ გაჰკვირვებია

თურქული "ფენერბახჩეს" ფრანგმა ფორვარდმა ნიკოლა ანელკამ განაცხადა, რომ საერთოდ არ გაჰკვირვებია, როდესაც გაიგო, რომ დომენიკმა იგი ნაკრებს მიღმა დატოვა. "რა უნდა ვთქვა. არ გამომიძახეს და ეგაა. მერე რა! ახლა კლუბის მდგომარეობა უფრო მაღელვებს, ვიდრე ნაკრების. რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ სულაც არ გამიკვირდა, როდესაც 23-კაციან სიაში ჩემი გვარი ვერ ამოვიკითხე. რადგან დომენიკმა არ გამომიძახა, დასასვენებლად წავალ. ვუყურებ თუ არა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს? ეჭვი მეპარება. თუმცა, თუ ტელევიზიით სხვა საინტერესო არაფერი აჩვენეს, შესაძლოა რამდენიმე მატჩი ვნახო კიდეც", - აცხადებს ანელკა.

## ვან ნისტელროის კომპენსაცია არ ერგება

ცნობილია, რომ რუუდ ვან ნისტელროი მომავალ სეზონში "მანჩესტერში" არ ითამაშებს. მანკუნიანური კლუბის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ჰოლანდიელს საკომპენსაციო თანხა არ ეკუთვნის, რადგან კლუბი ფეხბურთელთან კონტრაქტს კი არ წყვეტს, არამედ, უბრალოდ, ფორვარდს ტრანსფერზე აყენებს. მეტიც: ბრიტანული გრანდის ხელმძღვანელობის განცხადებით, ვან ნისტელროი 10 მილიონ გირვანქა სტერლინგზე ნაკლებად არ გაიყიდება. ორი დღის წინ რუუდის შეძენა პსვ-ს სურდა, მაგრამ ჰოლანდიური კლუბი 5 მილიონზე მეტს ვერ იხდის.

# უფეხოდ ევერესტზე

### ჰიმალაებში ამბებია...

გიგა გურასაშვილი

*ყველაფერი 1982 წელს მოხდა, როდესაც ახალზელანდიელმა მთამსვლელმა მარკ ინგლისმა ახალი ზელანდიის უმაღლესი მწვერვალის მაუნთ კუკის (3754 მ.) დაპყრობა განიზრახა. ინგლისის წამოწყება მისთვის ლამის საბედისწერო გამოდგა. მწვერვალისკენ მიმავალი მეწყვილესთან ერთად ნაპრალში ჩაიჩეხა, სადაც მაშველთა მოლოდინში ორი კვირა გაატარა! საოცრებაა, საერთოდ ცოცხალი რომ გადარჩა. თუმცა, ორივე ფეხი დაკარგა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ახალზელანდიელმა მთამსვლელმა, უპრიანი იქნებოდა გვეთქვა, თავზეხელაღებულმა, ევერესტისკენ (8848 მ.) გაიხედა და დაიპყრო კიდეც.*



*უფეხო მარკ ინგლისს მწვერვალებისკენ მიუწევს გული.*

მას შემდეგ, რაც მაუნთ კუკის ნაპრალში კიდურები დაკარგა, ინგლისელმა ახალი ცხოვრება დაიწყო. ჯერ სათხილამურო სპორტში გახდა ინსტრუქტორი, შემდეგ კი ველოსპორტში სიდნეის პარაოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. მაგრამ ისტორია ამით არ დასრულებულა. გულში ევერესტის დაპყრობა ამოიჭრა (ევერესტის, ტიბეტურად ჯომოლუნგმას, ნეპალურად საგარმატხას პირველდამპყრობლები არიან ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარი და ნეპალელი შერპი თენზინგ ნორგეი, რომლებმაც 1953 წლის 29 მაისს დალაშქრეს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი.-რედ.).

"ასეთ მდგომარეობაში ევერესტზე ასვლა იმიტომ კი არ მინდა, რომ გავხდე პირველი ინვალიდი, რომელიც დაიპყრობს ჯომოლუნგმას, არამედ ეს იქნება ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა ალპინიზმში", - ექსპედიციაში წასვლამდე "ფრანს პრესთან" საუბარში ამბობდა მარკ ინგლისი.

სხვათა შორის, ახალზელანდიელი მარკი 2004 წელს ჰიმალაების რიგით მეექვსე მწვერვალ ჩო ოიუზეც იმყოფებოდა (ევერესტიდან 20 კილომეტრით დასავლეთით მდებარეობს. ჩო ოიუ ქართულად "არყის ხის ქალღმერთს" ნიშნავს. პირველდამპყრობლები კი ავსტრიული ექსპედიციის წევრები არიან, რომლებმაც 1954 წლის 19 ოქტომბერს ჩრდილო-დასავლეთის ქედის გავლით დალაშქრეს მწვერვალი.-რედ.). ოღონდ 8201 მეტრზე ამოზიდული მწვერვალის წვერამდე 650 მეტრი გადაულახავი დარჩა.

ჩო ოიუს თემას ამით არ ამოვწურავთ და იმასაც გაცნობებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ქართველმა მთამსვლელმა ბიძინა გუჯაბიძემ, რომელსაც ევერესტი ჩრდილოეთიდანაც დაუპყრია და სამხრეთიდანაც, 10 მაისს ნეპალის დროით 14:00 საათზე ჩო ოიუზე შედგა ფეხი. იმ დღეს გუჯაბიძესთან ერთად ჩო ოიუ დაიპყრეს ორმა ავსტრიელმა და ერთმა იტალიელმა მთამსვლელმა, ერთმაც - სასიმაღლო შერპმა. ქართველ მთამსვლელს სიმაღლით მეორე მწვერვალის K2-ის (K2, იგივე ჩოგორი, როგორც მას სხვანაირადაც უწოდებენ, სიმაღლით (8611 მ.) მხოლოდ ევერესტს ჩამოუვარდება. ჩოგორის პირველდამპყრობლები არიან იტალიური ექსპედიციის წევრები, რომლებმაც 1954 წლის 31 ივლისს მიაღწიეს მიზანს.-რედ.) დაპყრობაც განუზრახავს.

...მას შემდეგ, რაც 47 წლის მარკ ინგლისს მაუნთ კუკის ნაპრალში ფეხები მოეყინა, რაც ამპუტაციით დასრულდა, ახლა, როგორც თავად ამბობს, სხვა მთამსვლელებისგან განსხვავებით, გარკვეული უპირატესობაც კი აქვს:

"ყოველ შემთხვევაში, ფეხის თითები აღარ მომეყინება. ალპინიზმი უფრო გონებრივი სახეობაა, ვიდრე ფიზიკური. თუ რამე ძალიან გინდა, ტკივილიც უნდა აიტანო".

ერთი სიტყვით, 45 დღის წინ მარკ ინგლისმა გუნდა-ნაბადი აიკრა და ევერესტისკენ მსვლელობას შეუდგა. ამ დღეებში კი მწვერვალიდან სატელიტური ტელეფონით მეუღლეს დაურეკა და აცნობა: "მეოთხე ბანაკში ვიმყოფები. მე ეს გავაკეთე!"

მარკ ინგლისი გახდა დედამიწის უმაღლესი მწვერვალის პირველდამპყრობი, რომელსაც ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს. სხვათა შორის, როდესაც ევერესტის გზას დაადგა, ზურგჩანთაში ორი სათადარიგო პროთეზი ჰქონდა. თუმცა, არ გამოუყენებია.

ახალზელანდიელი მთამსვლელით აღფრთოვანებულმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჰელენ კლარკმა მარკ ინგლისის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა: "ესაა მაგალითი სრულიად უჩვეულო ბედისა, რომელიც მის მსგავს ადამიანებს უმტკიცებს, რომ მათ ამბიციებს საზღვარი არ უნდა ჰქონდეს".

აქვე გეტყვით, რომ ავსტრიელმა მთამსვლელმა გერლინდა კალტენბრიუნერმა 14 მაისს, ნეპალის დროით 16:30 საათზე, ნეპალის მხრიდან კანჩენჯანღა (8586 მ.) დაიპყრო. საინტერესოა, რომ ავსტრიელი ქალბატონისთვის კანჩენჯანღა რიგით მეცხრე რვაათასიანი მწვერვალია. 35 წლის კალტენბრიუნერი პირველი მთამსვლელი ქალია, რომელმაც დედამიწის ცხრა რვაათასიანი მწვერვალი ჟანგბადის ბალონის გარეშე დაიპყრო.

თუმცა, გასულ კვირას მსხვერპლის გარეშე არ ჩაუვლია. 47 წლის სამხრეთტიროლელი მთამსვლელი ალოიზ ბრუგერი დღემდე დაუპყრობელ მწვერვალ ჯასემბაზე ლაშქრობისას დაიღუპა (დღემდე უცნობია, მწვერვალი ჯასემბა (7350 მ.) დაუპყრია თუ არა რომელიმე მთამსვლელს. არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა, ჯასემბას პირველამსვლელები ტიბეტის მხრიდან ჩინელები იყვნენ, თუმცა, გადაჭრით ამას ვერავინ ამტკიცებს. მწვერვალის სახელი ნეპალურად "ბედს" ნიშნავს, ჩო ოიუს ჯგუფს განეკუთვნება და ნეპალისა და ტიბეტის საზღვართან მდებარეობს. ჯასემბასკენ მიმავალი ბილიკები უცხოელებისთვის სულ რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა - რედ.).

# წარმატების სამი რეცეპტი კახა ცხადაძისგან

პირველი გვერდიდან

თუ ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს შორის ასეთი დამოკიდებულებაა - როცა მწვრთნელს საშუალება ეძლევა სხვების ჩაურევლად მართოს გუნდის სპორტული მხარე და გამოავლინოს თავისი საუკეთესო თვისებები, წარმატება აუცილებლად მოვა. სამწუხაროდ, ამას ადრე მოკლებული ვიყავი. მენდნენ და ბედნიერი ვარ, რომ ეს ნდობა მაქსიმალურად გავამართლე. ყველაფერთან ერთად, დიდი გამოცდილება შევიძინე. ვგრძნობ, რომ სამწვრთნელო საქმეში ზრდისა და დაოსტატების თვალსაზრისითაც წინ მივიწევ. ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა რალფ მინგემ და კლაუს ტოპმიოლერმა უმაღლესი ლიგის მწვრთნელებს სემინარი ჩაგვიტარეს. ძალიან გამიხარდა, რომ ისინი სწორედ იმაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რასაც მთელი მეორე წრის განმავლობაში ვაკეთებდი, რის დანერგვასაც "სიონის" თამაშში ვცდილობდი. ესე იგი, სწორ გზაზე ვდგავარ და ამან საკუთარი თავის რწმენა კიდევ უფრო განმიმტკიცა.

**- ოქროს მედლებისკენ "სიონის" მსვლელობა რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს. უკვე ისაუბრე პირველ წრეზე. მეორე წრეში გუნდმა შენი ხელმძღვანელობით რამდენიმე გადამწყვეტი მატჩი ჩაატარა და წარმატებით დაასრულა. რომელ თამაშს მიიჩნევ კრიტიკულად, რის შემდეგაც დარწმუნდი, რომ ჩემპიონობა თქვენ დაგრჩებოდათ?**

- ამ თვალსაზრისით სამმატჩიან ფაზას გამოვყოფდი. გასვლითი შეხვედრა "ზესტაფონთან" და ორი საშინაო თამაში - თბილისის "დინამოსთან" და "ვიტ ჯორჯიასთან". ეს თამაშები ერთიმეორის მიყოლებით ჩავატარეთ. სწორედ ეს სამი მატჩი იყო მთავარი ტესტი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, შევძლებდით თუ არა მაღალი მიზნისთვის ბრძოლას. პირველივე მატჩში, სტუმრად, "ზესტაფონთან" რომ დავმარცხებულიყავით, ამ წარუმატებლობას, შესაძლოა, წერტილი დაესვა ჩვენი ამბიციებისთვის. აქ მნიშვნელობა ჰქონდა არა იმდენად ქულებს, რამდენადაც ფსიქოლოგიურ მომენტებს. მარცხი "ზესტაფონთან" პირველ რიგში ფსიქოლოგიურად გატეხავდა ჩვენს გუნდს, რომელიც ჩამოყალიბების სტადიაში იყო. ამიტომ ფრემ "ზესტაფონთან" ძალზე დიდი სამსახური გაგვიწია. დავრჩით ლიდერის პოზიციაზე და, როგორც არ უნდა გაგრძელებულიყო ჩემპიონატი, მდევრებთან ისეთი ჰანდიკაპი გვქონდა, რომ ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზანი - უეფას ზონაში მოხვედრა - თითქმის უკვე მიღწეული იყო. საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა იმ გარემოებამაც, რომ როცა "ზესტაფონთან" მატჩში მსაჯმა ერთი ფეხბურთელი გაგვიძევა მოედნიდან, ამის მიუხედავად, 65 წუთი გავძელით და სასურველ შედეგს მივაღწიეთ. თბილისის "დინამოსთან" უკვე ფსიქოლოგიური ტვირთის გარეშე ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. ყველამ იცის, რომ თბილისის "დინამო" შემადგენლობის თვალსაზრისით საუკეთესოა საქართველოში. ასეთ გუნდს, ამბროზიოს მიერ 30 მეტრიდან შესრულებულ საჯარიმოებს თუ არ ჩავთვლით, ჩვენს კართან მომენტიც კი არ შევაქმნევინეთ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მსაჯმა ორი აშკარა პენალტი არ დაგვინიშნა. სხვათა შორის, ეს თავად დინამოელებმა აღიარეს მატჩის შემდეგ. ასეა თუ ისე, გავიმარჯვეთ და ამ მოგების შემდეგ გამოისახა კიდეც ოქროს მედლების კონტურები. დაბოლოს, გადამწყვეტი აღმოჩნდა თამაში "ვიტ ჯორჯიასთან". შეხვედრის წინ დიდი დრო დავუთმეთ თეორიულ მომზადებას. გუნდთან ერთად განვიხილეთ "ვიტ ჯორჯიას" ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, ამ გუნდის ფეხბურთელთა შესაძლებლობები და თავისებურებები. ამის მიხედვით შევადგინეთ ტაქტიკა და ჩემმა ფეხბურთელებმა თავი გაართვეს დასახულ ამოცანას. "ვიტ ჯორჯიას" დამარცხების შემდეგ 6 ქულით დავწინაურდით, რაც პრქტიკულად უკვე ჩემპიონობას ნიშნავდა. დარჩენილ ოთხ ტურში 4 ქულის მოპოვებაც გვყოფნიდა და ეს უკვე პრობლემა აღარ იყო. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ დროს საქართველოს თასის ნახევარფინალში ვიყავით გასული და არჩევანის წინაშე დავდექით - ან ორ ფრონტზე უნდა გაგვეგრძელებინა ბრძოლა და ჩემპიონობა კითხვის ნიშნის ქვეშ დაგვეყენებინა, ან მთელი ყურადღება ჩემპიონატისთვის დაგვეთმო. ორი კურდღლის დევნა არ დავიწყეთ - "ამერთან" პრაქტიკულად სათადარიგო შემადგენლობით ვითამაშეთ, რითაც დისკვალიფიკაციებისგან თავი დავიზღვიეთ. ამ დროს ჩვენი თორმეტი ფეხბურთელი იყო დისკვალიფიკაციის ზღვარზე. შედეგად, თასის ტურნირს გამოვეთიშეთ, მაგრამ მთავარი მიზანი - ჩემპიონობა ხელიდან არ გავუშვით.

**- სწორედ "ამერთან" წაგებულ ნახევარფინალურ მატჩში გამოჩნდა, რომ "სიონს" არცთუ ურიგო რეზერვი ჰყავს. სათადარიგო შემადგენლობით მოთამაშე თქვენმა გუნდმა ტოლი არ დაუდო თასის მომავალ მფლობელს. მართალია, დამარცხდა, მაგრამ მინიმალური ანგარიშით. თან არაერთხელ შეგეძლოთ გოლის გატანა. და მაინც, ეს რეზერვი საკმარისი არ იქნება იმ მიზნებისთვის, რომელსაც, წესით, უნდა ისახავდეთ. "სიონს" ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში - ჩემპიონთა ლიგაში მოუწევს ქართული საკლუბო ფეხბურთის ღირსების დაცვა. საუბარი ნამდვილად არ არის იმაზე, რომ "სიონი" თუნდაც ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლაც კი, გუნდისთვის, რომელსაც არავითარი საერთაშორისო გამოცდილება არა აქვს, უკვე წარმატება იქნება. რა კეთდება გუნდის გაძლიერებისთვის?**

- რა თქმა უნდა, სერიოზული გაძლიერება გვჭირდება და ეს კლუბის ხელმძღვანელობამაც კარგად იცის. არის პოზიციები, სადაც მაღალი კლასის ფეხბურთელების მოყვანა, უბრალოდ, აუცილებელია. პირველ რიგში, დასანერგია შიდა კონკურენცია. თითოეულ პოზიციაზე ორი-სამი ფეხბურთელი უნდა აცხადებდეს პრეტენზიას. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი გაძლიერება და განვითარება. "ამერი" ვახსენეთ და სწორედ ამ "მოკლე" სათადარიგოთა სკამის გამო ვერ შევძელით ორ ფრონტზე ბრძოლის გაგრძელება. კლუბის ხელმძღვანელობამ გამონახა რეზერვი და სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას ვაპირებთ. უახლოეს დღეებში ოთხი კამერუნელი ფეხბურთელი შემოგვემატება, რომლებსაც ვარჯიშებზე დავაკვირდებით, სპარინგთამაშებში გამოვცდით და თუ ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, კონტრაქტებს გავუფორმებთ. რამდენიმე ფეხბურთელიც ადგილობრივ სატრანსფერო ბაზარზე მოვნიშნეთ. თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა და ეს სელექცია წარმატებულად ჩავატარეთ, ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევაზე სერიოზული განაცხადი გვექნება. შემდეგ უკვე ჩვენს მონდომებასა და იღბალზეც იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გავაგრძელებთ ევროტურნირში მონაწილეობას. ჩვენი გენერალური სპონსორი - კომპანია "მადნეული" კმაყოფილია გუნდის შედეგით და პირობა მოგვცა, რომ დაფინანსებას გაგვიზრდის. სწორედ ამის ხარჯზე ვაპირებთ სატრანსფერო აქტივობას და მომზადებას ევროტურნირის სეზონისთვის.

**- როდის დაიწყებს "სიონი" მზადებას და რა ეტაპებს მოიცავს წინასასეზონო სამზადისი?**

- გეგმა უკვე შედგენილი გვაქვს. სანამ ამას გავაკეთებდი, კონსულტაციები გავიარე როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ექიმთან ვალერი ახალკაცთან, ისე ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან რალფ მინგესთან. მოსამზადებელი ციკლი სამ ეტაპს მოიცავს. შეკრებას დავიწყებთ საქართველოში 27 მაისს და პირველ ეტაპზე ანუ ორი კვირის განმავლობაში ყურადღებას გავამახვილებთ გუნდის საერთო ფიზიკურ მომზადებაზე. შემდეგ გადავალთ მეორე ეტაპზე - ტექნიკურ-ტაქტიკურ ვარჯიშებს ჩავატარებთ და ფიზიკური დატვირთვების ფონზე რომელიმე ქართულ კლუბთან ამხანაგურ სპარინგმატჩს გავმართავთ. მესამე ეტაპზე გეგმაში გვაქვს ორკვირიანი შეკრება, რომელსაც უცხოეთში გავმართავთ. იქ, სულ მცირე, 5 ტესტთამაშსაც ჩავატარებთ უცხოურ კლუბებთან. ამ შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩამდე გვრჩება ერთი კვირა, რომელსაც კონკრეტული მეტოქის წინააღმდეგ თამაშისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ. კენჭისყრა გაიმართება 23 მაისს, ხოლო პირველ მატჩს 11 ან 12 ივლისს გავმართავთ.

## ინფოთეკა

### დროგბა "მილანს" ადმერთებს

ლონდონის ჩელსის კოტდივუარელი თავდამსხმელი დიდიე დროგბა ერთ-ერთი ინტერვიუში გამოტყდა, რომ ძალიან უნდა იტალიურ "მილანში" ითამაშოს და, რაც შეიძლება, მალე. სპეციალისტთა ვარაუდით, დროგბას მას შემდეგ გაუჩნდა ეს სურვილი, რაც თითქმის უკვე გადაწყვეტილია "როსონერიდან" "არისტოკრატებში" უკრაინელი ვარსკვლავის ანდრეი შევჩენკოს გადასვლის ამბავი. "სერია ა-ს თამაშის სტილით მოხიბლული ვარ. წლიდან წლამდე იტალიური კლუბები სულ უფრო ხშირად იგებენ ევროპულ საკლუბო ტურნირებს. იტალიელთაგან "მილანს" ვანიჭებ უპირატესობას მისი განუმეორებელი თამაშის გამო. ამ ქვეყნის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი, მაგრამ მილანს მაინც ვალმერთებ. ჩემი აზრით, მილანი მსოფლიოს ულამაზესი ქალაქია, სადაც კეთილი და თბილი ადამიანები ცხოვრობენ", - განაცხადა კოტდივუარელმა თავდამსხმელმა.

### მოურინიოს გეგმები

ინგლისური გამოცემა "სქაისპორტის" ინფორმაციით, ქვეყნის ჩემპიონის ლონდონის "ჩელსის" პორტუგალიელი თავკაცი ჟოზე მოურინიო თანამემამულე "ბენფიკადან" 26 წლის ნახევარმცველის სიმაო საბროსას შეძენითაა დაინტერესებული.

"სიმაოს ყველა ის თვისება აქვს, რაც აუცილებელია "ჩელსიში" მოთამაშე ფეხბურთელისთვის. მის პოზიციაზე ჩვენს გუნდში უმაღლესი დონის ოთხი ფეხბურთელი თამაშობს, თუმცა ზაფხულში ერთ-ერთი მათგანი კლუბს დატოვებს. ამიტომაც საბროსა გვჭირდება. მაგრამ "ბენფიკასთან" ჯერჯერობით მხოლოდ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. საბოლოო შეთანხმებისთვის არ მიგვიღწევია", - განაცხადა ლონდონელთა დამრიგებელმა.

ცნობისთვის: ტრადიციისამებრ, "ჩელსის" ნახევარმცველთა ძირითად ბირთვს დემიენ დაფი, არიენ რობენი, ჯო კოული და შონ რაით-ფილიპსი წარმოადგენენ. ამ ოთხეულიდან ვის დაემშვიდობება "სტემფორდ ბრიჯი", მოურინიოს არ გაუმჟღავნებია.

"ჩელსის" კიდევ ერთი სამიზნე არგენტინის ნაკრებისა და ბრაზილიური "კორინთიანსის" თავდამსხმელი კარლოს ტევესი გახლავთ. ლონდონური კლუბის წარმომადგენლები ლიბერტადორესის თასის მატჩს "კორინთიანსის" მონაწილეობით საგანგებოდ იმიტომ დაესწრნენ, რომ ტევესი თამაშში ენახათ. "მათ ძალიან უნდათ ჩემი გადაბირება. სწორედ ჩემს სანახავად ჩამოვიდნენ სან პაულუში. მაგრამ "კორინთიანსიდან" წასვლის გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდება", - განაცხადა არგენტინელმა თავდამსხმელმა. შეგახსენებთ, რომ გარეგნობის გამო "ურჩხულად" მონათლული კარლოს ტევესი 2004 წლის დეკემბერში 18 მილიონი დოლარის სანაცვლოდ "ბოკა ხუნიორსიდან" "კორინთიანსში" გადავიდა.

### ტოტი სრულ მზადყოფნაშია

"სკუადრა აძურასა" და "რომას" ვარსკვლავი ფრანჩესკო ტოტი თავის გულშემატკივრებს შეხვდა და დაარწმუნა ისინი, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

"ოპტიმალურ ფორმამდე ცოტა მიკლია, მაგრამ გარწმუნებთ, მუნდიალის პირველი მატჩებისთვის სრულად აღვიდგენ სათამაშო ფორმას", - განუცხადა ტიფოზებს "რომას" კაპიტანმა. თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გარდა, იტალიელი თავდამსხმელი სერია ა-ს ჩემპიონის "იუვენტუსის" გარშემო ატეხილ სკანდალსაც შეეხო: "ეს დიდი დარტყმაა მთლიანად იტალიური ფეხბურთისთვის, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა. მათ კი, ვინც ასეთი შეცდომები დაუშვა, აუცილებლად უნდა აგონ პასუხი, თორემ სერია ა-ში კორუფცია უწინდებურად იბატონებს", - თქვა ტოტიმ. შეგახსენებთ, რომ იტალიელი ფორვარდი ბოლო ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა მოედანზე, თუმცა "სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადში მაინც შეიყვანა.

### სკოლარიმ კოშტინია დაიმატა

პორტუგალიის ეროვნული გუნდის თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ იმ მოთამაშეთა გვარები დაასახელა, ვინც მსოფლიო ჩემპიონატზე ქვეყნის ღირსებას დაიცავენ:

**მეკარეები:** რიკარდუ ("სპორტინგი"), სილვა ("ბენფიკა"), ბრუნო ვალე ("ეშტრელა ამადორა");

**მცველები:** პაულუ ფერეირა ("ჩელსი", ინგლისი), მიგელ მონტეირუ ("ვალენსია", ესპანეთი), რიკარდუ კარვალიუ ("ჩელსი", ინგლისი), ფერნანდო მეირა ("შტუტგარტი", გერმანია), მარკო კანეირა ("სპორტინგი"), რიკარდუ კოშტა ("პორტუ"), ნუნუ ვალენტე ("ევერტონი", ინგლისი);

**ნახევარმცველები:** არმანდო პეტი ("ბენფიკა"), კოშტინია ("დინამო", მოსკოვი, რუსეთი), ტიაგუ მენდეში ("ლიონი", საფრანგეთი), მანიშე ("ჩელსი", ინგლისი), უგო ვიანა ("ვალენსია", ესპანეთი), ლუიშ ფიგუ ("ინტერი", იტალია), დეკუ ("ბარსელონა", ესპანეთი), კრიშტიანუ რონალდო ("მანჩესტერ იუნაიტედი", ინგლისი), სიმაუ საბროსა ("ბენფიკა");

**თავდამსხმელები:** ლუიშ ბოა მორტე ("ფულჰემი", ინგლისი), პაულეტა (პსჟ, საფრანგეთი), ნუნუ გომეში ("ბენფიკა"), ელდერ პოშტიგა ("სენტ-ეტიენი", საფრანგეთი).

# კაიზერი ფრანცი წარმოგიდგენთ

თუ გერმანელთა პედანტობის ამბავს გავითვალისწინებთ, მუნდიალის ორგანიზების მაღალ დონეში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. მით უმეტეს, რომ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობს ისეთი ლეგენდარული კაცი, როგორიცაა ფრანც ბეკენბაუერი. კაიზერად შერაცხულმა ბეკენბაუერმა ინგლისურ ჟურნალ "უორლდ სოკერს" მისცა ვრცელი ინტერვიუ, რომელშიც მრავალ საინტერესო საკითხს შეეხო.

**- ჰერ ფრანც, პირველ რიგში ბუნდესნაკრების დამრიგებელზე მინდა გკითხოთ. როგორ აფასებთ იურგენ კლინსმანის მოღვაწეობას?**

- ჩემი აზრით, იურგენი დასახული მიზნისკენ კარგად მიიწევს. მან გუნდში ახალი იდეები დანერგა და სავარჯიშო მეთოდიკაც შეცვალა. გარდა ამისა, საკმაოდ გაბედულ ნაბიჯებს დგამს, რაც ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელების მიწვევაში გამოიხატება. ვიცი, რომ კლინსმანის შესაძლებლობებს გერმანიაში ბევრი ადამიანი სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ ის ამან არ უნდა შეაშინოს, თუმცა მგონი დიდად არც ანაღვლებს.

**- მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობა ნამდვილად არ იქნება იოლი საქმე...**

- რასაც არ უნდა მოკიდო ხელი, თავიდან ყოველთვის გრძნობ გარკვეულ ფსიქოლოგიურ წნეხს. საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი, როცა "ბაიერნის" კაპიტნობა დამაკისრეს. იქიდან მოყოლებული, სულ საპასუხისმგებლო თანამდებობები მიჭირავს და, ავად თუ კარგად, ჯერჯერობით თავს ვართმევ. იმაშიც მიმართლებდა, რომ გვერდით ყოველთვის პროფესიონალები მყავდნენ.

**- ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ყოველი მუნდიალის შემდეგ პრაქტიკულად ერთსა და იმავეს აცხადებს: "ტურნირი ისე იყო ორგანიზებული, როგორც არასდროს..." თქვენი აზრით, მომავალი ჩემპიონატის მერე ბლატერი ამ სიტყვებს გულწრფელად იტყვის?**

- ბუნებით ოპტიმისტი ვარ და იმედი მაქვს, პატივცემული იოზეფი ამ შემთხვევაში ნამდვილად ნასიამოვნები დარჩება. ღრმად მწამს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე იქნება ორგანიზებული. თუნდაც, იმის გამო, რომ გერმანელებს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა გვიყვარს და ხარისხს დიდ პატივს ვცემთ. ვიცი, ჩემს ენთუზიაზმსა და საკუთარი ერის ღირსებების პატივისცემას ბევრი არ იზიარებს, მაგრამ ყოფა და რეალობა რადიკალურად განსხვავებულზე მეტყველებს. ცხოვრების დონე ევროპის მასშტაბით გერმანიაში ყველაზე მაღალია, რაც პირველ რიგში გერმანელი ხალხის დამსახურებაა.



ფრანც ბეკენბაუერი დაუვიწყარ მუნდიალს გვპირდება.

**- პირადად თქვენ რას მოელით მომავალი ჩემპიონატისგან?**

- გერმანია თვეზე მეტ ხანს იქნება მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ყურადღების ცენტრში. ბუნებრივია, ეს ჩემს ქვეყანას გარკვეულ პრივილეგიებს მიანიჭებს. ძალიან მინდა, რომ ჩემპიონატმა მომავალ თაობას სპორტული, კულტურული და კომერციული სარგებელი მოუტანოს. იმედია, ეს მსოფლიო ჩემპიონატი, სულ მცირე, 50 წელი მაინც ემახსოვრებათ.

**- გინდათ თქვათ, რომ გერმანიის მუნდიალი მხოლოდ სპორტული მოვლენა არ იქნება?**

- რასაკვირველია. მაგრამ უმთავრესი მაინც ფეხბურთია. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ასე თუ ისე ვერკვევი და დამიჯერეთ, ისეთი ფინანსური მხარდაჭერა, როგორიც ახლა გვაქვს, არასდროს ყოფილა. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო მეტი კომპანია ცდილობს სპორტში და კერძოდ ფეხბურთში ფულის ჩადებას.

**- ორგკომიტეტისთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა რომელია?**

- ბილეთების გავრცელების საკითხი. მსოფლიოსა და ევროპის წინა ჩემპიონატებზე ხშირად მნიშვნელოვანი მატჩების დროს სტადიონზე ბევრი ცარიელი ადგილი რჩებოდა. ყველა ღონეს ვხმარობთ, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს. ვისაც ბილეთის შეძენა ენდომება, დაბრკოლებები მაქსიმალურად უნდა შევუმციროთ.

**- კი მაგრამ, როგორ?**

- საჭიროა სპონსორებმა, სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალურმა ასოციაციებმა და ორგკომიტეტმა შეთანხმებულად ვიმოქმედოთ. საჯაროდ ვაცხადებ: გერმანიაში სასტუმროებისა და ტრანსპორტის მხრივ არავითარი პრობლემა არ იქნება. ბილეთების გავრცელების საკითხი კი ცოტა მადარდებს.

**- ადრე ამბობდით, რომ დამატებით 35 ათასი სასტუმრო ოთახის გამოყოფას ითხოვდით სპეციალურად ტურისტებისთვის...**

- ყველა ტურისტული ჯგუფი, რომელიც მუნდიალის დროს გერმანიას ეწვევა, ჩვენს მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით დაბინავდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ორგკომიტეტის უმთავრესი მიზანია გულშემატკივრებს ფეხბურთით ტკბობის სიამოვნება მიანიჭოს და ყველა ყოფითი პრობლემა მაქსიმალურად გადაუჭრას.

**- სტადიონების უსაფრთხოებისთვის უამრავი ფული იხარჯება. თუმცა, ხშირად თავხედი გულშემატკივრები მინდორზე შეღწევას მაინც ახერხებენ. ამ პრობლემას როგორ გადაჭრით?**

- ფსევდო-გულშემატკივრები ყველგან არიან და გამონაკლისი არც გერმანია იქნება. სამწუხაროდ, ბოლო დროს გახშირებულმა ასეთმა შემთხვევებმა დღის წესრიგში დააყენა მატჩების საგანგებო კონტროლის საკითხი. მჯერა ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმის და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მუნდიალის დროს ასეთ ექსცესებს ადგილი არ ექნება.

**- ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ფიფას კულუარებში ბევრს საუბრობდნენ დაფინანსების სისტემის შეცვლაზე...**

- მადლობა ღმერთს, დაფინანსების საკითხი მალე მოვაგვარეთ. ამ საქმეში უდიდესი მხარდაჭერა გაგვიწია გერმანიის მთავრობამ, რომელმაც მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 430 მილიონი ევრო გამოგვიყო.

**- მართალია თუ არა, რომ ჩემპიონატის დროს კორეული "ჰიუნდაით" იმოძრავებთ და არა "მერსედესით" ან "ბმვ"-თი?**

- საავტომობილო კომპანიებთან მოლაპარაკების წარმოება ფიფას პრეროგატივაააა და ამ წესების დარღვევის უფლება არ მაქვს. "ჰიუნდაი" 2002 წლის მუნდიალის ოფიციალური სპონსორი იყო და, როგორც ჩანს, ორივე მხარე თანამშრომლობით კმაყოფილი დარჩა.

**- დაბოლოს, გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უეფას პრეზიდენტობაზე კენჭს იყრით?**

- უეფას ახლანდელი თავკაცი ლენარტ იოჰანსონი ჩინებულად უძღვება თავის საქმეს. გარდა ამისა, ის ჩემი ახლო მეგობარიცაა. თუ წასვლას გადაწყვეტს, ეს მისი პირადი საქმეა. მე კი ასეთ საკითხებზე ფიქრისთვის ჯერჯერობით დრო არ მრჩება.

# "მამლების" გაწვრთნის დომენიკური მეთოდები

მარი ჭავახიშვილი

რაიმონ დომენიკი ის კაცია, ვისგანაც ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულსა და უცნაურს უნდა ველოდეთ. ფრანგმა სპეციალისტმა ხასიათის ეს თვისება მსოფლიო ჩემპიონატის წინ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა, როცა ყველასთვის მოულოდნელად გერმანიაში წასაყვანი გუნდის მიღმა ლუდოვიკ ჟული, რობერ პირესი, ნიკოლა ანელკა და კიდევ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დატოვა.

ბუნებრივია, ამ ამბავს მაშინვე მოჰყვა ფრანგ ჟურნალისტთა რეაქცია, თუმცა მუსიე დომენიკი მშვიდად წარდგა მასმედიის წარმომადგენელთა წინაშე და ასევე მშვიდი და აუღელვებელი ტონით ახსნა საკუთარი გადაწყვეტილება:

- არავის წინაშე არ ვაპირებ თავის მართლებას. კარგად მაქვს გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რაც მაკისრია. ვიცი, რომ საბოლოო განაცხადის გამოქვეყნებას მოუთმენლად ელოდნენ ფეხბურთელები, მედიის წარმომადგენლები და ჩვენი გულშემატკივრები. რა თქმა უნდა, ჩემი გადაწყვეტილებით ყველა კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემთვის არც ისე ადვილი იყო საბოლოო განაცხადის შედგენა. ეს რომ იოლი საქმე იყოს, ამაზე ფიქრში ღამეებს არ გავათენებდი.




რაიმონ დომენიკი ნაკრებზე ფიქრში ღამეებს ათენებს.

**- ესე იგი, ძალიან ნერვიულობდით?**

- დაძაბულ რეჟიმში მიწევს მუშაობა. თან უდიდეს ზეწოლას ვგრძნობ პრესისა და საზოგადოების მხრიდან, რაც კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩვენ მუდმივად გვახსენებენ, რომ უკვე ვიყავით მსოფლიო ჩემპიონები და ვალდებული ვართ, გერმანიაშიც იგივე შედეგს მივაღწიოთ.

**- მართალია, მაგრამ 1998 წელს საკუთარ კედლებში მოიპოვეთ ჩემპიონობა, თან არც რაიმონ დომენიკი ედგა ნაკრებს სათავეში...**

- გუნდიც სხვა იყო. ზინედინ ზიდანიც სხვა დონეზე თამაშობდა. მოკლედ, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენგან მაინც მაქსიმუმს მოითხოვენ. თუმცა, ის უფრო გამიკვირდებოდა, მშვიდად რომ ედევნებინათ თვალყური ჩვენი მზადებისთვის. ფრანგული პრესა ახლავე გვნათლავს მუნდიალის ფავორიტებად და ამას ვერსად გავექცევით.

**- რომ შეგეძლოთ, სად გაიქცეოდით?**

- ძალიან გთხოვთ, ყოველ სიტყვაზე ნუ გამომედევნებით. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ პრესა ოთხი წლის წინაც ითხოვდა საფრანგეთის ნაკრების ჩემპიონობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი პროგნოზი არ გამართლდა.

**- როგორც წესი, ნაკრების მწვრთნელები ერთთავად ამბობენ, ნაკრების კარი ყველა ფეხბურთელისთვის ღიააო. თუმცა, რამდენიმე ფრანგი ფეხბურთელისთვის ის დაკეტილი აღმოჩნდა...**

- რა თქმა უნდა, ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ყველას ვერ შემოვუშვებთ. ეს ხან ფეხბურთელის ტრავმის გამო ხდება, ხანაც სხვა გაუთვალისწინებელი პრობლემის გამო. ასე რომ, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ.

**- შინაგანად თუ ხართ მზად იმ პრობლემების გადასაჭრელად, რაც შეიძლება თქვენს გუნდს შეხვდეს?**

- დღემდე იმაზე მეტი წინააღმდეგობა გადავლახე, ვიდრე ოდესმე ვიფიქრებდი. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ტურნირების დებიუტანტი ვარ და მსოფლიო ჩემპიონატზე მოსალოდნელ პრობლემებს მხოლოდ ვარაუდის დონეზე განვიხილავ. ყოველ შემთხვევაში, მზად ვარ სიტუაციიდან გამომდინარე ვიმუშაო და იმდენი ენერგია დავხარჯო, რამდენიც საჭიროა.

**- 2004 წლიდან მოყოლებული, ყველაზე მეტად როდის გაგიჭირდათ?**

- თითქმის ყველა დღე მძიმე იყო. სიმართლე გითხრათ, იმ დღეებში უფრო ვნერვიულობ ხოლმე, როცა თამაშები არ გვაქვს. ეს იმის შემდეგ დამჩემდა, როცა მატჩების შემდეგ რატომღაც მეკითხებოდნენ: თამაშის დროს სახეზე ნერვიულობა არ გეტყობოდათ და რა გიხაროდათო? ამიტომ ახლა ყოველი მატჩის დროს სერიოზული სახე მაქვს.

**- შეცდომებს ხშირად უშვებთ?**

- არცთუ იშვიათად. მაგრამ ყოველი შეცდომა ჩემთვის კარგი გაკვეთილია. მთავარია შეცდომა აღარ გავიმეორო.

**- მსოფლიო ჩემპიონატისთვის გუნდი რაიმე განსაკუთრებული მეთოდით ხომ არ მოამზადეთ?**

- რაღაც განსხვავებული, დომენიკური მეთოდი არ მაქვს. თუმცა არის დეტალები, რომელთაც საიდუმლოდ დავიტოვებ. ფეხბურთელებს სიტუაციიდან და მეტოქის პრინციპულობიდან გამომდინარე ვამზადებ და რაიმე რევოლუციურ სიახლეებს არ ვიგონებ. გამოცდილება მკარნახობს, რომ რთულს ყოველთვის მარტივად უნდა მიუდგე - აი, ჩემი მთავარი პრინციპი.

# ლებრონი - "დეტროიტი" 2:2

NBA-ს კონფერენციების ნახევარფინალურმა სერიებმა ეკვადორს გადააბიჯა. თუ "დალასისა" და "სან ანტონიოს" დაპირისპირებაში ფავორიტი გამოიკვეთა, "კლივლენდისა" და "დეტროიტის" წყვილში ვითარება საოცრად დაიძაბა. ლებრონ ჯეიმსმა ყველაფერი გააკეთა, რათა სერიის პირველი ორი მატჩის წაგების შემდეგ საკუთარ მინდორზე რევანში აეღო. ახლა სერიაში ანგარიში თანაბარია - 2:2.

"კლივლენდისა" და "დეტროიტის" მეოთხე მატჩში ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. როდესაც ანგარიში 72:72 იყო, მატჩის დასრულებას კი წამნახევარი აკლდა, ლებრონ ჯეიმსმა თავისი ზუსტი ტყორცნით "კლივლენდი" დააწინაურა. დარჩენილ დროში დეტროიტელებმა შეტევის განხორციელება ვერ მოასწრეს და მასპინძლებმა ანგარიშით 74:72 იმარჯვეს.




"დალასი" ცალი ფეხით ფინალშია.

ლებრონ ჯეიმსმა თავის გუნდს 22 ქულა მოუტანა. ამასთან, ლიგის გამორჩეულმა ვარსკვლავმა 8-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი და 9 შედეგიანი გადაცემაც გააკეთა.

დეტროიტელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო რიჩარდ ჰამილტონი, რომელმაც საკუთარ ანგარიშზე 30 ქულა მიითვალა. აღსანიშნავია, რომ სტუმართა დანარჩენმა კალათბურთელებმა საკმაოდ უხეიროდ ითამაშეს. ჩონსი ბილაპსმა მხოლოდ 11 ქულა შეაწია თავის გუნდს. დაცვაში საუკეთესოდ მოთამაშე ლიგის კალათბურთელმა ბენ უოლასმა კი მხოლოდ 10 მოხსნა გააკეთა.

რაც შეეხება "დალასისა" და "სან ანტონიოს" დაპირისპირებას, დალასელებმა მეოთხე შეხვედრა ანგარიშით 123:118 მოიგეს და სერიაში 3:1 დაწინაურდნენ. აღსანიშნავია, რომ მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა. გამარჯვებულის გამოსავლენად ოვერტაიმი დაინიშნა. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, დამატებითი ხუთი წუთი კი დალასელებმა 12:7 მოიგეს.

დირკ ნოვიცკიმ 28 ქულასთან ერთად 9 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. მასპინძელთა შორის კი საუკეთესო იყო ჯეისონ ტერი, რომლის ანგარიშზეც 32 ქულა, 2 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემაა.

"სან ანტონიოს" რიგებში ტიმ დანკანმა ივაჟკაცა. სტუმართა ცენტრმა თავის გუნდს 31 ქულა შესძინა. ამასთან, დანკანმა 13-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი და 6 შედეგიანი გადაცემაც გააკეთა.

## მიხელი კარიერას ამთავრებს

ცნობილი სლოვაკი არბიტრი ლიუბოშ მიხელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სამსაჯო კარიერის დასრულებას აპირებს. "გერმანიაში ფეხბურთს დავემშვიდობები. ვფიქრობ, დროა საკუთარ თავსა და ოჯახს მეტი დრო დავუთმო", - აცხადებს სლოვაკი არბიტრი.

## რომიდან მილანში

"რომას" ნახევარმცველი ოლივიე დაკური ამბობს, რომ მომავალ სეზონს მილანის "ინტერში" გაატარებს. "არაერთი შემოთავაზება მაქვს, თანაც, არა მხოლოდ იტალიური კლუბებიდან, თუმცა ვფიქრობ, რომ არჩევანს "ინტერზე" შევაჩერებ. "რომას" ხელმძღვანელებს ტრანსფერის დეტალებზე აუცილებლად შევუთანხმდები. ნამდვილად არ ვაპირებ ისე წავიდე, რომ კლუბში ვინმე ნაწყენი დავტოვო", - ამბობს ფრანგი ნახევარმცველი.

## პიპო გერმანიაში მიდის

მარჩელო ლიპიმ დაასახელა იტალიის ნაკრების შემადგენლობა. გამოცდილმა მწვრთნელმა 23-კაციან სიაში პიპო ინძაგიც შეიყვანა, რაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია. სკუადრა აძურას სამუნდიალო განაცხადი კი ასეთია:

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ანჯელო პერუცი (ლაციო), მარკო ამელია (ლივორნო)

**მცველები:** ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), ალესანდრო ნესტა (მილანი), ფაბიო კანავარო (იუვენტუსი), ფაბიო გროსო (პალერმო), კრისტიან ძაკარდო (პალერმო), ანდრეა ბარცალი (პალერმო), მარკო მატერაცი (ინტერი), მასიმო ოდო (ლაციო)

**ნახევარმცველები:** მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (მილანი), ჯენარო გატუზო (მილანი), დანიელე დე როსი (რომა), სიმონე პეროტა (რომა), სიმონე ბარონე (პალერმო)

**თავდამსხმელები:** ფრანჩესკო ტოტი (რომა), ლუკა ტონი (ფიორენტინა), ალბერტო ჯილარდინო (მილანი), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ფილიპო ინძაგი (მილანი), ვინჩენცო იაკინტა (უდინეზე).

## ლუჩესკუ "შახტარში" დარჩება

დონეცკის "შახტარმა" კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი გუნდის მთავარ მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუსთან. აქამდე მოქმედი კონტრაქტის ვადა ერთ წელიწადში იწურებოდა და უკრაინული გრანდის მესვეურებმა წარმატებული მწვრთნელის შენარჩუნება ახალი კონტრაქტის გაფორმებით მოინდომეს. "შახტარის" პრეზიდენტს რინატ ახმეტოვს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კმაყოფილია ლუჩესკუს მუშაობით.

## ბრაზილიამ შემადგენლობა დაასახელა

კარლოს ალბერტო პარეირამ დაასახელა იმ 23 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც გერმანიაში გაემგზავრებიან და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვას შეეცდებიან. ბრაზილიის ნაკრებში მოულოდნელობები არ არის. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ნაკრებს მიღმა დარჩა მეკარე მარკოსი, რომელიც 2002 წელს ბრაზილიელთა ძირითადი კიპერი იყო. სრული სია კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** დიდა (მილანი), ჟულიო სეზარი (ინტერი), როჟერიო სენი (სან პაულო)

**მცველები:** კაფუ (მილანი), სისინიო (რეალი), ლუსიო (ბაიერნი), ჟუანი (ბაიერი), რობერტო კარლოსი (რეალი), ჟილბერტო (ჰერტა), კრისი (ლიონი), ლუიზაო (ბენფიკა)

**ნახევარმცველები:** ედმილსონი (ბარსელონა), ჟუნინიო (ლიონი), ემერსონი (იუვენტუსი), ზე რობერტო (ბაიერნი), ჟილბერტო სილვა (არსენალი), კაკა (მილანი), რიკარდინიო (კორინთიანსი)

**თავდამსხმელები:** რონალდო (რეალი), რობინიო (რეალი), რონალდინიო (ბარსელონა), ადრიანო (ინტერი), ფრედი (ლიონი)

## "სანდერლენდი" თინეიჯერ მეკარეს არ გაყიდის

ინგლისური "ტოტენჰემ ჰოთსფურზის" მთავარი მწვრთნელი მარტინ იოლი "სანდერლენდის" კარის დარაჯის ბენ ალნვიკით დაინტერესდა. თუმცა, "სანდერლენდის" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით თავს იკავებს 19 წლის მეკარის გაყიდვისგან და აცხადებს, რომ ალნვიკი არ იყიდება.

მარტინ იოლი თინეიჯერ გოლკიპერს კლუბის ძირითადი მეკარის მარტონ ფულოპის შემცვლელად მოიაზრებს.

## "სოშომ" მწვრთნელი დაითხოვა

ფრანგული კლუბის "სოშოს" ხელმძღვანელობამ დომინიკ ბოჟეტი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა.

45 წლის ფრანგ სპეციალისტს კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებდა, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო დარჩა ბოჟეტის შედეგებით და მისი გაშვება გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ "სოშო" ძლივს გადაურჩა საფრანგეთის უმაღლესი ლიგიდან გავარდნას და წლევანდელ სეზონში ჩემპიონატის ცხრილში მეთხუთმეტე ადგილს დასჯერდა. ბოჟეტის გუნდის მონაპოვარი 38 მატჩში 44 ქულა გახლავთ, აქედან 11 გამარჯვება, 11 ფრე და 16 წაგება.

დომინიკ ბოჟეტის სავარაუდო შემცვლელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

## დემიკელისმა სტიმული დაკარგა

მიუნხენის "ბაიერნის" არგენტინელი ნახევარმცველის მარტინ დემიკელისის განცხადებით, იგი გაოცებული და გულნატკენია თავისი ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხოსე პეკერმანის საქციელით.

არგენტინელთა თავკაცის გადაწყვეტილებით, მარტინ დემიკელისი მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადში ვერ მოხვდა.

"ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, რომ საერთოდ დავკარგე ფეხბურთის თამაშის სტიმული. საკუთარი თავის რწმენა დავკარგე და ძალას ველარ ვიკრებ, რომ მომავალში მაინც შევძლო თამაში", - განაცხადა 25 წლის სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელმა.

თავის მხრივ, მიუნხენის "ბაიერნი" ერთ-ერთია იმ მცირეოდენ გუნდთაგან, რომლის თითქმის ყველა ფეხბურთელი ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატზე. სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების განაცხადში გუნდის 10 მოთამაშეა: ოლივერ კანი, ფილიპ ლამი და ბასტიან შვაინშტაიგერი გერმანიის ღირსებას დაიცავენ, ლუსიო და ზე რობერტო - ბრაზილიის ნაკრებისას, როკე სანტა კრუზი და ხულიო დოს სანტოსი - პარაგვაის, ვილი სანიოლი - საფრანგეთის, ალი კარიმი - ირანის, უეინ ჰარგრივზი კი - ინგლისის ეროვნული გუნდის.

ბაიერნელთაგან, დემიკელისის მსგავსად, თავისი ქვეყნის ნაკრებს მიღმა დარჩა ჰოლანდიელი როი მაკაი.

## "ვილიარეალი" სიენას შეელევა

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალისტმა, ესპანურმა "ვილიარეალმა" ბრაზილიელი ნახევარმცველის მარკოს სიენას გაყიდვა გადაწყვიტა. კლუბთან მოქმედი კონტრაქტის ვადა ფეხბურთელს ერთი წლის შემდეგ ეწურება, თუმცა "ვილიარეალის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, დამატებითი ფულის შოვნის მიზნით სიენა შუა სეზონშივე გაყიდოს.

მარკოს სიენათი მანამდე დაინტერესებული იყვნენ ლონდონის "არსენალი" და მადრიდის "რეალი", რომლებიც, სავარაუდოდ, მალე გააჩაღებენ ბრძოლას ბრაზილიელისთვის.

## მხოლოდ ფაქტები

დღევანდელ ფინალში გაირკვევა ევროპის ჩემპიონთა თასის 51-ე გამარჯვებული. პირველი ფინალი ზუსტად 50 წლის წინ პარიზში, "პარკ დე პრანსის" სტადიონზე გაიმართა. 1956 წლის 13 მაისს ჩემპიონთა თასის პირველ ფინალში "რეალმა" ფრანგული კლუბი "სტად დე რეიმსი" დაამარცხა.

■ ■ ■

"ბარსელონასთვის" ეს მეხუთე ფინალია, "არსენალისთვის" კი - პირველი.

■ ■ ■

"ბარსელონამ" მხოლოდ ერთხელ მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი. ეს მოხდა 1992 წელს. დანარჩენ ოთხ ფინალში კატალონიური გუნდი დამარცხდა.

■ ■ ■

1992 წელს "ბარსელონამ" "უემბლის" სტადიონზე გამართულ ფინალურ მატჩში დაამარცხა იტალიური "სამპდორია". 1961 წელს "ბარსა" ბერლინში "ბენფიკასთან" დამარცხდა. 1986 წელს სევილიაში პენალტების სერიაში დათმო ევროპის ჩემპიონთა თასი რუმინულ "სტიაუასთან, 1994 წელს კი ათენში "მილანმა" გაანადგურა ანგარიშით 4:0. აღსანიშნავია, რომ მაშინ "მილანის" ღირსებას იცავდა "ბარსელონას" ახლანდელი მწვრთნელი ფრანკ რაიკაარდი.

■ ■ ■

"ბარსელონა" ევროტურნირებზე უკანასკნელად გასულ სეზონში დამარცხდა, როდესაც ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მერვედფინალურ მატჩში "ჩელსისთან" დაპირისპირება 2:4 წააგო. ეს მოხდა 2005 წლის 8 მარტს ლონდონში, "სტემფორდ ბრიჯზე". ამ სეზონში გამართული ჩემპიონთა ლიგის 12 მატჩიდან "ბარსელონას" არც ერთი არ წაუგია. ბოლო ოთხ შეხვედრაში კი გოლიც არა აქვს გაშვებული.

■ ■ ■

ჩემპიონთა ლიგის ფორმატით "ბარსელონამ" 20 მატჩი გამართა ინგლისურ კლუბებთან. აქედან 10 მოიგო, 7 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 3 წააგო.

■ ■ ■

"ბარსელონა" მეთხუთმეტედ თამაშობს ევროტურნირების ფინალში.

■ ■ ■

ნახევარფინალში "არსენალმა" ევროტურნირების რეკორდი დაამყარა. ლონდონურმა კლუბმა ზედიზედ მეათე მატჩში შეძლო საკუთარი კარის მშრალად შენახვა. ჩემპიონთა ლიგაში ესპანური კლუბების წინააღმდეგ "არსენალს" 16 მატჩი აქვს გამართული. აქედან ლონდონელებმა 6 მოიგეს, 4 ფრედ დაასრულეს და 6 წააგეს. ამ სეზონში "არსენალმა" ჩემპიონთა ლიგას უკვე გამოთიშა ორი ესპანური კლუბი. მერვედფინალში ლონდონელებმა ორი მატჩის ჯამში "რეალი" დაამარცხეს, ნახევარფინალში კი - "ვილიარეალი". "არსენალს" ევროტურნირებში ესპანურ კლუბებთან გამართული უკანასკნელი ექვსი მატჩი არ წაუგია. ხუთში კი საკუთარი კარი მშრალადაც შეინახა.

■ ■ ■

"არსენალს" ჩემპიონთა ლიგაში უკვე 13 მატჩია არ წაუგია. ამ მაჩვენებლით მიუახლოვდა ისეთ კლუბებს, როგორებიც არიან: "ბაიერნი" (19), "აიაქსი" (19), "მანჩესტერი" (16), "ლივერპული" (14), "ლიონი" (14), "ბარსელონა" (14).

■ ■ ■

"ჩემპიონთა ლიგაში "არსენალი" უკანასკნელად დამარცხდა 2005 წლის 22 თებერვალს, როდესაც ვენგერის გუნდს მიუნხენის "ბაიერნმა" 3:1 მოუგო. უკანასკნელი გოლი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში "არსენალმა" საკუთარ კარში გაუშვა, გასული წლის 27 სექტემბერს ამსტერდამში გამართულ მატჩზე მოდის. ეს გოლი ამსტერდამული კლუბის ფეხბურთელმა მარკუს როზენბერგმა მატჩის 71-ე წუთზე გაიტანა. ჩემპიონთა ლიგაში "არსენალს" 919 წუთის განმავლობაში არ გაუშვია გოლი, რაც ტურნირის რეკორდია. თუ დღეს მატჩი "არსენალის" გამარჯვებით დასრულდა, "მეთოფეები" ევროპული საკლუბო ფეხბურთის ელიტის წევრები გახდებიან. "არსენალი" იქნება გუნდი, რომელსაც ყველა ევროპული ტურნირი ექნება მოგებული - ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი და უეფას თასი. ჯერჯერობით ასეთი მაჩვენებლით მხოლოდ "აიაქსი", "ბარსელონა", "იუვენტუსი" და "ბაიერნი" დაიკვეხნიან.

■ ■ ■

თუ დღევანდელ მატჩში ტიერი ანრიმ გოლის გატანა მოახერხა, ეს იქნება მისი 50-ე გოლი ევროტურნირებში და ფრანგი მეგოლე ელიტური ბომბარდირების სიაში დაიმკვიდრებს ადგილს. ჯერჯერობით ევროტურნირებში 50-გოლიან ბარიერს მხოლოდ ხუთმა ფეხბურთელმა მიაღწია. გერდ მიულერი, ეუსებიო, ანდრეი შევჩენკო, იუპ ჰაინკესი და რაული. თავისი 49 გოლიდან ანრიმ 41 "არსენალის" შემადგენლობაში გაიტანა, 8 კი - "მონაკოს".

■ ■ ■

ესპანურ, იტალიურ და ინგლისურ გუნდებს 10-10-ჯერ აქვთ მოგებული ჩემპიონთა თასი. დღევანდელი ფინალის შემდეგ ინგლისი ან ესპანეთი 11 მოგებული თასით პირველობას ჩაიგდებს ხელში.

■ ■ ■

პარიზში მეხუთედ იმართება ყველაზე პრესტიჟული ევროპული ტურნირის ფინალი. აქამდე საფრანგეთის დედაქალაქმა ფინალურ მატჩებს 1956, 1975, 1981 და 2000 წლებში უმასპინძლა. აქედან პირველი სამი ფინალი "პარკ დე პრანსზე" გაიმართა. 2000 წელს კი ჩემპიონთა ლიგის ფინალს "სტად დე ფრანსმა" უმასპინძლა.

## ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

1955-56 **რეალი (ესპანეთი)** - რეიმსი (საფრანგეთი) ..........4:3
1956-57 **რეალი (ესპანეთი)** - ფიორენტინა (იტალია) ..........2:0
1957-58 **რეალი (ესპანეთი)** - მილანი (იტალია) ..........3:2
(დამატებით დროში)
1958-59 **რეალი (ესპანეთი)** - რეიმსი (საფრანგეთი) ..........2:0
1959-60 **რეალი (ესპანეთი)** - აინტრახტი (გერმანია) ..........7:3
1960-61 **ბენფიკა (პორტუგალია)** - ბარსელონა (ესპანეთი) ..........3:2
1961-62 **ბენფიკა (პორტუგალია)** - რეალი (ესპანეთი) ..........5:3
1962-63 **მილანი (იტალია)** - ბენფიკა (პორტუგალია) ..........2:1
1963-64 **ინტერი (იტალია)** - რეალი (ესპანეთი) ..........3:1
1964-65 **ინტერი (იტალია)** - ბენფიკა (პორტუგალია) ..........1:0
1965-66 **რეალი (ესპანეთი)** - პარტიზანი (იუგოსლავია) ..........2:1
1966-67 **სელტიკი (შოტლანდია)** - ინტერი (იტალია) ..........2:1
1967-68 **მანჩესტერი (ინგლისი)** - ბენფიკა (პორტუგალია) ..........4:1
1968-69 **მილანი (იტალია)** - აიაქსი (ჰოლანდია) ..........4:1
1969-70 **ფეიენოორდი (ჰოლანდია)** - სელტიკი (შოტლანდია) ..........2:1
(დამატებით დროში)
1970-71 **აიაქსი (ჰოლანდია)** - პანათინაიკოსი (საბერძნეთი) ..........2:0
1971-72 **აიაქსი (ჰოლანდია)** - ინტერი (იტალია) ..........2:0
1972-73 **აიაქსი (ჰოლანდია)** - იუვენტუსი (იტალია) ..........1:0
1973-74 **ბაიერნი (გერმანია)** - ატლეტიკო (ესპანეთი) ..........1:1
(ძირითადი და დამატებითი დრო,
განმეორებითი მატჩი მოიგო "ბაიერნმა" ანგარიშით 4:0)
1974-75 **ბაიერნი (გერმანია)** - ლიდსი (ინგლისი) ..........2:0
1975-76 **ბაიერნი (გერმანია)** - სტ.ეტიენი (საფრანგეთი) ..........1:0
1976-77 **ლივერპული (ინგლისი)** - გლადბახი (გერმანია) ..........3:1
1977-78 **ლივერპული (ინგლისი)** - ბრიუგე (ბელგია) ..........1:0
1978-79 **ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი)** - მალმიო (შვედეთი) ..........1:0
1979-80 **ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი)** - ჰამბურგი (გერმანია) ..........1:0
1980-81 **ლივერპული (ინგლისი)** - რეალი (ესპანეთი) ..........1:0
1981-82 **ასტონ ვილა (ინგლისი)** - ბაიერნი (გერმანია) ..........1:0
1982-83 **ჰამბურგი (გერმანია)** - იუვენტუსი (იტალია) ..........1:0
1983-84 **ლივერპული (ინგლისი)** - რომა (იტალია) ..........1:1
(4:2 პენალტების სერიაში)
1984-85 **იუვენტუსი (იტალია)** - ლივერპული (ინგლისი) ..........1:0
1985-86 **სტიაუა (რუმინეთი)** - ბარსელონა (ესპანეთი) ..........0:0
(2:0 პენალტების სერიაში)
1986-87 **პორტუ (პორტუგალია)** - ბაიერნი (გერმანია) ..........2:1
1987-88 **პსვ (ჰოლანდია)** - ბენფიკა (პორტუგალია) ..........0:0
(6:5 პენალტების სერიაში)
1988-89 **მილანი (იტალია)** - სტიაუა (რუმინეთი) ..........4:0
1989-90 **მილანი (იტალია)** - ბენფიკა (პორტუგალია) ..........1:0
1990-91 **ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)** - მარსელი (საფრანგეთი) ..........0:0
(5:3 პენალტების სერიაში)
1991-92 **ბარსელონა (ესპანეთი)** - სამპდორია (იტალია) ..........1:0
1992-93 **მარსელი (საფრანგეთი)** - მილანი (იტალია) ..........1:0
1993-94 **მილანი (იტალია)** - ბარსელონა (ესპანეთი) ..........4:0
1994-95 **აიაქსი (ჰოლანდია)** - მილანი (იტალია) ..........1:0
1995-96 **იუვენტუსი (იტალია)** - აიაქსი (ჰოლანდია) ..........1:1
(4:2 პენალტების სერიაში)
1996-97 **დორტმუნდი (გერმანია)** - იუვენტუსი (იტალია) ..........3:1
1997-98 **რეალი (ესპანეთი)** - იუვენტუსი (იტალია) ..........1:0
1998-99 **მანჩესტერი (ინგლისი)** - ბაიერნი (გერმანია) ..........2:1
1999-2000 **რეალი (ესპანეთი)** - ვალენსია (ესპანეთი) ..........3:0
2000-01 **ბაიერნი (გერმანია)** - ვალენსია (ესპანეთი) ..........1:1
(5:4 პენალტების სერიაში)
2001-02 **რეალი (ესპანეთი)** - ბაიერი (გერმანია) ..........2:1
2002-03 **მილანი (იტალია)** - იუვენტუსი (იტალია) ..........0:0
(3:2 პენალტების სერიაში)
2003-04 **პორტუ (პორტუგალია)** - მონაკო (საფრანგეთი) ..........3:0
2004-05 **ლივერპული (ინგლისი)** - მილანი (იტალია) ..........3:3
(3:2 პენალტების სერიაში)

# პარიზში 50 წლის შემდეგ

**გზა ფინალამდე**

**არსენალი**

**ჯგუფური ეტაპი**
არსენალი - თუნი ..........2:1
აიაქსი - არსენალი ..........1:2
სპარტა - არსენალი ..........0:2
არსენალი - სპარტა ..........3:0
თუნი - არსენალი ..........0:1
არსენალი - აიაქსი ..........0:0

**მერვედფინალი**
რეალი - არსენალი ..........0:1
არსენალი - რეალი ..........0:0

**მეოთხედფინალი**
არსენალი - იუვენტუსი ..........2:0
იუვენტუსი - არსენალი ..........0:0

**ნახევარფინალი**
არსენალი - ვილიარეალი ..........1:0
ვილიარეალი - არსენალი ..........0:0

**გუნდების სავარაუდო შემადგენლობა**

**არსენალი**: იენს ლემანი, ემანუელ ებუე, კოლო ტურე, სოლ კემპბელი, ეშლი კოული, ალექსანდრ ჰლები, სესკ ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, რობერ პირესი, ხოსე ანტონიო რეიესი, ტიერი ანრი
**მთ.მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**მსაჯი:** ტერი ჰაუგე (ნორვეგია)

**ბარსელონა**: ვიქტორ ვალდესი, ჟულიანო ბელეტი ან ოლეგერი, კარლეს პუიოლი, რაფაელ მარკესი, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, ედმილსონი, დეკო, ანდრეს ინიესტა ან მარკ ვან ბომელი, რონალდინიო, ლუდოვიკ ჟილუი, სამუელ ეტოო
**მთ.მწვრთნელი:** ფრანკ რაიკაარდი





ვასილ უდუმაშვილი

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც 1956 წლის 13 მაისს პარიზმა ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩს უმასპინძლა. 50 წლის წინ მადრიდის "რეალმა" ევროპული საფეხბურთო გვირგვინი "სტად დე რეიმსს" ცხვირწინ აიცალა. მას შემდეგ ჩემპიონთა თასის გათამაშება ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირად ითვლება.

50 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. "სტად დე რეიმსი" საფეხბურთო რუკაზე აღარ არსებობს, ჩემპიონთა თასის გათამაშებამ კი სახე იცვალა. დღეს ტურნირი ჩემპიონთა ლიგის სახელით მოიხსენიება და უკვე ევროპის საკლუბო ჩემპიონატს ჰგავს.

საიუბილეო ტურნირის ფინალი ოდნავ განსხვავებული იქნება. თავიდან მოეწყობა გახსნის ცერემონიალი, რომელიც დაახლოებით ნახევარ საათს გასტანს, შემდეგ კი ამ სეზონის ორი საუკეთესო ევროპული გუნდის ფეხბურთელები გავლენ მინდორზე.

თუ 50 წლის წინ ფინალს ლეგენდარულმა "პარკ დე პრანსმა" უმასპინძლა, ამჯერად მატჩი საგანგებოდ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის აშენებულ "სტად დე ფრანსზე" გაიმართება.

ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან გუნდები, რომლებიც ამ სეზონში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ფეხბურთს ქადაგებენ. "არსენალის" მთავარი კოზირი დაცვა და სწრაფი კონტრშეტევებია, "ბარსელონა" კი მთლიანად შეტევაზეა ორიენტირებული. მართალია, ამ სეზონში რაიკაარდმა დაგვანახა, რომ სრულიად პრაგმატული ფეხბურთის თამაშიც შეუძლია, მაგრამ საეჭვოა, რომ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ფინალში პრაგმატიზმი არჩიოს.

ლონდონური კლუბის თამაშის სტილზე შედეგებიც ნათლად მეტყველებს. ჩემპიონთა ლიგაში "არსენალს" ათი მატჩის განმავლობაში არ გაუშვია გოლი, რაც ამ გუნდის დაცვის სიძლიერეზე მიუთითებს. ფინალისთვის კი "მეთოფეთა" დაცვა კიდევ უფრო გაძლიერდა. როგორც იქნა, გუნდს დაუბრუნდნენ ეშლი კოული და სოლ კემპბელი.

შეტევაში კი ლონდონელთა მთავარი იმედი ტიერი ანრია. ფრანგ მეგოლეს კარიერაში ყველაფერი აქვს მოგებული ჩემპიონთა ლიგის გარდა და ახლა ამ მიზნის მისაღწევად იღვწის.

თუმცა მხოლოდ ანრის როდი უნდა უფრთხოდნენ კატალონიელები. "არ შეიძლება კონცენტრირება მხოლოდ ერთი ფეხბურთელის ნეიტრალიზებაზე მოხდეს. ანრი მართლაც ძალიან ძლიერია, მაგრამ "არსენალში" სხვა კარგი ფეხბურთელებიც თამაშობენ. მხოლოდ ანრი გუნდს ფინალამდე ვერ მიიყვანდა. მეტოქის მთავარ კოზირად ბრწყინვალედ მოთამაშე დაცვა მიმაჩნია. ჩვენს ფორვარდებს ძალიან გაუჭირდებათ ლონდონური გუნდის დაცვის ხაზის გარღვევა. ცხადია, ჩვენ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ, ისევე როგორც მეტოქე გუნდის ფეხბურთელები. უცნაური იქნებოდა ფინალის მონაწილე ფეხბურთელთაგან რომელიმეს ეთქვა, მოგება არ მინდაო. რა თქმა უნდა, მინდორზე მოსაგებად გავალთ და, იმედია, გავიმარჯვებთ კიდეც," - აცხადებს "ბარსელონას" კაპიტანი კარლეს პუიოლი.

კატალონიელთა კაპიტანი მართლაც რთული ამოცანის წინაშე დგას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ "ბარსელონას" დაცვა განსაკუთრებული სიძლიერით არ გამოირჩევა და სწორედ პუიოლის მხრებზე გადაივლის დაცვის მთელი ტვირთი.

მართალია, ფინალურ მატჩში ფავორიტებზე არ უნდა საუბრობდნენ, მაგრამ, მთელი სეზონიდან გამომდინარე, უმეტესობას მიაჩნია, რომ პარიზული ფინალის მთავარი ფავორიტი "ბარსელონა" იქნება. ასე არ ფიქრობს ესპანური გუნდის ჰოლანდიელი მწვრთნელი ფრანკ რაიკაარდი: "უაზრობაა ფავორიტებზე საუბარი. ფინალში ფავორიტი არ არსებობს. "არსენალი" ძალიან ძლიერი გუნდია. ვენგერმა უაღრესად ბრძოლისუნარიანი კოლექტივი ჩამოაყალიბა. თანაც გუნდი, რომელშიც ანრი თამაშობს, არ შეიძლება ფინალის აუტსაიდერად ჩათვალოს. ანრი უნიკალური ფეხბურთელია. ჰკითხეთ ნებისმიერ მწვრთნელს, სურს თუ არა მას თავის გუნდში ანრის ყოლა. პასუხი ალბათ ნათელია: ტიერი ანრიზე უარს ვერავინ იტყვის".

რაც შეეხება ვენგერს, ფრანგი მწვრთნელი უკვე დიდი ხანია მიდის ამ მიზნისკენ. თითქმის ათი წელია, რაც არსენ ვენგერი "არსენალში" მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში ერთადერთი, რაც მას აკლია, ევროპული წარმატებაა. შესაძლოა, ვინმეს პარადოქსულადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ "არსენალი" სწორედ მაშინ გავიდა ფინალში, როდესაც ინგლისის ჩემპიონატში საკმაოდ არადამაჯერებელ და არასტაბილურ ფეხბურთს თამაშობდა. მეტიც: სეზონის დასაწყისში "არსენალს" სერიოზულად არავინ აღიქვამდა, მაგრამ ვენგერმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ დიდი მწვრთნელია. ფრანგმა განახევრებული გუნდით შეძლო ფინალამდე მისვლა. ახლა კი არსენ ვენგერს მინდორზე ოპტიმალური შემადგენლობის გაყვანის საშუალება ექნება.

"ბევრი ამბობს, რომ ეს იქნება ოცნების ფინალი, რადგან ორივე გუნდი ლაღი და ლამაზი ფეხბურთის მიმდევარია. იმედია, სწორედ ასე მოხდება. ჩვენ კი გამარჯვება გვსურს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში "არსენალმა" დაიმკვიდრა ადგილი ევროპული ფეხბურთის ელიტაში, თუმცა, ჩვენ მეტი გვინდა - ეს ტიტულის მოგებაა".

როგორც იცით, "არსენალი" არსებობის მანძილზე პირველად გავიდა ფინალში. "ბარსელონა" კი უკვე მეხუთე ფინალს თამაშობს. თუმცა, მხოლოდ ერთხელ მოიგო ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი.

"არსენალის" ძლიერ მხარეებზე ვისაუბრეთ. ახლა "ბარსელონაზეც" ვთქვათ. რაიკაარდმა სამი წლის განმავლობაში მართლაც რომ "ოცნების გუნდის" ჩამოყალიბება შეძლო. რონალდინიო, ეტოო, დეკო, მესი - ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც დღევანდელი "ბარსელონას" სახედ იქცნენ.

რონალდინიოსთვის მატჩი განსაკუთრებული იქნება - ბრაზილიელი ხომ ევროპულ კარიერას სწორედ პარიზში იწყებდა. "ბედნიერი ვარ, რომ ფინალს პარიზში ვითამაშებ. თითქოს შინ ვბრუნდები. პარიზი ჩემი ევროპული კარიერის ათვლის წერტილია", - აცხადებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.

აღსანიშნავია, რომ არც "არსენალის" ფეხბურთელებისთვის არის პარიზი უცხო. მეთოფეთა რიგებში ხომ უფრო მეტი ფრანგია, ვიდრე ინგლისელი. მოკლედ, "სტად დე ფრანსის" მინდორი ორივე გუნდისთვის საშინაო არენად უნდა მივიჩნიოთ. ანრისთვის კი ეს სტადიონი საერთოდ მშობლიურია. სწორედ აქ მოიგო ტიერიმ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ვენგერი მინდორზე ოპტიმალური შემდგენლობით გავა. იგივეს ვერ ვიტყვით რაკაარდზე. მართალია, არგენტინელი ლიო მესი ჰოლანდიელმა მწვრთნელმა განაცხადში შეიყვანა, მაგრამ საეჭვოა, რომ მსოფლიო ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა მინდორზე გამოსვლა შეძლოს. ორი დღეა, რაც მესიმ ვარჯიში დაიწყო და რაიკაარდი ალბათ არ გარისკავს. "მესის ჩვენთან ერთად ყოფნა გუნდის მორალურ მდგომარეობაზე კარგად იმოქმედებს. არ ვიცი, შეძლებს თუ არა მესი მინდორზე გასვლას, მაგრამ ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში ჩვენს გვერდით იქნება და ესაა მთავარი", - აცხადებს პორტუგალიელი დეკო, რომელიც ერთადერთია "ბარსელონას" შემადგენლობაში, ვისაც უკვე მოგებული აქვს ჩემპიონთა ლიგა.

მართალია, ფორმალურად ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ტიტული ეტოოსაც აქვს, მაგრამ თავად კამერუნელი არ თვლის, რომ "რეალთან" ერთად მოგებული თასი მასაც ეკუთვნის.

"ის ფორმალობა იყო. გუნდთან ერთად მხოლოდ სურათი გადავიღე. სულ ეს იყო. ის თასი მე არ მომიგია, პარიზული ფინალი ჩემთვის პირველი იქნება", - ამბობს კამერუნელი მეგოლე.

რაც შეეხება ტრავმირებულებს, მესის გარდა, "ბარსელონას" ხავიც დააკლდება. მართალია, მან უკვე მოიშუშა ტრავმა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა კვლავაც აკლია და რაიკაარდი ალბათ ძირითადში არ დააყენებს. სხვა მხრივ "ბარსა" მინდორზე სრული საბრძოლო შემადგენლობით გავა.

ცხადია, მოტივაციის ნაკლებობას არც ერთი გუნდის ფეხბურთელები არ განიცდიან, მაგრამ რამდენიმე მათგანისთვის მატჩს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალის დატვირთვა როდი ექნება. ამ კატეგორიის ფეხბურთელებიდან პირველ რიგში "არსენალის" ესპანელი საყრდენი სესკ ფაბრეგასი უნდა გამოვყოთ. შეგახსენებთ, რომ სესკი კატალონიური კლუბის სკოლის აღზრდილია, მაგრამ, ეტყობა, "ბარსას" სკაუტებმა ვერ შეამჩნიეს ამ ფეხბურთელის ნიჭი და ფაბრეგასი საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში აღმოჩნდა "არსენალში". დღეს სესკი თავის მშობლიურ გუნდს უნდა დაუპირისპირდეს.

განსაკუთრებული იქნება ტიერი ანრის ფიგურაც. თავადაც იცით, რომ ტიტის შეძენაზე "ბარსელონა" ოცნებობს. ვინ იცის, შესაძლოა, მომავალ სეზონში ანრიმ უკვე კატალონიური გრანდის მაისურაც მოირგოს. იმასაც ამბობენ, რომ ანრისთვის პარიზული ფინალი უკანასკნელი მატჩი იქნება "არსენალის" შემადგენლობაში.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც ორმაგი მოტივაცია ექნება, იენს ლემანია. თავის დროზე მიუნხენის "ბაიერნს" ოლივერ კანმა მოაგებინა ჩემპიონთა ლიგა. ლემანსა და კანს შორის დაპირისპირებაზე კი ალბათ საუბარიც არ ღირს. კლინსმანის გადაწყვეტილებით მუნდიალზე ბუნდესნაკრების ძირითადი მეკარე ლემანი იქნება. ამბიციურმა გერმანელმა მეკარემ სწორედ "სტად დე ფრანსზე" უნდა დაამტკიცოს, რომ იურგენ კლინსმანი არჩევანში არ შემცდარა.

მოკლედ, დღეს ევროპული საკლუბო ფეხბურთის მთავარი მატჩი უნდა გაიმართოს. ესპანეთი თუ ინგლისი? "ბარსელონა" თუ "არსენალი"? რონალდინიო თუ ანრი? ამ კითხვებს დღეს საღამოს გაეცემა პასუხი.

დღეს კიდევ ერთი რამ უნდა გაირკვეს: თუ "ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი გაზაფხული მთლიანად ესპანურია. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ უეფას თასის ფინალში ესპანურმა "სევილიამ" ინგლისური "მიდლსბრო" გაანადგურა. დღეს კი კიდევ ერთი ესპანურ-ინგლისური დაპირისპირება შედგება. თუმცა, ესპანურ-ინგლისური ალბათ ძალიან ხმამაღლაა ნათქვამი. "არსენალი" ფორმალურად არის ინგლისური, ესპანურ გრანდში კი ბრაზილიელები და ერთი კამერუნელი ქმნიან ამინდს.

**გზა ფინალამდე**

**ბარსელონა**

**ჯგუფური ეტაპი**
ვერდერი - ბარსელონა ..........0:2
ბარსელონა - უდინეზე ..........4:1
პანათინაიკოსი - ბარსელონა ..........0:0
ბარსელონა - პანათინაიკოსი ..........5:0
ბარსელონა - ვერდერი ..........3:1
უდინეზე - ბარსელონა ..........0:2

**მერვედფინალი**
ჩელსი - ბარსელონა ..........1:2
ბარსელონა - ჩელსი ..........1:1

**მეოთხედფინალი**
ბენფიკა - ბარსელონა ..........0:0
ბარსელონა - ბენფიკა ..........2:0

**ნახევარფინალი**
მილანი - ბარსელონა ..........0:1
ბარსელონა - მილანი ..........0:0



*პარიზი ფინალისთვის მზადაა.*

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს ავტოტექნიკის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** ავტოტექნიკა
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 9 ივნისის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)

ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 10 ივნისიდან 2006 წლის 16 ივნისის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 16 ივნისის 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

***იურიდიულ პირთათვის:***

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

***ფიზიკურ პირთათვის:***

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

***როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:***

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

| ლოტი N | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 20 დღის განმავლობაში) | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაღალი გამავლობის საწვავმზიდი, არანაკლებ 10 ტონიანი მოცულობის ავზით | ცალი | 10 | 05.07.06-31.12.06 | ქ. თბილისი |
| 2 | მაღალი გამავლობის საწვავგასამართი ავტომობილი არანაკლებ 5 ტონიანი მოცულობის ავზით | ცალი | 8 | | |
| 3 | ავტოამწე არანაკლებ 14 ტონა ტვირთამწეობის | ცალი | 2 | | |
| 4 | ავტოამწე არანაკლებ 20 ტონა ტვირთამწეობის | ცალი | 1 | | |

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ხელახალ ღია ტენდერს საავიაციო ბენზინის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** საავიაციო ბენზინი
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 7 ივნისის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)

ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 8 ივნისიდან 2006 წლის 12 ივნისის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 12 ივნისის 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

***იურიდიულ პირთათვის:***

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

***ფიზიკურ პირთათვის:***

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

***როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:***

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

| ლოტი № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების ვადები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | საავიაციო ბენზინი | ლიტრი | 30000 | 25.06.06-31.12.06 შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში | ქ. თბილისი. |

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამხედრო უნიფორმის აქსესუარების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** სამხედრო უნიფორმის აქსესუარები
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 8 ივნისის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)

ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 9 ივნისიდან 2006 წლის 14 ივნისის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 14 ივნისის 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

***იურიდიულ პირთათვის:***

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

***ფიზიკურ პირთათვის:***

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

***როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:***

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა:* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.**

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

| ლოტი № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 20 დღის განმავლობაში) | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აჭიმი | ცალი | 3,000 | 30.06.06-31.12.06 | უფლისციხის სანივთე ცენტრალური ბაზა |
| 2 | ფანარი | ცალი | 3,000 | | |
| 3 | ჯამი | ცალი | 3,000 | | |
| 4 | მათარა შალითით | ცალი | 1,000 | | |
| 5 | მჭიდების ჩასადები ჩანთა | ცალი | 3,000 | | |
| 6 | ჩანთა | ცალი | 3,000 | | |
| 7 | სამხედრო ნიჩაბი ბუდით | კომპ. | 3,000 | | |

**სატენდერო კომისია**

## შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს აუქციონს

**ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. N11-ში მდებარე 5.8 ტ. ჯართის გაყიდვაზე.**

საქონლის საწყისი სარეალიზაციო ფასია 1 102 (ათას ასორი) ლარი, დღგ-ს გარეშე. საქონლის მთლიანი ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს ერთიანად, ეროვნულ ვალუტაში, აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს ბე - 110 (ას ათი) ლარი, შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სს "თიბისი" ბანკის ბათუმის ფილიალი, მფო 220 101 835, ანგარიში 34700347. ბიჯის ოდენობა შეადგენს 20 ლარს.

განაცხადების მიღება წარმოებს 2006 წლის 17 მაისიდან 2006 წლის 31 მაისის 18 საათამდე. აუქციონი შედგება 2006 წლის 1 ივნისს 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" ადმინისტრაციული შენობაში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეობის მსურველებმა სააუქციონო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი მონაცემები:

- განცხადება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ქონების დასახელებას და საწყის ფასს;
- ბეს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- პირადობის მოწმობის მონაცემები;
- ნოტარიალური წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს, (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წესდების ასლი)

განაცხადების მიღება წარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, ტელ. +995 (222) 7 62 60, 7 69 58, სააუქციონო კომისია DEG

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება

"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებების კომისიების დაკომპლექტების მიზნით, იუსტიციის სამინისტრო აცხადებს კომისიის წევრობის მსურველთა განცხადების მიღებას 2006 წლის 10 ივნისის 18.00 საათამდე.

კომისიები შეიქმნება შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან:

1. N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (ქ. რუსთავი)
2. არასრულწლოვანთა და ქალთა N5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება (ქ. თბილისი)
3. N7 მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (მცხეთის რაიონი)
4. N8 საერთო რეჟიმის დაწესებულება (გეგუთი)
5. N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (დაბა ხონი)
6. N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (თბილისი, ავჭალა)
7. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება (თბილისი, ავჭალა)
8. ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (ქსანი)
9. პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (თბილისი)
10. N1 საპყრობილე (ქ. თბილისი)
11. N5 საპყრობილე (ქ. თბილისი)
12. N6 საპყრობილე (ქ. რუსთავი)
13. N7 საპყრობილე (ქ. თბილისი)
14. N8 საპყრობილე (ქსანი)

განცხადების მიღება იწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტში (საკონტაქტო პირი: ნათია ცუცქირიძე, ტელეფონი: 75 82 51, მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი N30).

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**განცხადება მრავალწლიანი საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ**

1. ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა (მის: 4600, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3), აცხადებს მრავალწლიან (2006-2010 წ.) საერთაშორისო ტენდერს ქ. ქუთაისში ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**I ლოტი.**
ა) დასაგველი ფართობი - 341.9 ათასი მ²
ბ) ქუჩების მორწყვა-ჩარეცხვა - 114.2 ათასი მ²
გ) ზიდვის საშუალო მანძილი 17 კმ.
**II ლოტი.**
ა) დასაგველი ფართობი - 330.3 ათასი მ²
გ) ქუჩების მორწყვა-ჩარეცხვა - 83.2 ათასი მ²
დ) ზიდვის საშუალო მანძილი 17 კმ.
**III ლოტი.**
ა) დასაგველი ფართობი - 339.7 ათასი მ²
ბ) ქუჩების მორწყვა-ჩარეცხვა - 135.3 ათასი მ²
გ) ზიდვის საშუალო მანძილი 17 კმ.
**IV ლოტი.**
ა) დასაგველი ფართობი - 197.0 ათასი მ²
გ) ზიდვის საშუალო მანძილი 17 კმ.

შესყიდვის ობიექტი ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად:
ა) ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავებას;
ბ) შეგროვილი ნაგვის გატანასა და გაუვნებლობას;
გ) მაგისტრალური ქუჩებისა და მოედნების მორწყვა-ჩარეცხვას;
დ) ნაგავსაყრელის ექსპლოატაციას;
ე) მოსახლეობიდან საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას;
ვ) იურიდიული პირებიდან ნარჩენების გატანას;
ზ) სანაგვე ურნების დადგმას.

2. ტენდერში გამარჯვებული პირის მიერ **მოსახლეობიდან, საბიუჯეტო, იურიდიული და ფიზიკური პირებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს მომხმარებელთან სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.**

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსახლეობის მომსახურეობის დონის ამაღლება, იმ გარანტიით, რომ მოსახლე იძულებული არ გახდეს საოჯახო ნაგავი გამოიტანოს და ქუჩაში დაყაროს, რისთვისაც ტენდერში გამარჯვებული პირის მიერ მომსახურეობა უნდა განხორციელდეს განსაზღვრული გეგმა-გრაფიკით და ამასთან, 2006 წლის მე-2 კვარტლიდან დაიწყოს და 2007 წლის ბოლომდე დაასრულოს ქალაქის ცენტრალურ უბნებში, მოედნებზე და მაგისტრალურ ქუჩებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის შესაფერისი სანაგვე კონტეინერების დადგმა 300 ერთეულის ფარგლებში. უნებართვო ნაგასვსაყრელების ლიკვიდაცია უზრუნველყოს საკუთარი ძალებითა და ხარჯებით.

